

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
საზოგადოებრივი გეოგრაფიის სადოქტორო პროგრამა  
ტატიანა სიჭინავა

„შრომით მიგრანტთა საქართველოში ინტეგრაციის და განსახლების  
თავისებურებები“  
სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური  
ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელები:  
პროფესორი გიორგი გოგსაძე

ასოცირებული პროფესორი თამარ დოღბაია



თბილისი

2022

დისერტაციის ავტორი მადლობას უხდის თავის ხელმძღვანელებს: გიორგი გოგსაძესა და თამარ დოღბაიას, ასევე ვლადიმერ ჩხაიძეს, კვლევაში მონაწილე პირებსა და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს.

## აბრევიატურის ჩამონათვალი

**CEC** - Commission of the European Communities, also known as European Commission - ევროკომისია

**COVID-19** - კორონავირუსული დაავადება-19

**DCFTA** - Deep and Comprehensive Free Trade Area - ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე

**GEOSTAT** - National Statistics Office of Georgia - საქსტატი - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

**IDFI** - Institute for Development for Freedom of Information - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

**ILO** – International Labour Organization - შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია

**IOM** - International Organization for Migration - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია

**MIPEX** - The Migrant Integration Policy Index - მიგრანტთა ინტეგრაციული პოლიტიკის ინდექსი

**NELM** - The New Economics of Labour Migration - შრომითი მიგრაციის ახალი ეკონომიკური თეორია

**OECD** - Organization for Economic Cooperation and Development - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია

**OSCE** - Organization for Security and Co-operation in Europe – ეუთო, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია

**TDI** - Tolerance and Diversity Institute - ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი

**UN, United Nations, OOH** - გაერო, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

**UNDESA**, United Nations Department of Economic and Social Affairs - გაერთიანებული ერების ეკონომიკურ და სოციალურ საქმეთა დეპარტამენტი

**მშპ** - მთლიანი შიდა პროდუქტი

## აბსტრაქტი

1990-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოდან მოსახლეობის მიგრაციამ მასობრივი ხასიათი მიიღო. 21-ე საუკუნის 10-იანი წლებიდან კი იმიგრანტთა ნაკადების საგრძნობი ზრდა შეიმჩნევა. 2012-2019 წლებში იმიგრაცია დაახლოებით 50%-ით გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ კოვიდ-19-ის პანდემიამ და ჩაკეტილმა საზღვრებმა, ასევე საერთაშორისო მიმოსვლის შეზღუდვამ, მიგრაციულ პროცესებს თავისი კვალი დაამჩნია, იმიგრანტთა რიცხვი კვლავ მნიშვნელოვანი რჩება და 2021 წლის მონაცემებით 74 008-ს შეადგენს (საქსტატი, 2021). ამან თანამედროვე საქართველოსთვის ახალი გამოწვევა წარმოქმნა, განსაკუთრებით, იმიგრანტების ინტეგრაციის კუთხით. აღნიშნული ნაშრომის მიზანია, თბილისისა და ბათუმის მაგალითზე, შრომითი მიგრანტების ინტეგრაციის თავისებურებები გამოავლინოს და პასუხი გასცეს საკვლევ კითხვას: რა ძირითადი ნიშნებით ხასიათდება საქართველოში შრომითი მიგრანტების ინტეგრაცია? დისერტაცია ძირითადად შრომით მიგრანტებთან და დარგის ექსპერტებთან თბილისისა და ბათუმში ჩატარებული თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის შედეგებს ეფუძნება. შრომითი მიგრაციის მართვის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი საქართველოში სრულყოფილი კანონმდებლობისა და იმიგრაციული პოლიტიკის არარსებობაა, ამიტომ მიგრანტების ინტეგრაციის პროცესი მეტ-ნაკლებად სპონტანურად მიმდინარეობს, კერძოდ: მიგრანტების ერთი ჯგუფი, ინგლისურ და რუსულენოვანი, ასევე მაღალი კვალიფიკაციის მქონე იმიგრანტები, თავს შედარებით კომფორტულად გრძნობენ და ადგილობრივ მოსახლეობასთან ადვილად ამყარებენ კომუნიკაციას, მაშინ, როცა მიგრანტების მეორე ნაწილი (შედარებით დაბალი კვალიფიკაციის მქონე აზიის და აფრიკის ქვეყნებიდან ჩამოსული უცხოელები, რომლებსაც ქვეყანაში შემოსვლისა და დარჩენის პროცედურები გართულებული აქვთ, რასაც ენობრივი ბარიერი და ენის შესწავლის კუთხით არასათანადო სახელმწიფო მხარდაჭერა ემატება), მასპინძელი საზოგადოებისგან იზოლირებულია.

**საკვანძო სიტყვები:** *შრომითი იმიგრაცია, ინტეგრაცია, საქართველო, თბილისი, ბათუმი.*

## ABSTRACT

After the collapse of the Soviet Union, Georgia became a country of intensive emigration. However, recently there has been a large influx of immigrants. In 2012, the number of immigrants exceeded sixty-nine thousand. In 2019, their number was equal to 96.864. Despite the Covid-19 pandemic, closed borders, and restrictions on international traffic, the number of immigrants arriving in Georgia remained significant and stood at 74.008 as of 2021 (Geostat, 2021). This posed a new challenge for modern Georgia, especially in terms of the integration of immigrants. This paper aims to identify the peculiarities of the integration of labour migrants in Tbilisi and Batumi and to answer the research question: What are the main features of the integration of labour migrants in Georgia? The dissertation is based on the results of qualitative sociological research conducted in Tbilisi and Batumi with labour migrants and experts in the field. The lack of comprehensive legislation and immigration policy is the main feature of labour migration management in Georgia. Therefore, the process of integration of migrants is spontaneous, namely: one group of migrants, English and Russian speakers, as well as highly qualified immigrants, feel comfortable and continue to communicate intensively with the local population. At the same time, other migrants have a language barrier and inadequate state support in language learning and remain isolated from the host community.

**Keywords:** *labour immigration, integration, Georgia, Tbilisi, Batumi.*

## სარჩევი

შესავალი.....	9
თავი 1. კვლევის მეთოდები.....	12
თავი 2. კონცეპტუალური ჩარჩო და ლიტერატურის მიმოხილვა.....	24
2.1 მიგრაციის ძირითადი თეორიები .....	24
2.2 მიგრანტთა ინტეგრაციის თეორიები.....	30
2.3 ინტეგრაციული პოლიტიკა.....	45
2.4. ლიუბლიანის დოკუმენტი .....	53
2.5. მიგრანტთა ინტეგრაციული პოლიტიკის ინდექსი (MIPEX).....	61
2.6 საერთაშორისო შრომითი მიგრაცია.....	64
2.7. საერთაშორისო კონვენცია ყველა შრომითი მიგრანტისა და მათი ოჯახის წევრების უფლებათა დაცვის შესახებ.....	67
თავი 3. მიგრაციული პროცესები საქართველოში.....	71
თავი 4. მიგრანტთა ინტეგრაციის სამართლებრივი საკითხები და სამთავრობო პოლიტიკა.....	84
თავი 5. მიგრანტთა ინტეგრაცია და კოვიდპანდემია.....	95
თავი 6. შრომით მიგრანტთა ინტეგრაციის ძირითადი გამოწვევები და შესაძლებლობები: სოციოლოგიური კვლევის შედეგები.....	109
დასკვნა.....	129
ბიბლიოგრაფია.....	133
დანართები .....	152
დანართი №1 - ცხრილი # 1 კვლევის შედეგად გამოკითხული მიგრანტების მახასიათებლები.....	152
დანართი №2 -ნახ. #1 ინტეგრაციის პროცესების ემპირიული კვლევის ევრისტიკული მოდელი.....	153
დანართი №3 - ნახ. #2 ინტეგრაციული ჩარჩოს ინდიკატორები.....	153

დანართი №4 - ნახ. #3 საერთაშორისო მიგრანტებისა და შრომითი მიგრანტების რაოდენობის შეფასება, 2019 წელი.....	154
დანართი №5 - ნახ. #4 საერთაშორისო შრომითი მიგრანტების განაწილება მსოფლიოს რეგიონების მიხედვით, 2019 წელი.....	154
დანართი №6 - ნახ. #5 საერთაშორისო შრომით მიგრანტთა განაწილება ეკონომიკური სექტორების მიხედვით, 2019 წელი.....	155
დანართი №7 - ნახ. #6 იმიგრანტთა რიცხოვნობის დინამიკა საქართველოში 2012-2021 წწ.....	155
დანართი №8 - ცხრილი #2 იმიგრანტთა რიცხოვნობის დინამიკა (2012-2021 წლებში) მოქალაქეობის მიხედვით.....	156
დანართი №9 - ცხრილი #3 უცხოელებზე გაცემული შრომითი ნებართვების გადანაწილება წლებისა და მოქალაქეობის მიხედვით, 2014-2020.....	156
დანართი №10 - ნახ.#7 უმსხვილესი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები 2022 წლის პირველ კვარტალში, წინასწარი მონაცემებით, მლნ აშშ დოლარი.....	157
დანართი №11 - ნახ. #8 საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეთა საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით.....	158
დანართი №12 - ცხრილი #4 უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების ობიექტთა რაოდენობა საქართველოს მასშტაბით, 2022 წელი.....	159
დანართი №13 - ნახ. #9 თბილისში უცხო ქვეყნის მოქალაქეთა საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების განაწილება რაიონების მიხედვით.....	160
დანართი №14 - ნახ. #10 უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მფლობელობაში არსებული ქონების განაწილება თბილისის რაიონების მიხედვით.....	161

დანართი №15 - ცხრილი #5 უძრავი ქონების განაწილება (აბსოლუტური რიცხვები) თბილისის რაიონების მიხედვით უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე.....	162
დანართი №16 - ცხრილი #6 მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სტრუქტურა.....	163
დანართი №17 - შრომით მიგრანტებთან გამოყენებული სიღრმისეული ინტერვიუს კითხვარი.....	164
დანართი №18 - კოვიდ 19-ის პერიოდში პროექტით „იმუშავე საქართველოდან“ ჩამოსულ უცხოელებთან გამოყენებული კითხვარი.....	171
დანართი №19 - ექსპერტებთან ინტერვიუს დროს გამოყენებული კითხვარი.....	173
დანართი №20 - გამოკითხულ ექსპერტთა სია.....	174



## შესავალი

გლობალიზაციის ეპოქაში მასობრივი მიგრაციის ინსტიტუციურმა პროცესმა მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა. მიგრაციულმა ნაკადებმა უპრეცედენტო მასშტაბებს მიაღწია (Melegli et al., 2018). ბოლო ათწლეულების განმავლობაში მიგრანტთა რაოდენობა მსოფლიოში მზარდი იყო. საერთაშორისო მიგრანტების რიცხვმა 2019 წელს 272 მილიონს მიაღწია და მსოფლიოს მოსახლეობის ზრდის ტემპს (United Nations, 2019) გადააჭარბა. თუკი 2000 წელს მსოფლიო მიგრანტები მთელი მოსახლეობის 2,8%-ს შეადგენდნენ, 2019 წელს მათი რიცხვი 3,5%-ს, 2020 წლის შეფასებით კი, მსოფლიო მოსახლეობის 3,6%-ს გაუტოლდა (IOM, 2020).

ის ევროპული ქვეყნებიც კი, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ემიგრაციის კერებად მიიჩნეოდა, ეტაპობრივად იმიგრანტთა მიმღებ საზოგადოებებად იქცა. საქართველოშიც უკანასკნელი 10-12 წლის განმავლობაში, იმიგრაციული ნაკადები მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ტრადიციულად, საქართველო იმიგრაციის კერად განიხილებოდა, 1960 წლიდან კი მისთვის უარყოფითი მიგრაციული სალდოა დამახასიათებელი. სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებზე დაყრდნობით, ზოგჯერ მიგრაციის უარყოფითი სალდოს საწყისად 1950-იან წლებს ასახელებენ (Gachechiladze et al., 1984).

1990-იან წლებში განვითარებულმა მოვლენებმა საქართველოში მასობრივი ემიგრაცია გამოიწვია, რაც არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარებით (შეიარაღებული სამოქალაქო და ორი ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტით, პოლიტიკური კრიზისით, ეკონომიკის სტაგნაციით) იყო განპირობებული. საერთო ჯამში, საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში, ქვეყანა დაახლოებით 1,5 მილიონმა ადამიანმა დატოვა (Gogsadze et al., 2022). აღსანიშნავია, რომ დღეს სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესებასთან და ვიზალიბერალიზაციის ამოქმედებასთან ერთად, საქართველოდან ემიგრაცია შენედა.

ბოლო წლებში გლობალურ მიგრაციულ პროცესებში საქართველოს მზარდმა ჩართულობამ ქვეყნის ტერიტორიაზე იმიგრანტთა გარკვეული ნაკადების შემოდინება განაპირობა, კერძოდ, საქართველოში დროებით ან მუდმივად მცხოვრებ უცხოელთა რაოდენობა გაიზარდა.

სწორედ ამიტომ, იმიგრანტების რაოდენობის ზრდასთან ერთად, მათი დასაქმებისა და ინტეგრაციის ინსტიტუციონალიზაცია გახდა საჭირო. აღნიშნული მიმართულებით საქართველოს მთავრობამ ბოლო წლებში საკანონმდებლო ცვლილებები განახორციელა: შეიქმნა საბაზო კანონები და შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტები.

ვინაიდან შრომითი მიგრაცია გლობალური ფენომენია და ნებისმიერი სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და ადამიანური კაპიტალის ფორმირებაზე ახდენს გავლენას (სულაბერიძე, 2021), მისი მართვა დიდ გამოწვევებს უკავშირდება: ფინანსური რესურსები, კვალიფიციური კადრები და ორგანიზაციული სწავლება (institutional knowledge).

საქართველოს შემთხვევაში აღნიშნულს ემატება ის ფაქტიც, რომ ქართველი მკვლევრების უმრავლესობა ყურადღებას ემიგრაციაზე ამახვილებს. შედეგად, საქართველოში შრომითი მიგრანტების განსახლებისა და მათი ინტეგრაციის საკითხები ნაკლებად არის შესწავლილი. განსახილველი სადისერტაციო ნაშრომის ერთ-ერთი ამოცანა საქართველოში იმიგრაციული საკითხების კვლევასა და პოპულარიზაციაში გარკვეული წვლილის შეტანაა.

**სამეცნიერო ნაშრომი კვლევის სიახლით გამოირჩევა** - ის საქართველოში შრომით მიგრანტთა ინტეგრაციის კომპლექსური შესწავლის პირველი მცდელობაა.

**ნაშრომის აქტუალობა** იმ გარემოებითაა განპირობებული, რომ მზარდი იმიგრაცია და იმიგრანტთა ინტეგრაციის საკითხების მოგვარება, სამეცნიერო შესწავლასა და ანალიზს მოითხოვს.

**ნაშრომის მიზანია** თბილისისა და ბათუმის მაგალითზე საქართველოში შრომითი მიგრანტების ინტეგრაციის თავისებურებების იდენტიფიცირება და შეფასება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ნაშრომის **საკვლევი შეკითხვა** შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

*რა არის ის ძირითადი გამოწვევები და შესაძლებლობები, რომლებიც საქართველოში შრომითი მიგრანტების ინტეგრაციის პროცესისთვისაა დამახასიათებელი?*

**კვლევის ამოცანებია:**

- საქართველოზე გარე მიგრაციული პროცესების გავლენის მიმოხილვა;

- კვლევის კონცეპტუალური ჩარჩოს შექმნა;
- იმიგრაციის, კერძოდ შრომითი მიგრაციის, ასევე, მიგრანტთა ინტეგრაციის სფეროში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობისა და სამთავრობო პოლიტიკის მიმოხილვა და შეფასება;
- შრომით მიგრანტებთან და ექსპერტებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების შედეგების ანალიზი;
- შრომითი მიგრანტების ინტეგრაციაში არსებული განსხვავებების გამოვლენა თბილისსა და ბათუმს შორის.

მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ შრომითი მიგრანტების ინტეგრაციის პროცესი საქართველოში მეტ-ნაკლებად სპონტანურად მიმდინარეობს. სახელმწიფო პოლიტიკის და ინსტიტუტების გავლენა შრომით მიგრანტთა ინტეგრაციაზე უმნიშვნელოა.

ინტეგრაციის პროცესი შრომით მიგრანტთა სხვადასხვა ჯგუფისთვის განსხვავებულია. მიგრანტთა ერთ ნაწილს, ძირითადად, განვითარებული ქვეყნების ინგლისურენოვან და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების მოქალაქეებს, ასევე მაღალი კვალიფიკაციის მქონე იმიგრანტებს, ინტეგრაციის პროცესში, ნაკლები პრობლემები ექმნებათ, მაშინ, როდესაც სხვა იმიგრანტებს (აზიისა და აფრიკის მოქალაქეებს), ენობრივი ბარიერის გამო, ქართულ საზოგადოებასთან მჭიდრო კავშირები არ აქვთ.

## თავი 1. კვლევის მეთოდები

ვფიქრობთ, წარმოდგენილი კვლევა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს იმიგრანტთა ინტეგრაციის ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, რადგან, პირველ რიგში, იმიგრანტთა ინტეგრაციის საკითხები საქართველოში დღეისათვის პრაქტიკულად შეუსწავლელია და, შესაბამისად, ნაშრომი აღნიშნული ინფორმაციული და სამეცნიერო დანაკლისის შევსებას ცდილობს.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს მიგრაციის საკითხებზე ბევრი მეცნიერი მუშაობს - არჩვაძე, ი., ბადურაშვილი, ი., გოგსაძე, გ., ზურაბიშვილი, თ., იაშვილი, ი., მელაძე, გ., სულაბერიძე, ა., ტუხაშვილი, მ. და ა.შ., მათი კვლევის ფოკუსს ძირითადად ემიგრანტები წარმოადგენენ. ვინაიდან დღეს საქართველო, არსებული მიგრაციული ტენდენციების გათვალისწინებით, შრომითი რესურსების დონორ ქვეყანას წარმოადგენს (სულაბერიძე, 2021), იმიგრაცია კი ასეთი პროფილის მქონე ქვეყანაში, პრაქტიკულად, „ახალი ხილია“, ქართველთა ემიგრაცია, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ინტენსიური კვლევის საგნად იქცა (Jasnova, 2012; Collyer, 2013; Zurabishvili, 2013; Iashvili & Gvenetadze, 2014; Badurashvili, 2015; Iashvili et.al., 2016).

ნაშრომში წარმოდგენილია ინფორმაცია საქართველოში მცხოვრები შრომითი მიგრანტების მრავალფეროვანი ჯგუფების შესახებ, შესწავლილია როგორც მაღალკვალიფიციური და დაბალი კვალიფიკაციის, ისე სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობისა და სამართლებრივი სტატუსის მქონე იმიგრანტთა საკითხები.

**აღნიშნული კვლევის ობიექტებს წარმოადგენენ** შრომითი მიგრანტები საქართველოს ორ ქალაქში: თბილისსა და ბათუმში. ვინაიდან საქართველოში იმიგრაცია ძირითადად ეკონომიკური ცენტრებისკენ არის მიმართული, დასაქმების მაძიებლები მსხვილ ქალაქებში სახლდებიან.

რესპონდენტთა შერჩევის დროს, შრომით მიგრანტად განიხილებოდა ნებისმიერი უცხო ქვეყნის მოქალაქე (მათ შორის, იმ ქვეყნების მოქალაქეები, რომლებსაც საქართველოში საცხოვრებლად და სამუშაოდ ბინადრობის ნებართვა არ სჭირდებათ), რომელიც კვლევის ჩატარების პერიოდში საქართველოში ცხოვრობდა და დასაქმებული იყო.

**კვლევის დამოუკიდებელი ცვლადია** ის ფაქტორები, რომლებიც საქართველოში შრომით მიგრანტთა სამოქალაქო ინტეგრაციაზე ახდენს გავლენას

(მიმღები ქვეყნის მიგრაციული პოლიტიკა, მიგრანტთა ინდივიდუალური მახასიათებლები, ენის ფლობა, მიმღები ქვეყნის სოციუმისა და გარემოს ცოდნის დონე). ხოლო კვლევის **დამოკიდებული ცვლადია** შრომით მიგრანტთა ინტეგრაცია.

სადისერტაციო ნაშრომის საკვლევი კითხვიდან „*რა არის ის ძირითადი გამოწვევები და შესაძლებლობები, რომლებიც დამახასიათებელია საქართველოში შრომითი მიგრანტების ინტეგრაციის პროცესისთვის?*“ და *თემატიკის სპეციფიკიდან* გამომდინარე, კვლევა სოციოლოგიური კვლევის თვისებრივ მეთოდებს ეფუძნება. აღნიშნული მეთოდები რაოდენობრივი მასალის შეგროვებას არ ემყარება (Babbie, 2014), შესაბამისად, მათი დახმარებით შესაძლებელი ხდება არა სიხშირის დადგენა, არამედ რაიმე მოვლენის ახსნა და „რატომ?“ კითხვაზე პასუხის გაცემა. სწორედ ამიტომ, საქართველოში შრომით მიგრანტთა ინტეგრაციის შესწავლისას თვისებრივი ინტერვიუების ჩაწერის აუცილებლობა იკვეთება, რომლებიც მკვლევრის მინიმალური ჩარევით იმიგრანტების ხედვას თავისუფლად წარმოაჩენს. თვისებრივი კვლევის მთავარი უპირატესობა რთული შემეცნებითი ფორმებისა და სოციალური მოვლენების ინტერპრეტაციისა და ანალიზის უნარია.

მიუხედავად იმისა, რომ მიგრაციის კვლევებში მეთოდოლოგიურ საკითხებზე სისტემატური ყურადღების გამახვილება შედარებით (Zapata-Barrero & Yalaz, 2018) ახალ ფენომენს წარმოადგენს, თვისებრივი კვლევა ყოველთვის მიგრაციის კვლევების ცენტრში (Zapata-Barrero & Yalaz, 2022) იდგა.

მიგრაციული პროცესების შესწავლისას თვისებრივი კვლევის გამოყენება სხვადასხვა მიზანს ემსახურება. მარშალი და როსმანი თვისებრივი კვლევის ოთხ მიზანს გამოყოფენ: *აღწერა* გამოკვლეული ფენომენის დოკუმენტაციისთვის (მაგალითად, რა არის მიგრაციული ნაკადების მახასიათებლები კონკრეტულ კონტექსტში? რა სოციალურ რეაქციებს იწვევს ისინი? როგორია პოლიტიკის საპასუხო ზომები?); *კვლევა* ძირითადი კატეგორიების წარმოჩენისა და ჰიპოთეზების წარმოქმნის მიზნით (მაგალითად, როგორია მიგრაციული ნაკადების დამახასიათებელი კანონზომიერებები და კატეგორიები?); *ახსნა* კანონზომიერებების დასადგენად და შესაძლო კავშირების წარმოსაჩენად (მაგალითად, რა გავლენას ახდენს მიგრანტების ეკონომიკური ინტეგრაცია მათ სოციალურ და პოლიტიკურ ინტეგრაციაზე) და ბოლო, *ემანსიპაციური მიზნები* - სოციალურ ქმედებებში მონაწილეობის/ჩართვის მიზნით (Marshall & Rossman, 2010).

ერთი კვლევა შესაძლოა რამდენიმე მიზნის განხორციელებას ემსახურებოდეს. ამის კარგი მაგალითია მოცემული კვლევა, რომელიც არამხოლოდ აღწერს საქართველოში არსებულ მიგრაციულ გარემოს, არამედ შრომით მიგრანტთა ინტეგრაციის საკითხებს იკვლევს და პროცესების ახსნაში გვხმარება.

სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია კვლევის ძირითადი მეთოდები:

- **სიღრმისეული ინტერვიუები** - რომლებიც ჩაიწერა საქართველოს ორ უმსხვილეს ქალაქში, თბილისსა და ბათუმში მცხოვრებ შრომით მიგრანტებთან, დარგის ექსპერტებთან და პროექტ „იმუშავე საქართველოდან“ მონაწილეებთან.
- **სამართლებრივი დოკუმენტების ანალიზი** - აღნიშნული მეთოდით გაანალიზდა მიგრაციის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა, საქართველოს მთავრობის დადგენილებები და განკარგულებები.
- **სალიტერატურო მეთოდი** - მიმოხილულია აკადემიური სტატიები, ჟურნალისტური პუბლიკაციები, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამთავრობო უწყებების ანგარიშები;
- **სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება-განზოგადება-ანალიზი** - აღნიშნული მეთოდით დამუშავდა საქართველოს მთავრობის, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი), საქართველოს მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის მიერ მოწოდებული მონაცემები და საერთაშორისო ორგანიზაციების სტატისტიკური და სხვა სახის მასალები;
- **შედარების მეთოდის** მეშვეობით წარმოვაჩინეთ თბილისსა და ბათუმში მცხოვრები და დასაქმებული მიგრანტების პრობლემების მსგავსება-განსხვავება.
- **გეოინფორმაციული სისტემის (გის-ის) მეთოდი** - აღნიშნული მეთოდით გაანალიზდა სივრცითი მონაცემები და შეიქმნა 3 რუკა.

2021 წლის ზაფხული-შემოდგომის (ივლისი-ნოემბერი) პერიოდში, თბილისსა და ბათუმში მცხოვრებ შრომით მიგრანტებთან, წინასწარ მომზადებული, ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარის საფუძველზე (იხილეთ ცხრილი #1), ჯამში 56 ინდივიდუალური სიღრმისეული ინტერვიუ ჩაიწერა, რომლებიც, პირობითად, რამდენიმე თემატურ ბლოკად შეგვიძლია დავყოთ. კერძოდ, კითხვარის პირველი ბლოკი დემოგრაფიულ მონაცემებს მოიცავდა, მე-2 ბლოკი, მიგრაციის შესახებ

გადაწყვეტილებასა და მიგრაციულ გამოცდილებას, მე-3 ბლოკი - დასაქმებასა და სამუშაო პირობებს, მე-4 ბლოკი - ენის ცოდნასა და რელიგიას, მე-5 ბლოკი ადამიანურ ურთიერთობებს ეხებოდა, მე-6 ბლოკი - თავისუფალი დროის აქტივობებს, მე-7 ბლოკი - შეფასებას. ვინაიდან შრომითი მიგრანტების კვლევა და ინტერვიუების ჩაწერის პერიოდი კოვიდ-19-ის პანდემიას დაემთხვა, რომელსაც ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში მრავალი ცვლილება ახლდა თან, და რამაც მიგრანტთა ინტეგრაციაზე გავლენა იქონია, კითხვარის ბოლო, მე-8 ბლოკი, კოვიდ-19-ს მიეძღვნა.

რესპონდენტები თბილისისა და ბათუმის ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში, განსხვავებულ პოზიციაზე დასაქმებული, განსხვავებული ეროვნებისა და სამართლებრივი სტატუსის მქონე შრომითი მიგრანტები არიან. იმიგრანტთა ნაწილი ფრილანსერია (თავისუფალი პროფესიის, შტატგარეშე პირი) და საკუთარი ქვეყნის ან უცხოეთის შრომით ბაზარზე მუშაობს. გამოკითხულთა შორის, როგორც დაბალი, ისე საშუალო და მაღალი კვალიფიკაციის მქონე შრომითი მიგრანტები, თითქმის თანაბარი რაოდენობით არიან წარმოდგენილი.

რესპონდენტთა ასეთი მრავალფეროვნება, განსხვავებული ჯგუფების მიხედვით, ინტეგრაციის ხარისხში არსებულ სხვაობას უკეთ წარმოაჩენს. იმიგრანტებთან ინტერვიუები ინგლისურ, რუსულ, თურქულ და ქართულ ენებზე ჩაიწერა. სიღრმისეული ინტერვიუ დაგვეხმარა, რომ გავვეგო მიგრანტთა საქართველოში ჩამოსვლის მოტივები და დაგვედგინა მათი დამოკიდებულება, შეხედულებები ინტეგრაციის პროცესთან. ინტერვიუების ხანგრძლივობა განსხვავდებოდა: საშუალოდ, 45-60 წუთი გრძელდებოდა.

რესპონდენტთა ასარჩევად შერჩევის ორეტაპიანი დიზაინი გამოვიყენეთ. თავდაპირველად რესპონდენტთა შერჩევა განხორციელდა არაალბათური მიზნობრივი შერჩევის მეთოდის გამოყენებით, შემდეგი მახასიათებლების გათვალისწინებით - წარმოშობის ქვეყანა და საქმიანობა. ამრიგად, პირველ ეტაპზე, მიზანმიმართულად, 10 რესპონდენტი შეირჩა, რათა კვლევის სამიზნედ მხოლოდ ერთი ეროვნების შრომითი მიგრანტები არ ყოფილიყვნენ და იმიგრანტთა განსხვავებული ჯგუფების პრობლემები და საჭიროებები წარმოჩენილიყო.

კვლევაში მონაწილე პირებთან დაკავშირება მარტივი არ არის, განსაკუთრებით, თუ საქმე იმიგრანტებს ეხება, რადგან ძნელია მათი კოორდინატების გაგება, ადგილობრივ რეესტრებში მათი პოვნა, არ არსებობს შრომით მიგრანტთა მონაცემთა ერთიანი ბაზა, ხშირად ისინი მოწყვლად და დაუცველ ჯგუფს წარმოადგენენ და მკვლევრისადმი ნდობა არ აქვთ. სწორედ ამ მიზეზების გათვალისწინებით, კვლევის მეორე ეტაპზე, არაალბათური შემთხვევითი შერჩევის ერთ-ერთი ცნობილი მეთოდი გამოვიყენეთ, რომელიც ე. წ. „თოვლის გუნდის“ შერჩევის სახელით არის ცნობილი. აღნიშნული მეთოდი მოცემული კვლევის სპეციფიკასთან და მიზნებთან თანხვედრაშია. ის მოქნილობითა და ეფექტიანობით გამოირჩევა და ისეთ ჯგუფებთან წვდომის მოსაპოვებლად, როგორებიც იმიგრანტები არიან, საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს.

კერძოდ, ამ მეთოდის მიხედვით, მკვლევარს სხვა ადამიანებთან, რომლებიც შერჩევის კატეგორიას მიესადაგებიან, თავად რესპონდენტები აკავშირებენ. შესაბამისად, ერთი რესპონდენტი გვაკავშირებს მეორეს, ის შემდგომს და ასე შემდეგ, სანამ სამიზნე აუდიტორიაში შემავალი ყველა საჭირო პირი არ გამოიკითხება.

აღნიშნული მეთოდი არამხოლოდ რესპონდენტის პოვნაზე დახარჯული დროის დაზოგვაში გვეხმარება, არამედ მიგრანტთა ინფორმირებულობის დონეს და თანამოქალაქეებთან ან სხვა მიგრანტებთან კავშირებისა და სოციალური ქსელების არსებობას წარმოაჩენს. სულ „თოვლის გუნდის“ მეთოდის საფუძველზე, 46 იმიგრანტი (თბილისსა და ბათუმში, თანაბრად, 23-23 მიგრანტი) გამოიკითხა. საერთო ჯამში კი, კვლევამ საქართველოს ორ ქალაქში მცხოვრები და მომუშავე 56 შრომითი მიგრანტი მოიცვა.

თავდაპირველად 20-20 ინტერვიუს და, ჯამში, ორივე ქალაქში, „თოვლის გუნდის“ მეთოდით 40 ინტერვიუს ჩაწერა იგეგმებოდა. როგორც ცნობილია, თვისებრივი კვლევის მიზანს შემთხვევის შესწავლა წარმოადგენს და, შესაბამისად, ინტერვიუებს იწერენ მანამ, სანამ ახალი ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი. თვისებრივ კვლევაში მიღებული პრაქტიკა ახალი შემთხვევების დამატება ან შეწყვეტაა მას შემდეგ, რაც „თეორიული გაჯერება“ მიიღწევა, ანუ დამატებითი შემთხვევები კვლევას ახალს არაფერს მატებს (Flick, 2009). სწორედ აღნიშნულზე დაყრდნობით, 20 ინტერვიუს ნაცვლად, თითოეულ ქალაქში 23 სიღრმისეული ინტერვიუ ჩაიწერა.



ყველა გამოკითხული იმიგრანტი, მათი წარმოშობის ქვეყნების მიხედვით, შეიძლება პირობითად სამ კატეგორიად დავყოთ:

- მაღალგანვითარებული ქვეყნები;
- პოსტსაბჭოთა ქვეყნები;
- სხვა ქვეყნები.

მაღალგანვითარებული ქვეყნებიდან ჩამოსულ იმიგრანტთა ჯგუფში უმეტესად ისინი შედიოდნენ, ვისთვისაც ინგლისური მშობლიური ენაა (გაერთიანებული სამეფოს, აშშ-ის, ახალი ზელანდიის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მოქალაქეები) და ევროპელი შრომითი მიგრანტები (გერმანიის და რუმინეთის მოქალაქეები).

რესპონდენტები პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან, რუსეთის, ბელორუსის, უკრაინის ყაზახეთის, თურქმენეთის, აზერბაიჯანისა და ლიეტუვის, ასევე სერბეთის მოქალაქეები იყვნენ.

სხვა ქვეყნებში გავაერთიანეთ იმიგრანტები ახლო აღმოსავლეთის რეგიონიდან (თურქეთი, ირანი, იორდანია, ეგვიპტე), აზიიდან (ჩინეთი, ინდოეთი) და აფრიკიდან (ნიგერია).

მაღალი შემოსავლის მქონე მიგრანტებს შორის ძირითადად დამსაქმებლები, საწარმოების, სასტუმროების მეპატრონეები ან მმართველი (მენეჯერი) მიგრანტები და უძრავი ქონების მფლობელები იყვნენ.

საშუალო შემოსავლის მქონე ჯგუფში განიხილებოდა საშუალო, არამმართველ პოზიციებზე დასაქმებული მიგრანტები და კვალიფიკაციის მქონე იმიგრანტები (skilled migrants). დაბალი შემოსავლის მქონე ჯგუფში შედიოდნენ ისინი, ვისაც ნაკლები კვალიფიკაცია და უნარები ჰქონდა.

ჩვენ კვლევაში მიზანმიმართულად არ ჩავრთეთ საქართველოს ტერიტორიაზე არალეგალურად მყოფი იმიგრანტები.

შერჩეულ მიგრანტთა ჯგუფებს შორის არსებული განსხვავებები არამხოლოდ ეროვნულ და ეკონომიკურ (საშემოსავლო) სხვაობებს, არამედ ისეთ სოციალურ განსხვავებებს მოიცავდა, როგორებიცაა იმიგრანტის ოჯახური მდგომარეობა, ოჯახის შემადგენლობა და სტრუქტურა, ბავშვების ყოლა და მათი რაოდენობა. კვლევის პროცესში, როგორც მარტო მცხოვრები, ისე ოჯახით ჩამოსული, შერეულ ქორწინებაში მყოფი (როდესაც ერთი მეუღლე ქართველი, ან სხვა, რესპონდენტის

ეროვნებისგან განსხვავებული პირია), ან მცირეწლოვანი ბავშვებით ჩამოსული იმიგრანტები გამოიკითხა. მიგრანტთა ინტეგრაციის კვლევისას აღნიშნულ ფაქტორებს სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს, რადგან ინტეგრაცია კომპლექსური ფენომენია და მისი შესწავლის პროცესში მნიშვნელოვანია, რომ ისეთი სოციალური ფაქტორები არ გამოგვრჩეს, რომლებმაც შეიძლება ცხოვრებისეული კურსის განსხვავებული პერსპექტივა დაგვანახოს და, შესაბამისად, მიგრანტის ინტეგრაციის ხარისხზე გავლენა იქონიოს.

ბათუმში გამოკითხული შრომითი მიგრანტების უმრავლესობა რუსულ, ინგლისურ, ან თურქულენოვანია. ქალაქის საკურორტო პოტენციალიდან გამომდინარე, იმიგრანტები, ძირითადად, ტურიზმსა და მის მომიჯნავე დარგებში (სასტუმრო, სარესტორნო, სათამაშო ბიზნესი, მომსახურების სფერო, უძრავი ქონება და სამშენებლო სექტორი) არიან დასაქმებული.

ბათუმში კონცენტრირებულია ფრილანსერების საგრძნობი რაოდენობა. ჩინეთიდან და თურქეთიდან ჩამოსული დაბალი კვალიფიკაციის მქონე მიგრანტები მშენებლობაზე მუშაობენ, რადგან ბათუმში სამშენებლო ბუმია. იქ გამოკითხულ მიგრანტთა უმრავლესობა, საქართველოში უვიზოდ ჩამოვიდა და ცხოვრება ბინადრობის ნებართვის გარეშე შეუძლია.

თბილისში გამოიკითხა: ბინადრობის ნებართვის მქონე, შრომითი ვიზით მყოფი და იმ ქვეყნებიდან ჩამოსული შრომითი მიგრანტები, რომლებსაც საქართველოში უვიზოდ შემოსვლის და 1 წლის ვადით უვიზოდ ყოფნის უფლება აქვთ. ორივე ქალაქში გამოკითხულთა ასაკი - 20-დან 71 წლამდე მერყეობს. გამოკითხულთა თითქმის ნახევარი (46%) ქალი იმიგრანტია. თბილისსა და ბათუმში მცხოვრები შრომითი მიგრანტების საშუალო ასაკი თითქმის თანაბარია - თბილისისთვის 37 წელი, ბათუმში მცხოვრები მიგრანტებისთვის კი - 38 წელი, რაც ზოგად დაკვირვებას განამტკიცებს, რომ მიგრაცია ამ ასაკობრივ ჯგუფებში ინტენსიურია. მიღებული შედეგები ქვეყანაში მიმდინარე პროცესების კონტექსტში გაანალიზდა.

ვინაიდან კვლევა კოვიდ-19-ის პანდემიას დაემთხვა, რომლის დროსაც, ჩაკეტილი საზღვრების პირობებში, საქართველოს მთავრობამ პროექტი „იმუშავე საქართველოდან“ (“Remotely from Georgia”) აამოქმედა, კვლევის ფარგლებში აღნიშნული პროექტის მონაწილე მიგრანტებიც გამოიკითხა. კერძოდ, ხუთ ასეთ

იმიგრანტთან ინდივიდუალური სიღრმისეული ინტერვიუ ჩაიწერა. ინტერვიუების ზუსტი რაოდენობა სავსე კვლევის ჩატარების პროცესში განისაზღვრა და იქამდე გაგრძელდა, სანამ ინტერვიუებიდან ახალი ინფორმაციის მიღება შეუძლებლობდა. შესაბამისად, საკითხის გასაცნობად, ხუთი სიღრმისეული ინტერვიუ სრულიად საკმარისი აღმოჩნდა.

ინტერვიუსთვის პროგრამის მონაწილეთა მოძიების პროცესი საკმაოდ რთული და ხანგრძლივი აღმოჩნდა, ვინაიდან მათმა უმეტესობამ საქართველო საზღვრების გახსნისთანავე დატოვა. მიგრანტებთან დაკავშირება სოციალური ქსელი „ტელეგრამის“ მეშვეობით მოხდა, რომელშიც პროგრამით მოსარგებლე პირთა დახურული ჯგუფები არსებობდა.

რესპონდენტთა მოსაძიებლად არაალბათური მიზნობრივი შერჩევის მეთოდი გამოვიყენეთ. პროგრამის მონაწილეთა შორის, როგორც თბილისში, ასევე ბათუმში, ძირითადად, პოსტსაბჭოთა სივრცისა და განვითარებული ქვეყნების მოქალაქეები იყვნენ. პროექტმა „იმუშავე საქართველოდან“, პრაქტიკულად, საქართველოში შრომითი მიგრაციის ახალ სახეობას ჩაუყარა საფუძველი, როდესაც მიგრანტები მასპინძელი ქვეყნის გარემოში ცხოვრობენ, თუმცა ადგილობრივ შრომით ბაზარზე დასაქმებას და ინტეგრაციას არ საჭიროებენ.

კვლევის შედეგები განიხილავს ქვეყნის მიგრაციულ გარემოზე პანდემიისა და აღნიშნული პროექტის გავლენას და შრომითი მიგრანტების განსხვავებულ ჯგუფებზე კოვიდ-19-ისა და მისი თანმდევი ეკონომიკური კრიზისის ზემოქმედებას.

თბილისსა და ბათუმში დასაქმებული შრომითი მიგრანტებისა და „იმუშავე საქართველოდან“ პროგრამაში ჩართული პირების გარდა, თვისებრივი კვლევის ფარგლებში, ორივე ქალაქში, წინასწარ მომზადებული ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარის საფუძველზე, 13 ექსპერტული ინტერვიუ ჩაიწერა.

ექსპერტებთან ინტერვიუ საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ მასში მთავარ როლს ასრულებს არა რესპონდენტი, არამედ მისი ცოდნა გარკვეულ საკითხებზე. მკვლევარს შემოაქვს ახალი ელემენტები, რომლებიც მნიშვნელოვანია. შედეგად, მიგრაციის სპეციალისტებთან ჩაწერილმა ინდივიდუალურმა სიღრმისეულმა ინტერვიუებმა არსებული ტენდეციები და ის პრობლემები წარმოაჩინა, რომლებიც საქართველოში შრომითი მიგრაციის კუთხით იკვეთება.

კვლევის საწყის ეტაპზე ექსპერტთა შერჩევა ხორციელდებოდა არაალბათური მიზნობრივი შერჩევის მეთოდის გამოყენებით, ხოლო მას შემდეგ, რაც ყველა სამიზნე ექსპერტი გამოიკითხა, „თოვლის გუნდის“ მეთოდის დახმარებით ექსპერტთა ნაწილის შერჩევა მოხდა. მათ შორის არიან როგორც აკადემიური სფეროს წარმომადგენელი და პრაქტიკოსი სპეციალისტები, ისე მიგრაციის პოლიტიკაზე აქტიურად მომუშავე, სამთავრობო უწყებებში დასაქმებული ხელმძღვანელი პირები, რომლებიც აღნიშნულ სფეროში ქვეყნის პოლიტიკურ კლიმატს ქმნიან.

სალიტერატურო მეთოდით დადგინდა, რა ინფორმაცია არის ხელმისაწვდომი საკვლევ საკითხთან დაკავშირებით - კვლევის არეალი პრაქტიკულად ამ მეთოდით განისაზღვრა. არსებული მასალის გაცნობის შემდეგ შეიქმნა თეორიული ჩარჩო.

ამ მეთოდის გამოყენებით ავტორმა კრიტიკულად განიხილა და გაანალიზა საკვლევ თემასთან დაკავშირებული სხვადასხვა აკადემიური ლიტერატურა: სტატიები, სახელმძღვანელოები, პუბლიკაციები, ამავდროულად შეისწავლა ანგარიშები და ის თეორიები, რომლებიც, როგორც ზოგადად მიგრაციას, ისე ინტეგრაციის საკითხებს ხსნის. ეს მეთოდი არამხოლოდ არგუმენტების ან კონტრარგუმენტების ფორმულირებას უწყობს ხელს, არამედ მკვლევრის სანდოობას ზრდის.

კვლევის ფარგლებში გამოყენებული ერთ-ერთი მეთოდი, სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება-განზოგადება-ანალიზი გახლავთ. აღნიშნული მეთოდის დახმარებით დინამიკაში რაოდენობრივი მონაცემები გაანალიზდა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ვებგვერდიდან, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემთა ბაზიდან, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდანაა მოპოვებული, რათა იმიგრაციის გავლენა ციფრებით წარმოჩენილიყო, როგორც ეკონომიკის ცალკეულ დარგებზე, ისე მთლიანად მოსახლეობაზე.

სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება-განზოგადება-ანალიზი გულისხმობდა არამხოლოდ სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებას, არამედ გაეროს, ეუთოს მიერ გამოქვეყნებული მასალების, აგრეთვე, საკვლევ საკითხზე არსებული ბეჭდური მედიის სტატიების მიმოხილვას.

დოკუმენტების ანალიზის მეთოდის გამოყენებით შევაფასეთ ქვეყნის საკანონმდებლო ბაზა, კერძოდ, ის ძირითადი სამართლებრივი დოკუმენტები

(მოიცავდა მიგრაციის სფეროში არსებულ კანონმდებლობას, მნიშვნელოვან ოქმებს, დადგენილებებს და ტერმინებს), რომლებიც საქართველოში მიგრაციულ პროცესებს არეგულირებს.

ამავდროულად, ამ მეთოდის გამოყენებით, შევისწავლეთ და გამოვიკვლიეთ ბოლო პერიოდში მიგრაციის კუთხით განხორციელებული სამთავრობო ღონისძიებები, რათა შრომით მიგრანტთა მდგომარეობაზე მათი გავლენა შეფასებულიყო. ზოგადად, იმიგრაციის და, კერძოდ, იმიგრანტების ინტეგრაციის სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი ცვლადების მიმოხილვისა და შეფასების მიზნით, განვიხილეთ საქართველოს სამთავრობო უწყებების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, მათ შორის, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის ანგარიშები და კვლევები, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI), ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) მასალები. დისერტაციის მნიშვნელოვანი ნაწილი მიგრაციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის აღწერასა და შეფასებას ეთმობა.

შედარებითი მეთოდი გამოვიყენეთ თბილისსა და ბათუმში მიგრანტების ინტეგრაციის ხარისხსა და თავისებურებებს შორის მსგავსებისა და განსხვავებების გამოვლენისთვის.

სოციოლოგიური კვლევა ორ ქალაქში, თბილისსა და ბათუმში რამდენიმე მიზეზის გამო ჩატარდა. პირველი და უმთავრესი მიზეზი იყო ის, რომ შრომით მიგრანტთა მრავალფეროვნება ყველაზე მეტად სწორედ ამ ორ ქალაქში არის გამოხატული. თბილისი არის საქართველოს დედაქალაქი და უდიდესი ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცენტრი, სადაც დაახლოებით 1,2 მილიონი ადამიანი ცხოვრობს.

ბათუმი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ცენტრი, ქვეყნის სიდიდით მეორე (150 000 მოსახლე) და ერთ-ერთი უმთავრესი ტურისტული ქალაქია, რომელიც თურქეთის საზღვართან მდებარეობს. ის კავკასიის რეგიონის მნიშვნელოვანი პორტი მე-19 საუკუნიდან გახდა.

ეკონომიკური შესაძლებლობებით ორივე ქალაქი მიმზიდველია, სწორედ მათზე მოდის ქვეყნის მშპ-ის უდიდესი წილი (საქსტატი, 2019). თბილისიც და

ბათუმიც ყოველთვის მულტიკულტურული და სხვადასხვა რელიგიისა და კულტურის მიმართ ტოლერანტული იყო.

სასიამოვნო კლიმატითა (ზომიერად თბილი - თბილისი და სუბტროპიკული - ბათუმი) და ლანდშაფტური მრავალფეროვნებით, ცხოვრებისა და მუშაობისთვის, ორივე ქალაქი მიმზიდველია. გასაკვირი არ არის, რომ საქართველოში იმიგრანტების აბსოლუტური უმრავლესობა საცხოვრებლად და სამუშაოდ სწორედ ამ ქალაქებს ირჩევს.

შრომით მიგრანტთა ინტეგრაციის კვლევა, ძირითადად, იმიგრანტთა ერთი ჯგუფის (ეთნიკურ კუთვნილებაზე, ან წარმოშობის ქვეყანაზე დაყრდნობით) შესწავლის საფუძველზე ხორციელდება. აღნიშნული კვლევა კომპლექსური ხასიათისაა და შრომით მიგრანტთა განსხვავებულ ჯგუფებს (წარმოშობის ქვეყნის მიხედვით) შეისწავლის. მეტიც, მას ისეთი დამატებითი ცვლადები შემოაქვს, როგორებიცაა: შრომით მიგრანტთა განსხვავებული სქესი, განსხვავებული სამართლებრივი სტატუსი, ბინადრობის ხანგრძლივობა, ოჯახური მდგომარეობა, შემოსავლის დონე, კვალიფიკაცია და ა.შ.

„კვლევა (PHDF-21-137) შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით განხორციელდა.“

მიგრაციის თეორიები მრავალფეროვანია და მათში განსაკუთრებული ადგილი რამდენიმეს უკავია. ესენია:

- ნეოკლასიკური თეორია;
- მიგრანტთა ქსელის თეორია;
- შრომითი მიგრაციის ახალი ეკონომიკური თეორია;
- რაციონალური არჩევანის თეორია;

კვლევამ გამოავლინა ის პრობლემები, რომლებიც თავს შრომით მიგრანტთა ინტეგრაციის პროცესში იჩენს.

#### **კვლევის შეზღუდვები:**

ვინაიდან კვლევა მიზნად ისახავს შეისწავლოს კვლევის საგანი - კერძოდ, მიგრანტთა ინტეგრაციის პროცესი, ის თვისებრივი კვლევის დიზაინს ეყრდნობა. სწორედ ამიტომ, გამოიკითხა მცირე ზომის შერჩეული ჯგუფი, მიღებული შედეგები არარეპრეზენტატულია და მათი განზოგადება საქართველოში მომუშავე ყველა მიგრანტზე მეთოდოლოგიურად გაუმართლებელია.

კვლევის პროცესში განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენდა აზიის (მათ შორის, ჩინეთი, ინდოეთი, ირანი) და აფრიკის ქვეყნებიდან ჩამოსული დაბალი კვალიფიკაციის მქონე ისეთი იმიგრანტების გამოკითხვა, რომლებიც დასაქმებული არიან სასტუმროებში, კვების ობიექტებზე, სილამაზის სალონებში და ა.შ. გართულებული იყო, როგორც მათთან წვდომა, კომუნიკაცია, ისე მათი კვლევაზე დათანხმება, რაც მათი არალეგალური სტატუსითაა განპირობებული. როგორც აღნიშნული დაწესებულებების მენეჯერები, ისე დასაქმებული უცხოელები, კვლევაში მონაწილეობისგან თავს იკავებდნენ და ინტერვიუერის მიმართ აგრესიას იჩენდნენ.

მომსახურების სფეროში დაბალი ხელფასების გამო, ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი არაპრესტიჟული და ნაკლებადანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას თავს არიდებს, შესაბამისად, დამსაქმებელი ასაქმებს დაბალანაზღაურებად იმიგრანტებს, საქართველოში არალეგალურად მყოფებსაც კი, და მათ მონაცემთა ბაზაში არ არეგისტრირებს. ამიტომ, ვერ ხორციელდება იმიგრანტთა შრომითი უფლებების მონიტორინგი, მათთან კავშირის დამყარება და ინტერვიუს ჩაწერა. აღნიშნული მიზეზების გათვალისწინებით, გამოიკითხა დაგეგმილზე ნაკლები რაოდენობის დაბალი კვალიფიკაციის მქონე შრომითი იმიგრანტი.

## თავი 2. კონცეპტუალური ჩარჩო და ლიტერატურის მიმოხილვა

### 2.1 მიგრაციის ძირითადი თეორიები

მიგრაცია კაცობრიობის ისტორიის განუყოფელი პროცესია. შრომითი მიგრაციის მიზეზებისა და შედეგების ახსნის ნებისმიერ თეორიულ ცდას მივყავართ ევერესტ ლის ცნობილ ფრაზამდე: „მიგრაცია - ეს კომპლექსური მოვლენაა და ის განსაზღვრულ სქემაში ძნელად თუ მოექცევა“. თეორიული მასალა შრომითი ძალის საერთაშორისო გადაადგილებაზე მჭირია, ამიტომაც მიგრაციის თეორიებში ხშირად პოლიტიკური და სოციოლოგიური ახსნა ჭარბობს (ტუხაშვილი & ჭელიძე, 2021). მიგრაციის თეორიის ჩამოყალიბება ერნესტ რავენშტაინის (Ravenstein, 1889) სახელს უკავშირდება. მას შემდეგ ამ სფეროში მრავალი სამეცნიერო ნაშრომი შეიქმნა.

საერთაშორისო მიგრაციის ერთიანი, თანმიმდევრული თეორია, რომელიც მიგრაციულ პროცესებს სრულყოფილად ახსნიდა, არ არსებობს, თუმცა, მეცნიერული აზრის განვითარებაზე ცალკეული თეორიები საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს. მათგან აღსანიშნავია:

- ნეოკლასიკური ეკონომიკის თეორია,
- მიგრაციის ახალი ეკონომიკური თეორია,
- სემენტირებული/ორმაგი შრომის ბაზრის თეორია,
- ისტორიულ-სტრუქტურული თეორიები, მათ შორის, მსოფლისსტემათა თეორია და სოციალური კაპიტალის თეორიული მოდელი.

მიგრაციის ნეოკლასიკური თეორია ყველაზე ცნობილი და უძველესია. მისი მიზანია, ეკონომიკური განვითარებისა და შრომითი მიგრაციის კავშირი წარმოაჩინოს. ამ თეორიის მიხედვით, მიგრაციის გამომწვევი მიზეზია შრომით ბაზარზე შემოსავლებს შორის არსებული სხვაობა. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ადამიანები მიემგზავრებიან იქ, სადაც მეტი ფულის გამომუშავების მოლოდინი აქვთ. მიგრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, მიგრანტებს, დანიშნულების ქვეყანაში ჩასვლამდე და ჩასვლის შემდეგ, მატერიალური და არამატერიალური ხარჯების გაღება უხდებათ, რაც მგზავრობის ხარჯებს, სამუშაოსა და საცხოვრებლის მოძიებას, უცხო ენის შესწავლასა და მასპინძელი საზოგადოების კულტურული თავისებურებების გათავისებას, შრომის ბაზართან შეგუებას, ახალი კონტაქტების დამყარებასა და ძველის გაწყვეტას მოიცავს. შესაბამისად, პოტენციური მიგრანტი



ირჩევს ქვეყანას, სადაც, ზემოაღნიშნული ხარჯების გათვალისწინებით, მოგება მეტია (Massey et al., 1993).

ნეოკლასიკური თეორიის მთავარი ნაკლი ის არის, რომ იგი მიგრაციის ეკონომიკურ კომპონენტზე დიდ ყურადღებას ამახვილებს და მის სოციალურ-კულტურულ და პოლიტიკურ განზომილებებს არ ითვალისწინებს. თეორია ასევე უგულებელყოფს გამგზავნ და მიმღებ ქვეყნებს შორის ისტორიული კავშირების როლს (Massey et al., 1993).

ნეოკლასიკური მაკროეკონომიკის თეორია ემყარება რამდენიმე დაშვებას:

- საერთაშორისო შრომითი მიგრაცია გამოწვეულია ქვეყნებს შორის სახელფასო სხვაობებით.
- შემოსავლებს შორის სხვაობების აღმოფხვრა შრომითი ძალის გადაადგილებას აჩერებს.
- შრომის ბაზარი ის ძირითადი მექანიზმია, რომელიც საერთაშორისო შრომით მიგრაციას იწვევს. სხვა ტიპის ბაზრებს საერთაშორისო მიგრაციაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ აქვთ.
- მთავრობებს შეუძლიათ მიგრაციული ნაკადების კონტროლი გამგზავნი ან/და მიმღები ქვეყნების შრომითი ბაზრების რეგულირების ან მათზე გავლენის მოხდენის მეშვეობით (Massey et al., 1993).

ნეოკლასიკური თეორიის მაკროდონე (მიგრაცია, როგორც სხვადასხვა ქვეყნების შრომით ბაზრებს შორის არებული სხვაობის შედეგი) შეიძლება ტრანსფორმირდეს მიკროდონედ, რომელშიც წამყვანი ადგილი მიგრაციის შესახებ პირის ინდივიდუალურ გადაწყვეტილებას უკავია. ამან ადამიანური კაპიტალის თეორიის სახელი მიიღო (Todaro, 1969).

აღნიშნული თეორია სჯაადსტადმა (Sjaadstad) 1962 წელს შესთავაზა დაინტერესებულ პირებს. ადამიანური კაპიტალის თეორია (The human capital theory), ინდივიდის სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების გათვალისწინებით, (Bauer & Zimmermann, 1999) ნეოკლასიკურ თეორიას ამდიდრებს. აღნიშნული ანალიზის დროს ყურადღების ცენტრს ინდივიდი წარმოადგენს, რომელიც თავისი სარგებლის მაქსიმიზაციის მიზნით მიგრირებს (Bonin, Holier et al., 2008).

მიგრაციის ახალი ეკონომიკური თეორია (*The New economics of labour migration-NELM*), 1980-იანი წლებიდან მიგრაციის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი თეორიაა.

იგი ნეოკლასიკური თეორიის დაშვებებს ეწინააღმდეგება და მიგრაციის კვლევის ფოკუსი ინდივიდუალური დონიდან ურთიერთდამოკიდებულების დონეზე გადააქვს (Stark, 1991).

აღნიშნული თეორია ყურადღებას მიგრაციის ორ ძირითად ასპექტზე ამახვილებს: გადაწყვეტილება მიგრაციის შესახებ მიიღება ჯგუფურ (ძირითადად, ოჯახის) და არა ინდივიდუალურ დონეზე, ხოლო მიგრაციის მთავარი ამოცანა, შემოსავლების ზრდაზე მეტად, ოჯახში შემოსავლების დივერსიფიკაციაა. შეიძლება ითქვას, რომ ოჯახი საკუთარ მატერიალურ კეთილდღეობას შრომის რესურსების დივერსიფიკაციის გზით სათანადოდ აკონტროლებს.

მაშინ, როცა ოჯახის წევრების ერთი ნაწილი დაკავებულია საყოფაცხოვრებო სამუშაოებით, მეორე ნაწილი შიდა მიგრაციაში, ხოლო მესამე ნაწილი საერთაშორისო მიგრაციაშია ჩაბმული. აღსანიშნავია, რომ ნეოკლასიკური თეორიისგან განსხვავებით, NELM-ი საერთაშორისო მიგრაციას, როგორც საბოლოო დანიშნულების ადგილს, არ განიხილავს. უფრო მეტიც, იგი მეტად უკუმმიგრაციაზე ფოკუსირდება (King, 2012).

ახალი ეკონომიკური თეორიის მიმდევრები ამტკიცებენ, რომ მიგრანტთა გადაწყვეტილებებზე მთელი რიგი ფაქტორები ახდენს გავლენას, მათ შორის, თავიანთ ქვეყანაში არსებული ვითარება. შედეგად, მიგრანტთა გადაწყვეტილებები ქვეყანაში ან შინამეურნეობაში არსებულ საშემოსავლო რისკებსა და წარუმატებლობებზე საპასუხო რეაქციას წარმოადგენს (Massey et al., 1998).

მიგვაჩნია, რომ ამ თეორიას ორი ძირითადი ნაკლი აქვს: ის განვითარებულ საზოგადოებებსა და დამოუკიდებელ ინდივიდებს ნაკლებად ერგება, ამავდროულად, რთულია მისი გამოყენება მაშინ, როდესაც მთელი ოჯახი მიგრირებს.

ისტორიულ-სტრუქტურული თეორიების სახელით ცნობილი ალტერნატიული მოდელები, საერთაშორისო მიგრაციას მარქსიზმის პრიზმაში განიხილავს. მაიკლ პიორე (Piore, 1979), ეფუძნებოდა იმ ფაქტს, რომ ინდუსტრიალიზებული საზოგადოებების ეკონომიკისთვის დამახასიათებელია მუდმივი მოთხოვნა სამუშაო ძალაზე და ამტკიცებდა, რომ საერთაშორისო მიგრაცია უფრო მეტად მიმზიდველი (pull), ვიდრე ამომგდები (push) ფაქტორებითაა გამოწვეული (Wickramasinghe & Wimalaratana, 2016).

დაწინაურებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში დაბალი კვალიფიკაციის სამუშაო ადგილებზე მოთხოვნა იქმნება, რომლებზეც, დაბალი სტატუსის გამო, ადგილობრივ მუშახელს დასაქმება არ სურს. პიორეს თანახმად, იმიგრაცია გამოწვეულია არა მიგრანტთა წარმოშობის ქვეყნებში არსებული ბიძგით - ამომგდები ფაქტორებით (დაბალი ხელფასი ან უმუშევრობის მაღალი დონე), არამედ მიმღები ქვეყნების მიმზიდველი ფაქტორებით (უცხოელი მუშების ქრონიკული და გარდაუვალი საჭიროება) (Samers, 2010).

ზოგიერთი მკვლევარი (მაგ., Arango) სეგმენტირებული/ორმაგი შრომის ბაზრის თეორიას აკრიტიკებს, რომელიც რაციონალური არჩევანის მოდელებისგან მკაფიოდ განსხვავდება, რადგან ის მიგრაციის მიზეზების ყოვლისმომცველ ანალიზს არ იძლევა, ინდივიდების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს უკუაგდებს და ამტკიცებს, რომ საერთაშორისო მიგრაცია შრომით ძალაზე თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოებების შინაგანი მოთხოვნით წარმოიშვა (Arango, 2002).

პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი სოციალური თეორია, იმანუელ უოლერსტაინის მსოფლიო სისტემების თეორიაა, რომელიც კაპიტალისტური მსოფლიო ეკონომიკის წარმოშობის ისტორიულ ანალიზსა და მაღალგანვითარებულ ჩრდილოეთსა და განვითარებად სამხრეთს შორის ეკონომიკური კავშირების თანამედროვე მახასიათებლებს გვთავაზობს.

მსოფლისსტემების თეორია (მსოფლისსტემების ანალიზი ან მსოფლისსტემების პერსპექტივა) მულტიდისციპლინური მაკრომიდგომაა, რომლის მიხედვითაც უოლერსტაინი (Wallerstein, 1974) მსოფლიო ეკონომიკის გეოგრაფიულ სტრუქტურას - ბირთვი - ნახევარპერიფერია - პერიფერია - გვაწვდის (Barfield, 1998).

„ბირთვები“ მათზე განვითარებადი სამყაროს დამოკიდებულების ხარისხს ზრდის, რაც ეკონომიკური მექანიზმებით, პოლიტიკური ზეწოლითა და სხვა მეთოდებით ხორციელდება. ისინი „ღარიბ“ პერიფერიაზე დომინირებენ. ნახევარპერიფერია ბირთვისა და პერიფერიას შორის შუალედურ როლს ასრულებს (Wallerstein, 2004).

უოლერსტაინის (Wallerstein, 1974) შრომებზე დაყრდნობით, თეორეტიკოსების ნაწილი საერთაშორისო მიგრაციის წარმოშობას უკავშირებს არა ცალკეული ეროვნული ეკონომიკის ფარგლებში შრომითი ბაზრის ბიფურკაციას (ცვლილებას),

არამედ მსოფლიო ბაზრის სტრუქტურას, რომელიც მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ვითარდებოდა და იზრდებოდა (Portes & Walton, 1981).

უნდა აღინიშნოს, რომ ეს თეორია, ძირითადად, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების უარყოფით მხარეებს უსვამს ხაზს და ყურადღების მიღმა ტოვებს სარგებელს, რომელიც მას განვითარებადი ქვეყნებისთვის და მათი მოსახლეობის ნაწილისთვის მოაქვს.

მიგრაციის მიზეზების შესწავლაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მიგრანტთა სოციალური კაპიტალის თეორიას. პიერ ბურდიეს (Bourdieu, 1986) მიხედვით, სოციალური კაპიტალი განისაზღვრება, როგორც რეალური ან პოტენციური რესურსების ერთობლიობა, რომელიც მდგრად ქსელთან ან ნაკლებად ინსტიტუციონალიზებულ ურთიერთობებთან, ნაცნობებთან არის დაკავშირებული. თავის ბოლო ნაშრომში პორტესი (Portes, 1998) ამბობს, რომ სოციალური კაპიტალი შესაძლოა სამ განსხვავებულ განზომილებად განვიხილოთ :

1. მიმღებები - ისინი, ვინც აყენებს მოთხოვნებს;
2. წყაროები - ისინი, ვინც ამ მოთხოვნებს ეთანხმება;
3. თავად რესურსები.

მიგრანტთა სოციალურ კაპიტალად ჩვეულებრივ აღიქმება ინფორმაციული რესურსები ან დახმარება, რომელსაც პოტენციური მიგრანტები ყოფილი მიგრანტებისგან სოციალური კავშირების მეშვეობით იღებენ. აღნიშნული რესურსები პოტენციური მიგრანტისთვის მიგრაციის ხარჯებსა და რისკებს ამცირებს.

მრავალი კვლევა, უპირველეს ყოვლისა კი, მექსიკურ-ამერიკული მიგრაციული ნაკადები, ცხადყოფს, მიგრაციის ალბათობას როგორ ზრდის მიგრანტების სოციალურ კაპიტალზე ხელმისაწვდომობა (Massey & García-España, 1987; De Jong, Richter & Isarabhakdi, 1996; De Janvry & Sadoulet, 2001; Davis, Stecklov & Winters, 2002; Curran, Garip, Chung & Tangchonlatip, 2005).

კვლევებით დგინდება ისიც, რომ სოციალური კაპიტალის დაგროვება „კუმულაციური მიზეზობრიობის“ პროცესს იწვევს, რომლის მეშვეობითაც მიგრაციული ნაკადები თვითუზრუნველყოფილი ხდება (Massey, 1990). კერძოდ, ყოველ ახალ მიგრანტთან ერთად, ფართოვდება ქსელები, რომლებიც პოტენციურ მიგრანტებს დანიშნულების ქვეყანაში მყოფ მიგრანტებთან აკავშირებს და, შედეგად,

მიგრანტების სოციალური კაპიტალი გროვდება. ეს რესურსები უფრო და უფრო მეტ ადამიანს შეუძლია გამოიყენოს, რაც მათი მიგრაციის ალბათობას ზრდის. საერთაშორისო მიგრაციაში რაც მეტი მიგრანტი ებმება, ქსელური კავშირები მით უფრო ფართოვდება და უფრო მეტი სოციალური კაპიტალი გროვდება. შედეგად, მიგრანტთა სოციალურ კაპიტალს შეუძლია შეასუსტოს სხვა სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების გავლენა მიგრაციაზე, რაც ემპირიული მტკიცებულებებითაა დადასტურებული (Dunlevy, 1991; Massey, Goldring & Durand, 1994; Massey & Espinosa, 1997). რაც უფრო დიდი და ხელმისაწვდომია სოციალური კაპიტალის რესურსები, მით მეტია ინდივიდთა მიგრაციის ალბათობა (Garip, 2008).

სოციალური კაპიტალის კონცეფციის საფუძველზე წარმოიშვა მიგრაციის ქსელის თეორია. სოციალური ქსელები სამუშაო შესაძლებლობების, განსახლების შესაძლებლობებისა და მიმღები ქვეყნების კულტურული და რელიგიური ცხოვრების ძირითადი მახასიათებლების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას უწყობს ხელს (Massey et al., 1993; Arango, 2004).

მიგრანტთა ქსელები არის პიროვნებათაშორისი კავშირები, რომლებიც წარმოშობისა და დანიშნულების ქვეყნებში ნათესაური კავშირის, მეგობრობის და საერთო საზოგადოების მეშვეობით, მიგრანტებს, ყოფილ მიგრანტებსა და არამიგრანტებს აერთიანებს და საერთაშორისო გადაადგილების ალბათობას ზრდის, რადგან მიგრაციაში მოსალოდნელ წმინდა მოგებას უმატებს.

ქსელური კავშირები სოციალური კაპიტალის ისეთ ფორმას წარმოადგენს, რომლის გამოყენებითაც ადამიანებს საზღვარგარეთ დასაქმებაზე აქვთ წვდომა. მიგრაციის ქსელის თეორია ყურადღებას არ აქცევს იმ დეტერმინანტებს, რომელებიც საერთაშორისო მიგრაციას იწვევს. ის ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რა განაპირობებს მიგრაციას დროსა და სივრცეში (Arango, 2004).

მიგრანტთა ქსელებით აიხსნება ის ფაქტი, რატომ გრძელდება მიგრაცია მაშინაც კი, როდესაც ხელფასების სხვაობა ან დასაქმების პოლიტიკა აღარ არსებობს (Dustmann & Glitz, 2005). მას შემდეგ, რაც მიგრანტთა რაოდენობა კრიტიკულ ზღვარს მიაღწევს, ქსელების გაფართოება გადაადგილების ხარჯებსა და რისკებს ამცირებს, რაც მიგრაციის ალბათობის ზრდას და იმიგრანტის გადაადგილებას იწვევს, რაც კიდევ უფრო აფართოებს ქსელებს და ა.შ. დროთა განმავლობაში მიგრაციული ქცევა

უფრო ფართოდ ვრცელდება და გამგზავნი საზოგადოების უფრო ვრცელ სეგმენტებს მოიცავს (Taylor, 1986).

სოციალური ქსელის თეორიას აკრიტიკებენ იმის გამო, რომ იგი ძირითადად დადებით შედეგებზე ფოკუსირდება, მაშინ, როცა მეცნიერები სულ უფრო ხშირად მიუთითებენ იმ ნეგატიურ შედეგებზე, რომლებიც შესაძლოა მიგრანტთა ქსელებზე დამოკიდებულებამ გამოიწვიოს (Portes, 1998; Gold, 2001; De Haas, 2010; Ahmad, 2015). მიგრანტთა ქსელები, ინტერნეტის გავრცელებასთან ერთად, ნელ-ნელა აქტუალობას კარგავს (van Meeteren & Pereira, 2018).

მიგრაციული პროცესების ანალიზისთვის ვილბურ ზელინსკი (Zelinsky, 1971) გეოგრაფიულ, კერძოდ, სივრცე-დროის მიდგომას იყენებს. ის ევროპის ხუთი ეტაპისგან შემდგარ მობილობის ნიმუშს გვთავაზობს და ამტკიცებს, რომ ინტენსივობას, მიგრაციის ხასიათსა და საზოგადოების ისტორიულ ტიპს შორის მჭიდრო კორელაცია არსებობს.

მან ევროპული საზოგადოებების ხუთი ტიპი გამოყო - ადრე-თანამედროვე ტრადიციულიდან დაწყებული, სამომავლო სუპერგანვითარებულით დამთავრებული. მიუხედავად იმისა, რომ ეს კონცეფცია საკმაოდ მიმზიდველია, მისი გეოგრაფიულ ჩარჩოში მოქცევა რთულია. იგი მოწინავე ქვეყნების ისტორიულ სპეციფიკას მოიცავს, მაგრამ მსოფლიოს განვითარებადი ნაწილისთვის ნაკლებად გამოიყენება (King, 2012).

მობილობის თეორია გრავიტაციული მოდელის სახესხვაობას წარმოადგენს. ეს თეორია ცდილობს მიგრაციის ალბათობა აღწეროს. თეორიის ამოსავალი წერტილი არის ის, რომ მობილობასა და მანძილს შორის აუცილებელი კავშირი არ არსებობს. ინტერვენციული შესაძლებლობების გათვალისწინებით, მიგრანტმა შეიძლება აზრი შეიცვალოს და თავდაპირველად დაგეგმილი დანიშნულების ადგილისგან განსხვავებულ ტერიტორიაზე დასახლდეს (Stouffer, 1940).

აღნიშნული თეორიის სისუსტე ის არის, რომ იგი თავიდან ბოლომდე მხოლოდ ერთ, მანძილის ცვლადს ეყრდნობა და მას პირობითად ადამიანის ქცევასთან აკავშირებს (Akwawua & Pooler, 2000).

## 2.2 მიგრანტთა ინტეგრაციის თეორიები

მიგრაცია რთული სოციალური პროცესია და მობილობით, ანუ ადამიანის გადაადგილებით არ სრულდება. მას ინტეგრაციის კომპლექსური პროცესი მოჰყვება.

რობინსონის (Robinson, 1998) თქმით: „ინტეგრაცია ქაოტური ცნებაა. ეს არის სიტყვა, რომელსაც ბევრი იყენებს, მაგრამ უმეტესობას განსხვავებულად ესმის“. მართლაც, ტერმინ „ინტეგრაციის“ ერთიანი სამართლებრივი დეფინიცია არ არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ცნების ყველა არსებული განმარტება მსგავსია, არის შინაარსობრივი და სპეციფიკური (ქვეყნიდან გამომდინარე) განსხვავებები. შესაბამისად, იგი სხვადასხვაგვარად შეიძლება იყოს ინტერპრეტირებული (Gogsadze et al., 2022).

ტერმინი „ინტეგრა“ ლათინურიდან ითარგმნება როგორც „მთლიანი“ ან „საერთო“. იგი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში საბუნებისმეტყველო მეცნიერებებიდან შემოვიდა. ყველაზე ზოგადი გაგებით, ინტეგრაცია არის ცალკეული ნაწილებისგან ერთი მთლიანის ფორმირება, რის შედეგადაც ინტეგრაციის პროცესის ყველა მონაწილეს რაიმე ახალი ხარისხი და თვისებები აქვს, რაც ადრე არ გააჩნდა (Тутберидзе, 2019).

ჩვენ ვიყენებთ რინუს პენინქსის მიერ ჩამოყალიბებულ დეფინიციას, რომელიც მიგრანტთა ინტეგრაციის ყველაზე ფართო განმარტებას გვთავაზობს: ინტეგრაცია არის იმიგრანტთა (როგორც ინდივიდების, ასევე ჯგუფების) საზოგადოებაში მიღების პროცესი. აღსანიშნავია, რომ ამ პროცესს ჯგუფურ დონეზე საკმაოდ ხანგრძლივი დრო სჭირდება და მისი შედეგები შეიძლება არაუადრეს მეორე თაობაში გამოვლინდეს (Penninx, 2003).

სოციალურ მეცნიერებებში ჯერაც არ არსებობს მიგრანტთა ადაპტაციის ერთიანი თეორია. იანგ იუნ კიმი (Kim, 1988) წერდა, რომ ინტერკულტურული კვლევების სამეცნიერო ლიტერატურაში ერთი და იმავე ფენომენის აღსაწერად მრავალი ისეთი ტერმინი გვხვდება, როგორცაა: ადაპტაცია, აკულტურაცია, ასიმილაცია, ინტეგრაცია.

მოხსენებაში „ინტეგრაცია: მონაწილეთა რუკა“ მანუელ კასტელსი და სხვები (Castles et al., 2002) „ინტეგრაციის“ პროცესის ერთიანი გაგების არარსებობაზე და მისი გაზომვის სირთულეებზე მიუთითებენ. ხშირად, მკვლევრები იყენებენ ადაპტაციის, ასიმილაციის, ინკორპორაციის (ან ინკლუზიის) განმარტებებს, როგორც სინონიმებს, თუმცა, ადაპტაციის პროცესების აღწერის დროს, მნიშვნელოვანია ასიმილაციის, აკულტურაციისა და ინტეგრაციის ცნებებს შორის განსხვავებები გავითვალისწინოთ (Эндрюшенко, 2017).

აკულტურაცია მრავალგანზომილებიან პროცესს წარმოადგენს, რომელიც მკვიდრი და შეძენილი კულტურული პრაქტიკის, ღირებულებების შერწყმისგან შედგება (Schwartz et al., 2010). ერთი სიტყვით, იგი კულტურათა ურთიერთზეგავლენის პროცესია. ტერმინ „ინტეგრაცია“ უფრო ხშირად ევროპელი მეცნიერები იყენებენ, ხოლო ამერიკელები უპირატესობას ტერმინ „ასიმილაციას“ ანიჭებენ (Heath & Schneider, 2021).

მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ ცნებას შორის მსგავსება არსებობს, მთავარი განსხვავება ის არის, რომ ასიმილაცია მიმღები ქვეყნის კულტურის მიერ პირის შთანთქმასა და მშობლიური კულტურის დაკარგვას გულისხმობს (კულტურის მეცნიერებათა ინსტიტუტი, 2016). როგორც საერთაშორისო მიგრაციის სფეროს სპეციალისტი დ. მასსეი (Massey) წერს, „ინტეგრაცია არის ქუჩა ორმხრივი მოძრაობით“, იგი ურთიერთდამოკიდებული პროცესია. პოსტმოდერნიზმის ეპოქის ერთ-ერთი გამორჩეული მეცნიერი ზიგმუნტ ბაუმანი კი მას ასიმილაციის „პოლიტკორექტულ განმარტებას“ უწოდებს (Маляхов, 2015).

მიგრანტების ადაპტაციის სფეროში ერთ-ერთი პირველი, ასიმილაციის ამერიკული კონცეფცია იყო, რომლის იდეები ჩიკაგოს სკოლის სოციოლოგების ნაშრომებშია ასახული. მისი წარმომადგენლები აშშ-ში სწავლობდნენ ეთნიკურ ჯგუფებს, დისკრიმინაციას, ეროვნებათაშორის ქორწინებებს და ა.შ. რობერტ პარკმა, სხვადასხვა კულტურის ადამიანების ურთიერთკავშირზე დაკვირვებით, შემოგვთავაზა მოდელი, რომელიც „რასობრივი ურთიერთობების ციკლის“ სახელითაა ცნობილი. იგი სამი ეტაპისგან შედგება: კონტაქტი, განსახლება და ასიმილაცია (Park, 1950).

ამერიკელმა სოციოლოგმა მილტონ გორდონმა, 1960-იან წლებში, პარკის თეორიებზე დაყრდნობით, ერთ-ერთი პირველი მნიშვნელოვანი ნაშრომი - „ასიმილაცია ამერიკულ ცხოვრებაში“ შექმნა და ასიმილაციის შვიდი ტიპი გამოყო:

- აკულტურაცია - ახალმოსახლეები ითვისებენ ახალი კულტურის ენას, ჩაცმულობას და ყოველდღიურ წეს-ჩვეულებებს (ნორმებისა და ღირებულებების ჩათვლით);
- სტრუქტურული ასიმილაცია - მასპინძელი საზოგადოების ვიწრო წრეებში, კლუბებსა და ინსტიტუტებში გაწევრიანება;
- ქორწინების ასიმილაცია - შერეული ქორწინებების ფართოდ გავრცელება;



- იდენტიფიკაციური ასიმილაცია - უმცირესობა უმრავლესობასთან დაკავშირებულად გრძნობს თავს;
- ღირებულების ასიმილაცია - ცრურწმენის არარსებობა;
- ქცევითი ასიმილაცია - დისკრიმინაციის არარსებობა;
- სამოქალაქო ასიმილაცია - კონფლიქტის არარსებობა ინდივიდის შინაგან წარმოდგენებსა და მასპინძელი ქვეყნის ღირებულებებს შორის (Gordon, 1964).

გორდონის განმარტებით, აღნიშნული პროცესის საბოლოო შედეგი მიგრანტის მშობლიური კულტურის დაკარგვა, ახალი ფასეულობების, ენის მიღება და, ბოლოს და ბოლოს, მასპინძელ უმრავლესობასთან სრული ასიმილაცია უნდა იყოს (Эндрюшенко, 2017).

1936 წელს რედფილდი, ლინტონი და ჰერსკოვიცი აღიარებდნენ ადაპტაციის მნიშვნელობას სხვადასხვა ჯგუფის ურთიერთქმედების პროცესში და ამტკიცებდნენ, რომ ასიმილაცია გარდაუვალი არ არის (Redfield et al., 1936).

მათვე ეკუთვნით აკულტურაციის კლასიკური განმარტება (Redfield, Linton, & Herskovits, 1936), რომლის მიხედვით, აკულტურაცია იმ მოვლენებს გულისხმობს, რომლებიც მაშინ წარმოიშობა, როდესაც სხვადასხვა კულტურის მქონე ადამიანთა ჯგუფები, ერთი ან ორივე ჯგუფისთვის თანმდევი ცვლილებებით, ერთმანეთთან მუდმივ კონტაქტში შედიან. მიუხედავად იმისა, რომ, პრინციპში, აკულტურაცია ნეიტრალური ტერმინია (ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს ერთ ან ორივე ჯგუფში), პრაქტიკაში ის ერთ ჯგუფში უფრო იწვევს ცვლილებებს. ამ ჯგუფს ჯონ ბერი აკულტურაციის ჯგუფს უწოდებს (Berry, 1990).

უილიამ თომასისა და ფლორიან ზნანიეცკის ერთობლივი ნაშრომი „პოლონელი გლეხი ევროპასა და ამერიკაში“ ევროპელი იმიგრანტების ადაპტაციისა და ინტეგრაციის პირველ მრავალმხრივ კვლევას წარმოადგენს. 1918 წელს აშშ-ში, პოლონელი იმიგრანტების ბიოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით, ავტორებმა მიგრაციის მიზეზები და მექანიზმები შეისწავლეს (Thomas & Znaniecki, 1996). მათ დაასკვნეს, რომ პოლონელი იმიგრანტები ამერიკულ გარემოში ერთვებიან, მაგრამ პოლონური წარმოშობის ამერიკელებად რჩებიან (Kostenko, 2014).

ჯონ ბერიმ ევროპაში ინტეგრაციის კონცეფცია ერთ-ერთმა პირველმა გააანალიზა. 1977 წელს მან აკულტურაციის ორგანოზომილებიანი მოდელი

შემოგვთავაზა, რომლის მიხედვით, მიგრანტი მშობლიურ კულტურასთან კავშირს ინარჩუნებს, მაგრამ, ამავედროულად, მიმღები საზოგადოების კულტურის ელემენტებს ითვისებს. ამ ორგანზომილებიან მოდელში აკულტურაცია წარმოადგენს პროცესს, რომელიც იწვევს ცვლილებებს, როგორც ინდივიდუალურ, ისე სოციალური სტრუქტურებისა და ინსტიტუტების (რომლებთანაც მიგრანტი ურთიერთმოქმედებს) დონეზე (Berry, 1980).

ჯონ ბერიმ გამოყო აკულტურაციის პროცესის სამი ფაზა:

- კონტაქტი;
- კონფლიქტი;
- ადაპტაცია.

თავდაპირველად, იმისთვის, რომ აკულტურაცია მოხდეს, უნდა არსებობდეს ორ კულტურულ ჯგუფს შორის კონტაქტი. შემდეგ, თუკი არსებობს წინააღმდეგობა, წარმოიშობა კონფლიქტი, და მესამე ეტაპს წარმოადგენს ადაპტაცია, რომლის მეშვეობითაც, ადამიანები კონფლიქტს აგვარებენ.

ბერის კონცეფციის მიხედვით, ადაპტაცია არის პროცესი, რომლის დროსაც მიგრანტი თავის კულტურას ინარჩუნებს და ახალ კულტურას შემდეგი ოთხი სტრატეგიიდან ერთის გამოყენებით ეგუება:

1. ასიმილაცია (assimilation);
2. ინტეგრაცია (integration);
3. განცალკევება (seperation);
4. მარგინალიზაცია (marginalization) (Berry, 1980).

*ასიმილაცია* ხდება მაშინ, როდესაც ადამიანები თავიანთ კულტურას, ტრადიციებს, ღირებულებებს შორდებიან და უფრო ფართო/დიდი საზოგადოების კულტურას ითვისებენ.

*ინტეგრაცია* არის მასპინძელ საზოგადოებაში მიგრანტების ჩართვა მათი კულტურის ზოგიერთი ელემენტის შენარჩუნებით. ინტეგრაცია არ ნიშნავს „მშობლიური“ კულტურის სავალდებულო დაკარგვას.

*განცალკევება ან სეპარაცია* ხდება მაშინ, როდესაც მიგრანტთა ჯგუფები განცალკევდება, რადგან მათ ქცევის ნიმუშებს დომინანტური კულტურა უწესებს, რათა „სხვებს“ თავისი ადგილი მიუჩინოს. განცალკევება თავად ჯგუფის არჩევანია. ისინი ინარჩუნებენ თავიანთ ტრადიციებს ყოველდღიურ ცხოვრებაში,

დომინანტური საზოგადოების გარეთ, და იზოლირებულად არსებობენ (სეპარატისტული მოძრაობები).

*მარგინალიზაცია* ნიშნავს იდენტობის დაკარგვას, დაბნეულობას და სტრესს პიროვნულ დონეზე, გაუცხოების გრძნობას. ჯგუფი კარგავს კონტაქტს როგორც საკუთარ, ასევე უმრავლესობის კულტურასთან. შესაძლებელია ჩაიდინოს საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული ქმედებები (Berry, 1980).

ბერიმ მიგრანტთა ჯგუფებში გამოავლინა ორი ტიპის სახესხვაობა (*ქცევითი ცვლილებები და კულტურული სტრესი*), რომლებიც კულტურულ ცვლილებას უკავშირდება.

- ქცევით ცვლილებებში შედის ადრე ნასწავლი ქცევითი შაბლონების შეცვლა და ახალი საზოგადოების მოდელების მიღება. ეს საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია, რომელიც ახალი კულტურის ქცევის ნორმების შესწავლას და ძველი ნორმების უარყოფას მოიცავს.
- კულტურული სტრესი (ბერი მას „აკულტურაციულ“ სტრესს უწოდებს) წარმოიქმნება რიგი სტრესული სიტუაციების შემდეგ, რომლებსაც მიგრანტი ახალ საზოგადოებაში განიცდის.

მიგრანტები, ახალ სოციალურ გარემოსთან ადაპტაციის პროცესში, ხშირად კარგავენ რესურსებს, იცვლიან ცხოვრების წესს, იდეებსა და ნორმებს. კულტურული სტრესი ადაპტაციის სოციალურ ასპექტებზე გავლენას ახდენს, ამიტომ ადაპტაციის დონეს საზოგადოება უნდა არეგულირებდეს და მიგრანტს ახალ გარემოსთან შეგუებაში ეხმარებოდეს (Berry, Kim et al., 1987).

ჰარტმურ ესერი (Esser, 2004) ინტეგრაციის ცნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ანალიზს გვთავაზობს, რომელიც ინტეგრაციას განსაზღვრავს, როგორც „ინდივიდუალური აქტორების ჩართვას უკვე არსებულ სოციალურ სისტემებში“. იგი ასიმილაციის თეორიის სრულყოფილებას ეჭვქვეშ აყენებს და ყურადღებას მიგრაციალ პროცესებში მიგრანტთა გადაწყვეტილებებს უთმობს.

თავის თეორიას იგი „თაობათაშორისი ინტეგრაციის მოდელს“ (“Model of intergenerational integration”) უწოდებს, რომლის მიხედვითაც იმიგრანტთა შთამომავლების სოციალური ურთიერთობები პირველი თაობის ურთიერთობებისგან განსხვავდება. განსხვავებულია მათი პრობლემებიც, ისევე,

როგორც ხარჯები, რესურსები და ა.შ. (Eve, 2010). ნაშრომში ესერი იმიგრანტებს და მათი არჩევანის ლოგიკას განიხილავს (Esser, 2004).

ესერმა სოციალური ინტეგრაციის ოთხი ასპექტი გამოყო:

- კულტურული განზომილება (kulturation) - მასპინძელი საზოგადოების წეს-ჩვეულებების, ცხოვრების წესის ცოდნა (განსაკუთრებით აღსანიშნავია ენობრივი კომპეტენცია);
- პოზიცია საზოგადოებაში (platzierung) - ადგილის დამკვიდრება მასპინძელ საზოგადოებაში (სამართლებრივი, პროფესიული და სხვა მიმართულებით);
- ინტერაქცია (interaktion) - მასპინძელ საზოგადოებასთან სოციალურ ურთიერთობებს გულისხმობს (მაგ., სამეზობლო, სამეგობრო და ა.შ.);
- მიკუთვნებულობა (identifikation) - მასპინძელი სოციალური სისტემისადმი მიკუთვნებულობის განცდა (Esser, 2001).

ინტეგრაციის პროცესის ანალიზისთვის ძირითადი თეორიული მოდელები გამოიყენება. ესენია:

- ასიმილაციის კლასიკური თეორია,
- სეგმენტირებული და შერჩევითი ასიმილაციის თეორია,
- ხელისშემშლელი რასობრივი/ეთნიკური მოდელი.

იმიგრანტების ჯგუფის მობილობის ყველაზე თვალსაჩინო პერსპექტივას ასიმილაციის კლასიკური „სწორხაზოვანი“ თეორია წარმოადგენს (“The classic ‘straight line’ theory of assimilation”), რომელიც ჩიკაგოს სკოლაში 1920-იან წლებში ჩამოყალიბდა. მოგვიანებით იგი ისეთი სოციოლოგების ნაშრომებში იყო წარმოდგენილი, როგორებიც არიან: მილტონ გორდონი, რიჩარდ ალბა და ვიქტორ ნი (Brown & Bean, 2006).

ასიმილაციის კლასიკური „სწორხაზოვანი“ თეორია, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ევროპელი იმიგრანტების გამოცდილების საფუძველზე შეიქმნა. ზოგადად, კლასიკური ასიმილაციის თეორიის მიხედვით, იმიგრანტები, ეთნიკური ჯგუფები და უმრავლესობა „სწორხაზოვან“ კონვერგენციას მიჰყვებიან და დროთა განმავლობაში ერთმანეთს ნორმებით, ღირებულებებით, ქცევებითა და მახასიათებლებით ემსგავსებიან.

თეორია ყურადღებას ამახვილებს თაობების მნიშვნელობაზე ასიმილაციის პროცესში. კერძოდ, იგი ამტკიცებს, რომ იმიგრანტების პირველი თაობა ყველაზე ნაკლებად ასიმილირებული იქნება და იდენტობას, თავისი ქვეყნის ღირებულებებსა და ქცევის ნორმებს, ყველაზე უკეთ შეინარჩუნებს (Warner & Srole, 1945; Gans, 1979).

შესაბამისად, ის იმიგრანტები, რომლებიც მასპინძელ საზოგადოებაში ყველაზე დიდხანს ცხოვრობენ, ისევე, როგორც შემდგომი თაობების წევრები, უფრო მეტად ემსგავსებიან უმრავლესობის ჯგუფს, იმ მიგრანტებთან შედარებით, რომლებმაც მასპინძელ საზოგადოებაში ნაკლები დრო გაატარეს.

უორნერი და სროლი თავიანთ ომამდელ (Warner & Srole, 1930–35) კვლევებში იანკი სიტიში ევროპული წარმოშობის რვა ჯგუფს სწავლობდნენ (Fischhoff, 1947). აღნიშნულზე დაყრდნობით, ისინი მიიჩნევენ, რომ საზღვარგარეთ დაბადებული და მიმღებ ქვეყანაში ჩასული მიგრანტების თაობა, ყველაზე ძლიერად არის მიჯაჭვული წინაპრების სოციალურ სისტემას და ყველაზე ნაკლებად - იანკი სიტის სოციალურ სისტემას.

ამ იმიგრანტების შთამომავლებმა, ე.წ. „პირველმა თაობამ“ ან „F1“ თაობამ, რომელიც დაიბადა, აღიზარდა და განათლება მიიღო შეერთებულ შტატებში, არაფერი იცის მათი მშობლების წინაპართა საზოგადოების შესახებ, გარდა იმისა, რომ ნაწილობრივ ეთნიკური ჯგუფის სათემო ორგანიზაციას ეკუთვნის (Heath & Schneider, 2021).

ასიმილაციის კლასიკური თეორიის ადრეული ვერსიები გააკრიტიკეს, როგორც „ანგლო-კონფორმისტული“, რადგან იმიგრანტებად ძირითადად საშუალო კლასის, თეთრკანიან პროტესტანტული ღირებულებების მქონე ჯგუფს განიხილავდნენ. სწორედ ამიტომ, მკვლევრთა ნაწილი მიიჩნევს, რომ სწორხაზოვანი ასიმილაციის თეორია ფერადკანიან ან არაქრისტიანულ ჯგუფებს ვერ მიესადაგება, რაც, შესაძლოა, აღნიშნული ჯგუფებისადმი უმრავლესობის დისკრიმინაციული განწყობებით იყოს განპირობებული. ეს კი ამ ჯგუფების სოციალურ-ეკონომიკურ მარგინალიზაციას იწვევს (Gans, 1992; Portes & Zhou, 1993).

საველე ექსპერიმენტების სისტემატური მიმოხილვით დგინდება, რომ ევროპასა და ამერიკაში არათეთრკანიანი ჯგუფებისადმი რასობრივი დისკრიმინაცია გრძელდება, როგორც პირველი, ისე მომდევნო თაობების მიმართ, რაც სტრუქტურულ ინტეგრაციას აფერხებს (Zschirnt & Ruedin, 2016; Quillian et al., 2019).

არაქრისტიანული ჯგუფების განხილვისას მნიშვნელობა ენიჭება ისლამის როლს, რელიგიურობის მაღალ დონესა და ისლამთან დაკავშირებულ ტრადიციულ დამოკიდებულებებს. ამ დროს ფერხდება, როგორც სტრუქტურული, ისე სოციო-კულტურული ინტეგრაცია, განსაკუთრებით, ქალებში. მეჩეთის შემთხვევაში ძლიერმა რელიგიურმა თემებმა, საკუთარი ფასეულობები, შეიძლება თაობების განმავლობაში შეინარჩუნოს (Sniderman & Hagendoorn, 2007; Koopmans, 2016; Zuccotti & Platt, 2017).

ალბამ და ნიმ გორდონის იდეები დახვეწეს და „ახალი ასიმილაციის თეორია“ (“New Assimilation Theory”) წარმოადგინეს. 1964 წელს გორდონმა რამდენიმე ეტაპი გამოყო, რომელიც კულტურისა და ენის შექმნას სდევს თან. მისი აზრით, პირველ რიგში, ვლინდება სტრუქტურული ასიმილაცია (მჭიდრო სოციალური ურთიერთობები მასპინძელ საზოგადოებასთან), რასაც მოჰყვება ფართომასშტაბიანი შერეული ქორწინებები, მასპინძელ საზოგადოებასთან ეთნიკური იდენტიფიკაცია და ცრურწმენების, დისკრიმინაციისა და ღირებულებითი კონფლიქტების დასრულება (Gordon, 1964). ალბასა და ნის მტკიცებით, ასიმილაციის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება გარკვეული ინსტიტუტების როლს (Alba & Nee, 2003).

*სეგმენტირებული და შერჩევითი ასიმილაციის თეორიები (Theories of segmented and selective assimilation)*

არ არის აუცილებელი, რომ ასიმილაცია ე.წ. „სწორხაზოვნად“ წარიმართოს, როგორც ეს კლასიკურ თეორიაშია წარმოდგენილი. 1992 წელს სოციოლოგმა ჰერბერტ ჯ. განსმა სწორედ ასეთი არასწორხაზოვანი ასიმილაციის პროცესი აღწერა (Gans, 1992).

1993 წელს პორტესმა და მინ ჩჟოუმ ასიმილაციის, როგორც სწორხაზოვანი, ისე არახელსაყრელი ეთნიკური პერსპექტივების ელემენტები გააერთიანეს ჩარჩოში, რომელსაც სეგმენტურ ასიმილაციას უწოდებენ (Portes & Zhou, 1993; Zhou, 1997).

პორტესი და ჩჟოუ ჯგუფების ასიმილაციის განსხვავებულ მოდელებს გვთავაზობენ, რაც სხვადასხვა განზომილებებით, დისკრიმინაციის დონითა და ეკონომიკური შესაძლებლობებით არის განაპირობებული. ისინი მიიჩნევენ, რომ ერთ-ერთი მოდელი გულისხმობს მზარდ აკულტურაციას და პარალელურ ინტეგრაციას თეთრი საშუალო კლასის ფენაში. მეორე მოდელს მუდმივი

სიღარიბისკენ და ყველაზე დაბალ სოციალურ კლასში ასიმილაციისკენ მივყავართ, ხოლო მესამე, იმიგრანტის თემის ფასეულობების დაცვითა და სოლიდარობით, ეკონომიკის სწრაფ ზრდას გულისხმობს (Portes & Zhou, 1993).

პორტესი და ჩჟოუ ვარაუდობენ, რომ სტრუქტურული ბარიერები იწვევს სტაგნაციას, ან დაღმავალ მობილობას. ისინი აღწერენ შავკანიანი მიგრანტების სწორედ ასეთ მობილობას და მათ ასიმილაციას დაბალი სოციალური კლასის აფროამერიკელ ახალგაზრდებთან. ამავდროულად, ზოგიერთი აზიური ჯგუფი, თავისი ეთნიკური თემების შენარჩუნებით, აღმავალ (სტრუქტურულ) მობილობას განიცდის.

პორტესისა და ჩჟოუს თეორიის გაფართოება ევროპულ კონტექსტში რელიგიური თემებისა და მათი ინსტიტუტების განხილვით შეიძლება. მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანულმა თემებმა შეიძლება მასპინძელ ჯგუფთან პოტენციური ხიდის ფუნქცია შეასრულონ და, შესაბამისად, უფრო სწრაფი სოციალური და კულტურული ასიმილაცია განაპირობონ, არაქრისტიანულ რელიგიებს პირიქით, თავიანთი რელიგიური ინსტიტუტების მეშვეობით, ეთნორელიგიური თემების განცალკევება შეუძლიათ, რითაც სოციალური კაპიტალის გაერთიანებას შეაფერხებენ (Connor & Koenig, 2013).

სეგმენტირებული ასიმილაციის თეორია ფოკუსირებულია იმ კონტექსტუალური, სტრუქტურული და კულტურული ფაქტორების იდენტიფიცირებაზე, რომლებიც წარმატებულ ასიმილაციას წარუმატებელი, „ნეგატიური“ ასიმილაციისგან განასხვავებენ.

ამგვარად, სეგმენტირებული ასიმილაციის თეორიის მიხედვით, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფი ასიმილაციის განსხვავებული თაობათაშორისი ტრანსქორით ხასიათდება და ასიმილაციის ტემპებიც სხვადასხვა განზომილებაში განსხვავებულია. მაშინ, როცა უორნერისა და სროლის (Warner & Srole, 1945) კლასიკური განმარტება გულისხმობდა, რომ ასიმილაცია საცხოვრებელი, პროფესიული და სოციალური კლასების მიმართულებით (აღმავალი სოციალური მობილობის სახით), ასევე ხელს შეუწყობდა სოციალური ქცევისა და კულტურული დამოკიდებულებების მიმართ ასიმილაციას, პორტესისა და ჩჟოუს სეგმენტირებული მიდგომა, ასიმილაციის პროცესის სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით წარმართვას

ადიარებს. ამასთანავე, აღმავალი ასიმილაცია, განვითარების რამდენიმე ვარიანტიდან, მხოლოდ ერთ-ერთ შესაძლო გზას წარმოადგენს (Portes & Zhou, 1993).  
*ხელის შემშლელი რასობრივი/ეთნიკური მოდელი The racial/ethnic disadvantage model*

მეცნიერთა ნაწილი ამტკიცებს, რომ მიგრანტთა მრავალი ჯგუფის ასიმილაცია ხშირად დაბლოკილია ან არ მიმდინარეობს. აღნიშნული მოსაზრება, რომელსაც ხელის შემშლელი რასობრივი/ეთნიკური მოდელი ეწოდება, აისახება ნათან გლეიზერის, პატრიკ მონიჰანის, ალექსანდრო პორტესისა და სხვათა ნაშრომებში.

თეორია ამტკიცებს, რომ ენისა და კულტურის გაცნობა, ხშირ შემთხვევაში, ასიმილაციის გაძლიერებას არ იწვევს. ხანგრძლივი დისკრიმინაცია და ინსტიტუციური ბარიერები, რომლებიც დასაქმებასა და სხვა შესაძლებლობებს ზღუდავს, სრულ ასიმილაციას ბლოკავს (Glazer, 1993). აღნიშნულ მოდელს ძირითადად იმის გამო აკრიტიკებენ, რომ ის რასობრივ/ეთნიკურ ბარიერებზე ზედმეტ ყურადღებას ამახვილებს და სოციალურ-ეკონომიკური მობილობის ადეკვატურ ახსნას ვერ ახერხებს (Brown & Bean, 2006).

*იდენტიფიცირებელი ასიმილაციის ცვლილების მოდელი A Model of Changing  
Identificational Assimilation*

თანამედროვე ლათინურ-ამერიკელი და აზიელი იმიგრანტების გამოცდილების აღსაწერად, ასიმილაციისა და ხელის შემშლელი რასობრივ-ეთნიკური მოდელების გამოყენება, ნაკლებად ეფექტურია, ვინაიდან მათი სისუსტე რასობრივ-ეთნიკურ იდენტიფიკაციასთან მიმართებით ვლინდება.

თანამედროვე მიგრანტების მობილობა ძველი მოდელებით ნაკარნახევ ტრაექტორიას არ მიჰყვება, ვინაიდან თანამედროვე იმიგრანტების უმეტესი ნაწილი თავს არც შავკანიანად და არც თეთრი რასის წარმომადგენლად, არამედ, უფრო მეტად, მულტირასობრივად მიიჩნევს (multiracial), ამიტომაც, ბიპოლარული რასობრივი კონტექსტის მქონე ტრადიციული მოდელები ნაკლებად შეესაბამება თუნდაც მექსიკელების ისტორიულ და თანამედროვე გამოცდილებას, ვინაიდან ისინი, ძირითად შემთხვევაში, შერეული წარმომავლობის არიან - ისევე, როგორც სხვა მრავალი ლათინურ-ამერიკელი.

კვლევებით დგინდება, რომ რასობრივი და ეთნიკური იდენტიფიკაციის ფაქტორი, როგორც ყველაზე დაბალი, ისე ყველაზე მაღალი სოციალური კლასების



შემთხვევაში, უძლიერესია. მუშათა ანუ ე.წ. საშუალო კლასი, როგორც წესი, ყველაზე სწრაფად ასიმილირდება და შედეგად შესაძლოა თავისი ეთნიკური იდენტობის უდიდესი ნაწილი დაკარგოს (Brown & Bean, 2006).

იმიგრანტთა ინტეგრაციის შესწავლისას ვაწყდებით საინტერესო ფენომენს, რომელიც ე.წ. „იმიგრანტთა პარადოქსის“ სახელით არის ცნობილი და იმიგრანტების ინტეგრაციის ლიტერატურაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს.

როგორც ცნობილია, იმიგრანტთა სხვადასხვა ჯგუფი ინტეგრაციის განსხვავებული ხარისხით ხასიათდება. აღნიშნული პარადოქსი ეკონომიკურად მეტად ინტეგრირებული და უფრო განათლებული მიგრანტების მასპინძელი საზოგადოებისგან გარიყვას აღწერს, იმის ნაცვლად, რომ აღნიშნული მიგრანტები მასპინძელ საზოგადოებაში უკეთ ინტეგრირებული იყვნენ (Buijs, Demant & Hamdy, 2006; Entzinger & Dourleijn, 2008).

განათლება და სტრუქტურული ინტეგრაცია ყოველთვის არ გამოიწვევს მასპინძელ საზოგადოებასთან შერწყმას და, უმეტესად, შესაძლოა, საპირისპირო ეფექტი ჰქონდეს. მასპინძელი საზოგადოებისგან განათლებული იმიგრანტების იზოლირება საკმაოდ საინტერესო ფენომენია.

კლასიკური იმიგრაციის თეორიები ვარაუდობს, რომ სტრუქტურული ინტეგრაცია (საგანმანათლებლო და ეკონომიკური პოზიციის გაუმჯობესება) ინტეგრაციის სხვა ფორმებსაც შეუწყობს ხელს, როგორებიცაა მიკუთვნებულობის გრძნობის ჩამოყალიბება და მასპინძელი საზოგადოების მიმართ უფრო პოზიტიური დამოკიდებულების განვითარება (Gordon, 1964; Esser, 2001; Alba & Nee, 2003). თუმცა განათლება ასევე მასპინძელი საზოგადოების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებისთვის შეიძლება დაბრკოლებად იქცეს. ამის მთავარი მიზეზი შესაძლოა იყოს ის, რომ უმაღლესი განათლების მქონე იმიგრანტები თავს შედარებით გარიყულად გრძნობენ, რადგან ისინი საკუთარ მდგომარეობას და შესაძლებლობებს უმრავლესობას ადარებენ.

აღმოჩნდა, რომ უმაღლესი განათლება უმრავლესობის წევრებთან იმიგრანტების კონტაქტებს ზრდის (Kalmijn & van Tubergen, 2006; Martinovic, 2013), რაც უმრავლესობის ჯგუფთან საკუთარი მდგომარეობის შედარების უკეთეს შესაძლებლობას იძლევა. გარდა ამისა, დასავლეთის ქვეყნების უმეტესობაში, იმიგრანტთა ჯგუფებში განათლების დონისგან დამოუკიდებლად, უმუშევრობის

დონე გაცილებით მაღალია, რასაც ისიც ამბავს, რომ, მსგავსი განათლების მქონე უმრავლესობის წევრებთან შედარებით, იმიგრანტები უფრო მეტად დროებით სამუშაოებსა და უფრო დაბალ პოზიციებზე საქმდებიან (Alba & Nee, 2003; Kogan, 2006; Hall & Farkas, 2008).

ამრიგად, უმაღლესი განათლების მქონე იმიგრანტებმა შეიძლება თავი უფრო დაუცველად იგრძნონ, რადგან, მსგავსი განათლების მქონე უმრავლესობის წევრებთან შედარებით, მათი მდგომარეობა არასახარბიელოა.

მეორე მხრივ, მზარდი მოლოდინების თეორია ვარაუდობს, რომ იმიგრანტებს, რომლებიც უმაღლეს განათლებას იღებენ და ცდილობენ საზოგადოებაში მაღალი პოზიცია დაიკავონ, უფრო დიდი მოლოდინები უვითარდებათ. შესაბამისად, ისინი, უთანასწორო შესაძლებლობებისა და მოპყრობის გამო, მეტად იმედგაცრუებულები და ფრუსტრირებულები არიან, ვინაიდან მათი მოლოდინები ვერ მართლდება (Entzinger & Dourleijn, 2008).

უმაღლესი განათლების მქონე პირები, უმრავლესობის მიერ მიღებისადმი/არმიღებისადმი, უფრო მგრძობიარეები არიან. დაბალი განათლების მქონე პირებისგან განსხვავებით, მათ შეუძლიათ დარწმუნებით განაცხადონ, რომ შესაძლებლობების ნაკლებობა, დისკრიმინაცია და, არა ძალისხმევისა და უნარების ნაკლებობა, უშლის მათ ხელს ადგილობრივებთან ეკონომიკური თანასწორობის მოპოვებაში.

ამასთანავე, უმაღლესი განათლების მქონე იმიგრანტებს უკეთ ესმით საზოგადოებაში არსებული დისკრიმინაციული პროცესები და შემცირებული შესაძლებლობები (Kane & Kyyro, 2001; Wodtke, 2012). განათლება იმიგრანტებს საშუალებას აძლევს გახდნენ უფრო ინფორმირებული სოციალური კრიტიკოსები, რომლებსაც დისკრიმინაციასთან ბრძოლა და პოლიტიკის ადვოკატირება შეუძლიათ. „იმიგრანტთა პარადოქსის“ (Garcia Coll et al., 2012) გარდა, არსებობს კიდევ ერთი გასაოცარი და პრობლემური ფენომენი - „ინტეგრაციის პარადოქსი“. აღნიშნული პარადოქსი მაშინ ვლინდება, როდესაც იმიგრანტები და მათი შვილები თავიანთ საგანმანათლებლო და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას აუმჯობესებენ.

როგორც აღინიშნა, კლასიკური იმიგრაციის თეორიების მიხედვით, განათლება ხელს უწყობს ინტეგრაციის სხვა ფორმების, მათ შორის, მიკუთვნებულობის გრძობისა და მასპინძელი საზოგადოების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების

გამლიერებას. აღნიშნულ მოსაზრებას, როგორც წესი, იმიგრაციის პოლიტიკაზე მომუშავე პირებიც იზიარებენ. თუმცა, ამის საპირისპიროდ, „ინტეგრაციის პარადოქსი“ გულისხმობს იმას, რომ უფრო მაღალი განათლების მქონე იმიგრანტები, მასპინძელი საზოგადოების მიმართ, მეტი უკმაყოფილებით გამოირჩევიან და ადგილობრივი უმრავლესობისადმი უფრო ნეგატიურ დამოკიდებულებას ავლენენ.

უმაღლესი განათლება და სტრუქტურული ინტეგრაცია იმიგრანტებს ეხმარება საზოგადოებაში არსებული დისკრიმინაცია უკეთ გააცნობიერონ. ის იმიგრანტები, რომლებსაც უმაღლესი განათლება და ინტეგრაციის სურვილი აქვთ, თანასწორ შესაძლებლობებთან დაკავშირებით, საზოგადოებაში არსებულ სერიოზულ პრობლემას აწყდებიან - კერძოდ, ისინი აღმოაჩენენ, რომ სასურველი პოზიციები მათთვის ხელმისაწვდომი არ არის.

საგანმანათლებლო ინვესტიციისა და ძალისხმევის მიუხედავად, მათ, როგორც მეორეხარისხოვან მოქალაქეებს, ისე ექცევიან, რაც, დომინანტური უმრავლესობის მიმართ, მასპინძელი ქვეყნისადმი მიკუთვნებულობის განცდის განვითარებასა და პოზიტიურ დამოკიდებულებას უთხრის ძირს.

მიკუთვნებულობის გრძნობის ნაკლებობამ შეიძლება საზოგადოების ერთიანობა შეარყიოს, რადგან ასეთი გრძნობები, ზოგადად, ეროვნული სოლიდარობის, ერთიანი საზოგადოებისა და ეფექტიანი დემოკრატიის წინაპირობად განიხილება (Verkuyten, 2016).

სწორედ იმიგრანტების მიკუთვნებულობის გრძნობა ინტეგრაციის პროცესში, ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. იუვალ-დევისის მიხედვით (Yuval-Davis, 2011), მიკუთვნებულობა სამ ურთიერთდაკავშირებულ ანალიტიკურ ასპექტს ემყარება. ესენია:

- სოციალური მდგომარეობა;
- სხვადასხვა თემებთან და ჯგუფებთან სოციალური მიჯაჭვულობა;
- იმიგრანტებისა და ადგილობრივების ეთიკური და პოლიტიკური ღირებულებითი სისტემები;

მეორე მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ მიკუთვნებულობის გრძნობას და მის ჩამოყალიბებას მთელი რიგი ფაქტორები (კულტურული, მათ შორის ენა, სოციალური ინტერაქცია, ეკონომიკური, სამართლებრივი უსაფრთხოება, კომფორტი) განსაზღვრავს. აღნიშნული დასტურდება კვლევებითაც, რომელთა

მიხედვით, მიკუთვნებულობის გრძობა კონტექსტუალური ასპექტების კომბინაციით ყალიბდება (Cichocka, 2021).

ვინაიდან კვლევის სამიზნე ჯგუფს, იმიგრანტთა ყველაზე ფართო ჯგუფი, შრომითი მიგრანტები შეადგენენ, მათ ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მიიჩნევა, რომ დროებით შემოსულ შრომით მიგრანტებთან მიმართებით, მხოლოდ ტერმინი „ადაპტაცია“ უნდა გამოიყენებოდეს, რაც ახალ ცხოვრებასა და სამუშაო პირობებთან ადამიანის შეგუების პროცესს გულისხმობს.

იონცევთან ადაპტაცია განმარტებულია, როგორც უფრო ფართო ცნების - ინტეგრაციის ერთ-ერთი ფორმა. კერძოდ, ინტეგრაცია ადაპტაციის პროცესით იწყება - ის შეიძლება შეჩერდეს ამ პროცესის აღნიშნულ ეტაპზე, ან გაგრძელდეს. შესაბამისად, ამ ორი ცნების გაიგივება მართებული არ არის. მიგრანტთა ინტეგრაციის ცნებას ძირითადად მხოლოდ იმ მიგრანტებზე საუბრისას იყენებენ, რომლებიც მასპინძელ ქვეყანაში დარჩენას მუდმივად აპირებენ - ანუ იმიგრანტებზე (Iontsev et.al., 2015).

ჩვენ აღნიშნულ მიდგომას არ ვეთანხმებით, ვინაიდან შრომითი მიგრანტების დაყოფა დროებით და მუდმივად შემოსულ მიგრანტებად, არამართებულად მიგვაჩნია. დროებით შემოსული შრომითი მიგრანტების ეკონომიკური საქმიანობა მასპინძელ ქვეყანაში შესაძლოა წლები გაგრძელდეს და პირიქით, ამიტომ აღნიშნული დროითი ვადების მიხედვით, მიგრანტთა ჯგუფების სეგრეგაცია და მათთან განსხვავებული მიდგომების გამოყენება, არამართებულად მიგვაჩნია.

ამრიგად, მასპინძელ სახელმწიფოში მყოფი, როგორც დროებითი, ისე მუდმივად მცხოვრები შრომითი მიგრანტი, ინტეგრაციას საჭიროებს.

ამავდროულად, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური არ გასცემს ისეთ ინფორმაციას, როგორცაა დროებით და მუდმივ იმიგრანტთა რაოდენობა, იმიგრანტთა ცხოვრების ხანგრძლივობა, მათი დასაქმების სფერო, განათლების დონე, შრომით მიგრანტთა წილი იმიგრანტებს შორის, რაც ანალიზის პროცესს ართულებს და კვლევას აფერხებს.

### 2.3. ინტეგრაციული პოლიტიკა

ინტეგრაციის კონცეფციას, მეცნიერულ კვლევასა და ინტეგრაციული პოლიტიკის შემუშავების პროცესში, განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. მეცნიერული კვლევისთვის საჭიროა ყოვლისმომცველი, ღია (იგულისხმება არანორმატიული), ანალიტიკური კონცეფცია განსახლებისა და ინტეგრაციის პროცესის შესასწავლად. ინტეგრაციული პოლიტიკის არსი კი, საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების, აღნიშნულ შემთხვევაში, იმიგრანტების ინტეგრაციული პროცესების წარმართვაში მდგომარეობს.

ევროპაში ინტეგრაციული პოლიტიკის ყოვლისმომცველი შესწავლის ტრადიცია, ჰამარის კლასიკური კვლევით დაიწყო (Hammar, 1985), რომელსაც ნიდერლანდებში ისეთი გამოჩენილი მომხრეები ჰყავდა, როგორებიც არიან ენცინგერი (Entzinger, 1984) და შოლტენი (Scholten, 2011).

ინტეგრაციული პოლიტიკა ნორმატიული პოლიტიკური პროცესის ნაწილია, რომელშიც ინტეგრაციის საკითხი ჩამოყალიბებულია, როგორც პრობლემა. სწორედ ეს პრობლემა ექცევა ნორმატიულ ჩარჩოში და სასურველი შედეგის მისაღწევად კონკრეტული პოლიტიკური ზომები მუშავდება.

ამრიგად, ინტეგრაციული პოლიტიკის შესწავლა ინტეგრაციის პროცესების შესწავლისგან ძირეულად განსხვავდება. ინტეგრაციული პოლიტიკის შესწავლისას, პირველი გასაანალიზებელი კითხვაა - როგორ აღიქვამენ სხვადასხვა პოლიტიკური და სოციალური აქტორები იმიგრანტების ინტეგრაციას?

ინტეგრაცია შეიძლება გავიგოთ, როგორც მოცემულ ქვეყანაში ახალმოსულთა განსახლების პროცესი, კერძოდ, იმიგრანტთა ურთიერთქმედება მასპინძელ საზოგადოებასთან და შემდგომი სოციალური ცვლილებები.

ჩამოსვლის დღიდან იმიგრანტების მთავარი ამოცანებია საცხოვრისის პოვნა, დასაქმება და შემოსავალი, შვილების განათლება და ჯანდაცვის სისტემაზე წვდომა. ამავდროულად, მათ უნდა დაიმკვიდრონ საკუთარი ადგილი სოციალურ და კულტურულ სივრცეში, რათა თანამშრომლობა დაამყარონ საზოგადოების სხვა წევრებთან და ჯგუფებთან. ისინი უნდა იყენებდნენ მასპინძელი საზოგადოების ინსტიტუტებს და მათაც, თავის მხრივ, უნდა აღიარონ და მიიღონ იმიგრანტები, როგორც პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული აქტორები.

მიიჩნევენ, რომ ყველა ამ ელემენტის ურთიერთქმედება ორმხრივ პროცესს წარმოადგენს, რომლის შედეგადაც მიგრანტები ადაპტირდებიან და იცვლებიან, თუმცა ცვლილებას მასპინძელი საზოგადოებაც განიცდის. ეს იმიგრანტს (ნახ. #1-ის მარცხენა ნაწილი) და მიმღებ საზოგადოებას (ნახ. #1-ის მარჯვენა ნაწილი) შორის ორმხრივი ურთიერთქმედებაა, თავისი მახასიათებლებითა და ახალმოსულებისადმი დამოკიდებულებით (იხილეთ ნახ. #1).

აღსანიშნავია, რომ რესურსებისა და ძალაუფლების თვალსაზრისით, ეს ორი მხარე უთანასწოროა. მოცემულ პროცესს ძირითადად მიმღები საზოგადოება, განსაკუთრებით, მისი ინსტიტუტები და იმიგრანტებისადმი დამოკიდებულება წარმართავს (Penninx, 2019).

ზოგადად, ინტეგრაციის პროცესი შეიძლება რამდენიმე დონედ დავყოთ. მაგალითისთვის, ჰეკმანი ოთხ მათგანს გვთავაზობს:

- სტრუქტურული ინტეგრაცია (structural integration) - კონკრეტული პირების მდგომარეობა მიმღები ქვეყნის ძირითად ინსტიტუტებში (შრომითი ბაზარი და, ზოგადად, ეკონომიკა, განათლება, განსახლება, ჯანმრთელობის დაცვა, სოციალური უზრუნველყოფა, მოქალაქეობა და პოლიტიკური მონაწილეობა).
- კულტურული ინტეგრაცია (cultural integration), რომელსაც აკულტურაციასაც უწოდებენ - გულისხმობს მიმღები ქვეყნის კულტურისა და ცხოვრების წესის ათვისებას. დიდი როლი ენიჭება ენის ფაქტორს, ვინაიდან იგი ინტეგრაციის სხვა არხების გასაღებს წარმოადგენს.
- ინტერაქტიული ინტეგრაცია (interactive integration) - მიგრანტთა მონაწილეობა და მიღება მასპინძელი საზოგადოების სოციალურ ქსელებში. ინტერაქტიული ინტეგრაციის ტიპიურ ინდიკატორებად შეგვიძლია მივიჩნიოთ: მეგობრობა, კლუბებისა და ორგანიზაციების წევრობა და, უფრო მაღალ დონეზე, რომანტიკული პარტნიორობა და ქორწინება.
- იდენტიფიკაციური ინტეგრაცია (identificational integration) - უფრო გვიან ეტაპებზე ვითარდება და წინა სამ განზომილებას ეფუძნება. იგი წარმოადგენს იმ მდგომარეობას, როდესაც ახალჩამოსული საკუთარ თავს მიმღები ქვეყნის სოციალურ სისტემაში არამხოლოდ მიგრანტად აღიქვამს,

არამედ, მასპინძელ საზოგადოებასთან და კულტურასთან კოლექტიური კუთვნილების გრძნობას განიცდის (Heckmann, 2005).

კრიტიკოსთა აზრით, აღნიშნული სქემა იმიგრანტის ინტეგრაციის პროცესს სწორხაზოვნად განიხილავს. ის ყურადღების მიღმა ტოვებს იმ ფაქტს, რომ მიმღები საზოგადოებაც არ არის ერთგვაროვანი და მრავალი ეთნიკური, კლასობრივი თუ სხვა სტრატეგისგან/შრეებისგან შედგება.

მეორე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ის, რომ ახალ ქვეყანაში ჩამოსვლისას, მიგრანტი ორმაგი გამოწვევის წინაშე დგას: ეთნიკურ/იმიგრანტთა თემში ინტეგრაცია, რომლის დახმარებითაც მან შეიძლება იპოვოს სამსახური, საცხოვრებელი ადგილი და უფრო ფართო - მიმღები ქვეყნის საზოგადოებაში ინტეგრაცია. კვლევათა მცირე ნაწილი ინტეგრაციის აღნიშნულ ფაქტორებზე ფოკუსირდება. სქემის კიდევ ერთ ხარვეზს წარმოადგენს ის, რომ იგი სივრცით ინტეგრაციას უკუაგდებს (King & Lulle, 2016).

ინტეგრაციის სფეროში კიდევ ერთ მნიშვნელოვან, ხშირად ციტირებად სქემას გვთავაზობენ ეგერი და სტრენგი (Ager & Strang, 2004). მათი ინტეგრაციული სტრუქტურა მოიცავს:

- საშუალებებსა და მარკერებს (means and markers) - ისინი თავის მხრივ ოთხი ელემენტისგან შედგება: დასაქმება, განსახლება, განათლება და ჯანდაცვა.
- სოციალურ კავშირებს (social connections) - კავშირები ინტეგრაციის პროცესში ხაზს უსვამს პირადი ურთიერთობების მნიშვნელობას. ინტეგრაციული პროცესი შედგება სოციალური კავშირებისგან, ხიდებისა და ბმულებისგან.
- ფასილიტატორებს (facilitators) - რომლებიც აღნიშნულ მოდელში ენისა და კულტურის ცოდნას გულისხმობს. ეგერი და სტრენგი ენას მთავარ ინტეგრაციულ კომპეტენციას უწოდებენ. მათი აზრით, „ენის ცოდნა კულტურის ცოდნას ნიშნავს“.
- საფუძველს (foundation) - უფლებებისა და მოქალაქეობის სფერო, სამოქალაქო და ადამიანის უფლებები, რომელსაც ყველა განზომილება ეფუძნება (იხილეთ ნახ. #2).

რასელ კინგმა და აია ლულმა (Russel King & Aija Lulle, 2016) სცადეს ეგერისა და სტრენგის (Ager & Strang, 2004) და ჰეკმანის (Heckmann, 2005) თეორიული ჩარჩოების გაერთიანება და გამარტივებული მიდგომა, უფრო ზუსტად, მიგრანტების

ინტეგრაციის სფეროების ჩამონათვალი შექმნეს, რომელიც მოიცავს: ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ, საგანმანათლებლო, პოლიტიკურ და მოქალაქეობრივ ინტეგრაციას, ასევე, ინტეგრაციის სივრცულ განზომილებებს. ეს უკანასკნელი, რომელიც მანამდე ცნობილი განზომილებებისგან განსხვავდება, მიგრანტების ინტეგრაციის ტერიტორიული (რეგიონული) თავისებურებების გარკვევისთვის კარგ შესაძლებლობას ქმნის.

ზოგადად, ინტეგრაციის პროცესისა და ინტეგრაციული პოლიტიკის გასაგებად, შესაძლებელია მარტივი ტიპოლოგიის გამოყენება, რომელიც მოქალაქეობის კონცეფციას, კერძოდ კი, მის სამ განზომილებას ემყარება:

- სამართლებრივ-პოლიტიკური;
- სოციალურ-ეკონომიკური;
- კულტურულ-რელიგიური (Penninx & Garcés-Mascareñas, 2016).

*სამართლებრივ-პოლიტიკური განზომილება* მოიცავს ბინადრობასა და პოლიტიკურ უფლებებს და სტატუსს. აქ მთავარი საკითხია, იმიგრანტი რამდენად განიხილება პოლიტიკური საზოგადოების სრულუფლებიან წევრად.

იმიგრანტის მდგომარეობას - „ინტეგრაციის ხარისხს“ ორი უკიდურესი პოლუსი აქვს. ერთი არის არალეგალური იმიგრანტის პოზიცია/მდგომარეობა, რომელიც, იურიდიულ-პოლიტიკური თვალსაზრისით, მასპინძელი საზოგადოების ნაწილი არ არის.

მეორე არის იმიგრანტის პოზიცია, რომელიც მასპინძელი ქვეყნის მოქალაქე გახდა. მათ შორის არის სტატუსებისა და უფლებების დიდი მრავალფეროვნება, რომელიც, ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ევროპაში საერთაშორისო მიგრაციის „დარეგულირების“ სახელმწიფო მცდელობების საპასუხოდ წარმოიშვა.

*სოციალურ-ეკონომიკური განზომილება* გულისხმობს მიგრანტთა სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას, განურჩევლად მათი მოქალაქეობისა. აღნიშნული განზომილების ფარგლებში, იმიგრანტთა ვითარების შესაფასებლად, შეიძლება გაანალიზდეს იმიგრანტთა ხელმისაწვდომობა და მონაწილეობა ნებისმიერი ბინადრისთვის მნიშვნელოვან სფეროებში. აქვთ მათ თანაბარი წვდომა ინსტიტუციურ დაწესებულებებთან სამსახურის მოძიების, განსახლების, განათლების მიღებისა და ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობისთვის? რამდენად სარგებლობენ ისინი ამ საშუალებებით?



კულტურულ-რელიგიური განზომილება ეხება იმიგრანტებისა და მიმღები საზოგადოების აღქმებისა და პრაქტიკის სფეროს, ისევე, როგორც განსხვავებულობასა და მრავალფეროვნებაზე მათ საპასუხო რეაქციას.

მიმღებმა საზოგადოებამ კულტურული ან რელიგიური მრავალფეროვნება შეიძლება აღიაროს ან არ აღიაროს. ამ შემთხვევაში ორი უკიდურესობა წარმოიშობა. ერთ-ერთი მოდელის მიხედვით, ახალი მრავალფეროვნება შეიძლება უარყოფილ იქნეს და იმიგრანტებს მონოკულტურულ და მონორელიგიურ საზოგადოებებში ადაპტაცია და ასიმილაცია მოეთხოვოთ.

მეორე შემთხვევაში, პლურალისტურ სოციალურ სისტემებში, ეთნიკური იდენტობა, კულტურა და მსოფლმხედველობა, შეიძლება თანაბარ დონეზე იყოს მიღებული. ამ ორ უკიდურესობას შორის, კვლავ მრავალი შუალედური პოზიციაა, როგორებიცაა მრავალფეროვნების გარკვეული ფორმების მიღება კერძო სფეროში, მაგრამ არა, ან მხოლოდ ნაწილობრივ, საჯარო სფეროში. ზოგადად, მესამე განზომილება უფრო რთული გასაზომია, ვინაიდან იგი ობიექტურ განსხვავებებს ნაკლებად ეხება და აღქმასა და ორმხრივ შეფასებებს მოიცავს.

ეს სამი განზომილება ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებელი არ არის. სამართლებრივ-პოლიტიკურმა განზომილებამ, შესაძლოა, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-რელიგიური მახასიათებლები განაპირობოს (Penninx, 2019), თუმცა ამტკიცებენ (მაგ., Entzinger & Biezeveld, 2003), რომ მიგრანტების ინტეგრაციის აღნიშნული სამი განზომილების გარდა, არსებობს კიდევ ერთი - მიმღები საზოგადოებების დამოკიდებულება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს უკანასკნელი, დამოუკიდებელი მოცემულობა კი არ არის, არამედ განხილული მახასიათებლების შემადგენელი ნაწილია.

ამრიგად, წარმატებული ინტეგრაციული პროცესის გაზომვა რთულია, რადგან ის მრავალშრიანია და მიგრანტების გამოცდილების ყველა სფეროს მოიცავს, განათლებითა და დაბინავებით დაწყებული, პოლიტიკური მონაწილეობითა და სამოქალაქო ჩართულობით დამთავრებული (Gallagher, 2018).

აქედან გამომდინარე, იმიგრანტა ინტეგრაციის პროცესი შესაძლოა სხვადასხვა დონეზე შეფასდეს. პირველ დონეს წარმოადგენენ ინდივიდები - როგორც მიგრანტები, ასევე მიმღები საზოგადოების ადგილობრივი წევრები.

ინდივიდუალურ დონეზე იმიგრანტების ინტეგრაცია, პირველი განზომილების შემთხვევაში, შეიძლება მათი სამართლებრივი სტატუსისა და პოლიტიკური მონაწილეობის მიხედვით შეფასდეს.

მეორე განზომილების შემთხვევაში, ყურადღება უნდა მიექცეს იმიგრანტების სოციალურ-ეკონომიკურ ინტეგრაციასა და მათ მდგომარეობას განსახლების, სამუშაოს, განათლებისა და ჯანმრთელობის სფეროებში.

მესამე განზომილების შემთხვევაში, ხდება სპეციფიკურ კულტურულ-რელიგიურ ჯგუფთან და მიმღებ საზოგადოებასთან მათი მიკუთვნებულობის, იდენტიფიცირების გაზომვა, ამასთანავე, მათი კულტურული და რელიგიური პრაქტიკების შეფასება.

მეორე დონეს ორგანიზაციები წარმოადგენს. არსებობს იმიგრანტთა ორგანიზაციები, რომლებიც ჯგუფის რესურსებისა და მიზნების მობილიზებას ემსახურება. ისინი შეიძლება იყოს ძლიერი ან სუსტი, მიმღებ საზოგადოებაში მონაწილეობის გარკვეულ ასპექტებზე იყოს ორიენტირებული, ან ჯგუფის კონკრეტულ კულტურულ და რელიგიურ საჭიროებებზე ფოკუსირდებოდეს. აღნიშნული ორგანიზაციები შეიძლება სამოქალაქო საზოგადოების მისაღები ნაწილი ინტეგრაციის პოლიტიკის პოტენციური პარტნიორი გახდეს, ან მასპინძელი საზოგადოებისგან იზოლაციაში აღმოჩნდეს.

ამასთანავე არსებობს მიმღები საზოგადოების ორგანიზაციებიც, რომელთა კეთილგანწყობას, აღქმასა და ქცევას, იმიგრანტებისა და მათი ორგანიზაციებისადმი, ინტეგრაციის პროცესში, გადამწყვეტი მნიშვნელობა შესაძლოა ჰქონდეს. მაგალითისთვის, კვლევით დგინდება, რომ 2002 წლამდე გერმანიაში სამთავრობო ინტეგრაციული პოლიტიკის არარსებობის პირობებში, არასამთავრობო ორგანიზაციები, განსაკუთრებით, პროფკავშირები და ეკლესიები, შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახების ინტეგრაციის პროცესში გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ (Penninx & Roosblad, 2000); (Marino, Roosblad & Penninx, 2017).

მესამე დონეს ინსტიტუტები შეადგენს. განსაკუთრებით აქტუალურია ორი სახის ინსტიტუტი. პირველი - მიმღები საზოგადოების ზოგადი საჯარო ინსტიტუტებია, რომლებიც სამ განზომილებას მოიცავს:

- პოლიტიკური სისტემის ინსტიტუციური მექანიზმები;

- ინსტიტუციური მექანიზმები შრომის ბაზარზე, საცხოვრებლის, განათლებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში;
- კულტურული და რელიგიური მრავალფეროვნების ინსტიტუციური მექანიზმები.

კანონები, რეგულაციები და აღმასრულებელი ორგანიზაციები, ისევე, როგორც დაუწერელი წესები და პრაქტიკები, ამ ინსტიტუტების ნაწილია.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი ინსტიტუტები ყველა მოქალაქეს თანასწორად/თანაბრად უნდა ემსახურებოდნენ, მათ შეიძლება ხელი შეუშალონ იმიგრანტების წვდომას, ისინი ფორმალურად გარიყონ - მთლიანად - როგორც ამას უმეტესი ქვეყნების პოლიტიკური სისტემა აკეთებს ან ნაწილობრივ - მაგალითად, როდესაც სოციალური უზრუნველყოფისა და კეთილდღეობის სისტემები არამოქალაქეებს მხოლოდ შეზღუდულ მომსახურებას სთავაზობენ.

იმ პირობებშიც კი, როდესაც ყველა მაცხოვრებლის თანაბარი წვდომა უზრუნველყოფილია კანონით, ინსტიტუტებს შეუძლიათ ხელი შეუშალონ სამართლიან შედეგებს ენობრივი ბარიერის, კულტურული და რელიგიური წარმომავლობის და სხვა ფაქტორების მხედველობაში არმიღებით ან არგათვალისწინებით. ამრიგად, ზოგადი საჯარო ინსტიტუტების ადეკვატური ფუნქციონირება და მზარდ მრავალფეროვნებასთან მათი ადაპტირება უმნიშვნელოვანესია (Pennix, 2001).

ინსტიტუტების მეორე ტიპი განსაკუთრებით აქტუალურია მიგრანტთა ინტეგრაციისთვის, ვინაიდან მასში, ძირითადად, მიგრანტთა ჯგუფებისთვის შექმნილ რელიგიურ ან კულტურულ ინსტიტუტებს მოიაზრებენ. ზოგადი ინსტიტუტებისგან განსხვავებით, მათი გავლენა მხოლოდ იმ პირებზე ვრცელდება, რომლებიც ამ ინსტიტუტების ნაწილი ნებაყოფლობით ხდებიან. მიუხედავად იმისა, რომ მათი ადგილი, უპირველეს ყოვლისა, კერძო სფეროშია, როგორც ევროპის ქალაქებში და შტატებში ეკლესიების, პროფკავშირების და პროფესიული ინსტიტუტების ისტორია გვიჩვენებს, ჯგუფზე ორიენტირებული სპეციფიკური ინსტიტუტები შესაძლოა სამოქალაქო საზოგადოების აქტორები გახდნენ. მიგრანტთა ზოგიერთი სპეციფიკური ინსტიტუტი, ადგილობრივი ჯგუფების ინსტიტუტების ეკვივალენტურიც კი შეიძლება გახდეს და საზოგადოების მისაღებ ნაწილად იქცეს.

თუმცა, სხვები შეიძლება იზოლაციაში მოყვნენ, არ აღიარონ, ან გაირიყონ (Penninx & Garcés-Mascareñas, 2016).

მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალურ, ორგანიზაციულ და ინსტიტუციურ დონეზე სხვადასხვა მექანიზმები მოქმედებს, ყველა ამ დონეზე მიღებული შედეგები ურთიერთდაკავშირებულია. ინსტიტუციური მექანიზმები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ორგანიზაციების შესაძლებლობებსა და საქმიანობას. ამავდროულად, მათ იმიგრანტთა ორგანიზაციების განვითარებაზე დიდი გავლენის მოხდენა შეუძლიათ. ინსტიტუტები და ორგანიზაციები ინდივიდებისთვის შესაძლებლობებისა და შეზღუდვების სტრუქტურას ერთად ქმნის, და პირიქით, ცალკეულ პირებს შეუძლიათ მობილიზება და ორგანიზაციათა ლანდშაფტის ცვლილება, და მეტიც, საერთო ინსტიტუციურ მექანიზმებში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება. ზემოთ აღნიშნული ძალაუფლებისა და რესურსების არათანაბარი განაწილების გათვალისწინებით, ასეთი მაგალითები ცოტაა, მაგრამ ისინი არსებობს (Penninx, 2019).

უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში, ევროპაში მზარდმა ეთნიკურმა და კულტურულმა მრავალფეროვნებამ იგი „ინტეგრაციის კონტინენტად“ გადააქცია. ეს პროცესი თავლსაჩინოდ მიმდინარეობს ყველა თუ არა, ქვეყანების უმრავლესობაში. ზოგიერთ ქვეყანაში, როგორცაა საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და ნიდერლანდები, ეს საკმაოდ გრძელვადიანი პროცესი აღმოჩნდა. სხვა ქვეყნებში, მაგ., იტალიაში, ესპანეთში და პორტუგალიაში, ის უფრო გვიან დაიწყო. ევროპის დანარჩენ სახელმწიფოებში, ძირითადად, აღმოსავლეთ ევროპაში კი, პრაქტიკულად არც დაწყებულა (King & Lulle, 2016). შეიძლება ითქვას, რომ საქართველო სწორედ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ინტეგრაციულ ტენდენციების ფარგატერშია.

საქართველო ოფიციალურად ევროპულ სტანდარტებს იყენებს და ცდილობს მათ პრაქტიკაში განხორციელებას. 2005 წელს ევროკავშირის კომისიამ (*EU Commission of the European Communities*) ინტეგრაციის საერთო დღის წესრიგი მიიღო, რომელიც იმიგრანტების ინტეგრაციული პოლიტიკის 11 ძირითად პრინციპს მოიცავს (CEC, 2005).

პირველივე პრინციპი ინტეგრაციას განმარტავს, როგორც ორმხრივ დინამიკურ პროცესს. დანარჩენი 10 პრინციპი, პირობითად, შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს:

პრინციპების პირველი ნაწილი, მასპინძელი ქვეყნებისთვის, მეორე კი - იმიგრანტთა თემებისთვის არის განკუთვნილი.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების ხელისუფლებებისთვის რეკომენდებულია იმიგრანტების უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფა დასაქმების, განათლების, დემოკრატიულ პროცესში მონაწილეობის, ინსტიტუტებთან წვდომის, საკუთარი რელიგიისა და კულტურის პრაქტიკის კუთხით, ასევე, მათ იმიგრანტებსა და მოქალაქეებს შორის, ურთიერთქმედება უნდა გააძლიერონ.

ამავდროულად, ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთავრობებმა ინტეგრაციული პოლიტიკა უნდა გაავრცელონ და მისი განხორციელების ინდიკატორები და შეფასების მექანიზმები უნდა შეიმუშაონ.

მეორე მხრივ, იმიგრანტებს ურჩევნია პატივი სცენ ევროკავშირის ძირითად ფასეულობებს და მასპინძელი საზოგადოების ენის, ისტორიისა და ინსტიტუტების შესახებ საბაზისო ცოდნა მიიღონ (Gogsadze et al., 2022).

## 2.4. ლიუბლიანის დოკუმენტი

ისტორიულად, იმიგრანტთა მიღებისას, სახელმწიფოები ასიმილაციის იმ პოლიტიკით ხელმძღვანელობდნენ, რომელიც მე-19 საუკუნის მასობრივი ემიგრაციების დროიდან ხორციელდებოდა.

ასიმილაციის პოლიტიკა ახალჩამოსულებს აკისრებდა პასუხისმგებლობას, რომ მასპინძელი საზოგადოების სოციალურ და კულტურულ ნორმებს მორგებოდნენ და, ამავდროულად, მათი საკუთარი ქვეყნის სოციალურ, კულტურულ და ენობრივ მახასიათებლებზე უარი ეთქვათ. ამრიგად, ისინი საბოლოოდ ერწყმოდნენ მიმღებ საზოგადოებას, რომელსაც შესაძლოა ასევე უმნიშვნელო ცვლილებები განეცადა (de Haas et al., 2020).

1970-იანი წლებიდან იმიგრანტთა კულტურული იდენტობის წაშლის ასეთმა პოლიტიკამ შეშფოთება გამოიწვია (de Haas et al., 2020), რამაც მულტიკულტურალიზმისა და პლურალიზმის გაჩენას შეუწყო ხელი. მულტიკულტურული პოლიტიკა იმიგრანტებისთვის თანაბარი უფლებებისა და რესურსების ხელმისაწვდომობის მინიჭებას ისახავს მიზნად.

კანადა მულტიკულტურალიზმის წარმატების მაგალითად მიიჩნევა, რადგან იმიგრანტები, სხვა დასავლურ ქვეყნებთან შედარებით, ამ ქვეყანაში უფრო დიდი

ალბათობით ხდებიან მოქალაქეები და ხმის მიცემისა და პოლიტიკაში ჩართულობის შესაძლებლობას იღებენ. ამავდროულად, კანადელები უფრო პოზიტიურად აღიქვამენ იმიგრაციას, ვიდრე სხვა დასავლური დემოკრატიული ქვეყნების მოქალაქეები (Kymlicka, 2012).

თუ მრავალფეროვან საზოგადოებებს ეფექტიანი ინტეგრაციული პოლიტიკა არ ექნებათ, არსებობს იმის საშიშროება, რომ სხვადასხვა, განსაკუთრებით დიდი და ტერიტორიულად დაშორებული თემები განცალკევდნენ, საერთო ინტერესები აღარ გაიზიარონ და მიკუთვნებულობის განცდა გაუქრეთ. ასეთი განცალკევება დანაწევრებულ საზოგადოებებში, მრავალეთნიკური სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობისა და სტაბილურობისთვის, მნიშვნელოვან რისკს წარმოშობს. აღნიშნული რისკის შემცირება სწორად წარმართული ინტეგრაციული პროცესის მეშვეობით არის შესაძლებელი, რაც სამართლიანი საზოგადოების აღმშენებლობის წინაპირობას წარმოადგენს.

ლიუბლიანის დოკუმენტი ეუთოს უმაღლესი კომისრის ეროვნული უმცირესობების სახელმძღვანელო პრინციპების ნაკრებია, რომელიც 2012 წელს მიიღეს. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, ინტეგრაცია პასუხისმგებლობას, ადამიანთა უფლებების პატივისცემას და ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფას გულისხმობს, რომელსაც სუვერენიტეტი მოიცავს და ეს ყველაფერი ნებისმიერი პლურალისტული საზოგადოების საერთო სტაბილურობას უკავშირდება (OSCE, 2012).

აღნიშნული დოკუმენტის სახელმძღვანელო პრინციპებს, მრავალფეროვანი საზოგადოებების ინტეგრაციისთვის, სწორედ ასეთი მიდგომის დანერგვა წარმოადგენს.

სახელმძღვანელო მითითებები უმცირესობის კულტურის, იდენტობისა და პოლიტიკური ინტერესების მხარდაჭერა-აღიარებას სცილდება და სახელმწიფოებს, ეთნიკურ უმცირესობებთან კომუნიკაციის და ურთიერთქმედების უზრუნველსაყოფად, დამატებით რეკომენდაციას აძლევს (OSCE, 2012).

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ინტეგრაცია ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში მრავალფეროვანი საზოგადოების ყველა წევრის ეფექტიან მონაწილეობას უზრუნველყოფს და, ამავდროულად, საერთო, ინკლუზიური გრძნობის ჩამოყალიბებასაც უწყობს ხელს (OSCE, 2012).

სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ პოლიტიკა, რომელიც ისეთი მრავალფეროვანი საზოგადოების შექმნას დაისახავს მიზნად, რომელშიც ნებისმიერი ეთნიკური, ენობრივი, კულტურული თუ რელიგიური ჯგუფის წარმომადგენელს საერთო, ინკლუზიური სამოქალაქო იდენტობა ექნება და მის შენარჩუნებას შეძლებს. ამის მიღწევა ხელეწიფება ყველას, თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფით, რომელიც სახელმწიფოს პოლიტიკითაა განსაზღვრული (OSCE, 2012).

სუვერენული სახელმწიფო სტაბილური საზოგადოების წინაპირობაა. სუვერენიტეტი გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფოს აქვს უფლებები და პასუხისმგებლობები, როგორც საკუთარი მოსახლეობის, ისე საერთაშორისო საზოგადოების წინაშე.

სუვერენიტეტი შემდეგი პრინციპების შესაბამისად უნდა განხორციელდეს:

- დემოკრატიული მმართველობა;
- დისკრიმინაციის აკრძალვა;
- თანასწორობისა და პატივისცემის უზრუნველყოფა;
- ადამიანის უფლებების დაცვა.

სახელმწიფოს ერთ-ერთი სუვერენული პასუხისმგებლობა უნდა მოიცავდეს ინტეგრაციული პოლიტიკის განხორციელებას, რომელიც ჯანსაღ ინსტიტუციურ და საკანონმდებლო ჩარჩოებზე იქნება დაფუძნებული. სახელმწიფოს მიერ საზოგადოების ინტეგრაციის ხელშეწყობა, მდგრადი მშვიდობა, სტაბილურობა, შიდა და გარე უსაფრთხოება და კეთილდღეობა სუვერენიტეტით არის გათვალისწინებული. სახელმწიფოებმა, პოლიტიკისა და ინსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩოების საშუალებით, უნდა დაიცვან თავიანთი მრავალფეროვნება, რაც ინკლუზიას, აღიარებასა და ურთიერთშეთანხმებას უწყობს ხელს (OSCE, 2012).

საზოგადოებაში მდგრადი მშვიდობის, სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის მიღწევა საზოგადოების ინტეგრაციით არის შესაძლებელი. საზოგადოების ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის სახელმწიფოებმა მრავალფეროვნება უნდა აღიარონ და უმცირესობების ასიმილაციის მცდელობებისაგან თავი შეიკავონ (OSCE, 2012).

გარდა ამისა, სახელმწიფოები ვალდებულები არიან მათ მონაწილეობას საზოგადოებრივ საქმეებში და თავიანთი იდენტობის, კულტურის, ენის და რელიგიის შენარჩუნებაში ხელი შეუწყონ (OSCE, 2012).

ინტეგრაცია მოითხოვს მოცემული საზოგადოების ყველა წევრის საერთო საზოგადოებრივი ინსტიტუტებისადმი, სახელმწიფოსა და საზოგადოებისადმი მიკუთვნებულობას. ლიუბლიანის დოკუმენტის მიხედვით, ინტეგრაციული პოლიტიკის განხორციელება საჯარო და კერძო სექტორის მრავალი დაინტერესებული მხარის, აქტორების ჩართულობას გულისხმობს. ის საზოგადოების ყველა სექტორზე ახდენს გავლენას და, შესაბამისად, ყველა დონეზე არსებული ინსტიტუტების, სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორისა და არასამთავრობო ორგანიზაციათა ჩართულობასაც მოითხოვს (OSCE, 2012).

ინტეგრაციული პოლიტიკის ფორმულირებასა და განხორციელებაში მთავრობას წამყვანი როლი ენიჭება. ქვეყნის ტერიტორიული და ადმინისტრაციული სტრუქტურის გათვალისწინებით, ინტეგრაციულმა პოლიტიკამ, მმართველობის თითოეულ დონეზე, სხვადასხვა ინსტიტუტის როლები და ამოცანები უნდა განსაზღვროს (OSCE, 2012).

სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა ფართო სპექტრის საკითხებს მოიცავს, მათ შორის, სათანადო საცხოვრებელ პირობებს, ჯანმრთელობის დაცვას, სოციალურ დაცვას (სოციალური დაზღვევა და სოციალური შეღავათები), სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფას, განათლებასა და დასაქმებას (მათ შორის, ინკლუზიას შრომით ბაზარზე, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო დამსაქმებლებთან და ბიზნესის ხელმისაწვდომობასა და თვითდასაქმების სხვა შესაძლებლობებს).

სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ყველას, მიუხედავად ეთნიკური წარმოშობისა, თანაბარი შესაძლებლობები ჰქონდეს ეკონომიკაში მონაწილეობის მისაღებად, რესურსებზე წვდომისა და ქვეყნის საერთო სიმდიდრით სარგებლობის თვალსაზრისით.

საზოგადოების ინტეგრაცია მოითხოვს, რომ უმცირესობების წარმომადგენლებს საკუთარი კულტურული მემკვიდრეობის, თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და განვითარების უფლება ჰქონდეთ მინიჭებული (OSCE, 2012).



ერთი სიტყვით, რომ შევაჯამოთ, ლიუბლიანის დოკუმენტი სახელმწიფოებს ეფექტიანი ინტეგრაციული პოლიტიკის განხორციელების რეკომენდაციას აძლევს, რაც მრავალეთნიკური სახელმწიფოების სიცოცხლისუნარიანობისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად საუკეთესო საშუალებაა.

დოკუმენტში განხილულია მოქალაქეობის საკითხიც, რომელიც ინტეგრაციული პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. მოქალაქეობა საერთო მიკუთვნებულობას, ღირებულებების ერთიანობას გულისხმობს, როგორც მოქალაქისთვის, ასევე მოქალაქეობის მიმნიჭებელი სახელმწიფოსთვის. იგი ხელს უწყობს პირის მონაწილეობას და მიკუთვნებულობის განცდას ამძაფრებს, შესაბამისად, ეხმარება მის მიმღებ საზოგადოებაში ინტეგრაციას, რაც შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოების ყველა წევრს ეფექტიანი მონაწილეობის შესაძლებლობა აქვს. ეფექტიანი მონაწილეობა საზოგადოებრივ საქმეებსა და სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ყველა ასპექტში მონაწილეობას გულისხმობს (OSCE, 2012).

ალბათ არ არსებობს ისეთი თემა, რომელიც ინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებით მეტ გაუგებრობასა და უთანხმოებას წარმოქმნიდა, როგორც მოქალაქეობა და მასთან დაკავშირებული უფლებებისა და მოვალეობების საკითხია. ეს სხვადასხვა საზოგადოებაში მოქალაქეობის განსხვავებულ გაგებას ნაწილობრივ ასახავს.

1980-იანი წლებიდან იწყება მოქალაქეობის, როგორც თანამედროვე ფენომენის კვლევის პოპულარიზაცია. რა თქმა უნდა, ეს არ გულისხმობს იმას, რომ ამ პერიოდამდე მეცნიერები და ინტელექტუალები აღნიშნული პრობლემატიკით არ ინტერესდებოდნენ. მეტიც, სწორედ მე-20 საუკუნის 50-60-იან წლებში იქმნებოდა ისეთი ნაშრომები, რომელებიც შეგვიძლია აღნიშნული დარგის კლასიკურ მაგალითებს მივაკუთვნოთ (Marshall, 1950; Rokkan, 1961; Bendix, 1964). თუმცა, მე-20 საუკუნეში სამოქალაქო იდენტობის საკითხი მეცნიერების ინტერესის სფეროს ნაკლებად წარმოადგენდა და, შეიძლება ითქვას, რომ მას ბოლო ათწლეულებში მეტი ყურადღება მიექცა.

მოქალაქეობა, როგორც სოციალური ინსტიტუტი და პრაქტიკა, დასავლური ცივილიზაციის უნიკალური მონაპოვარია. ის თავდაპირველად ასოცირდებოდა პოლიტიკური თემის წევრობის პრივილეგიასთან, რომელიც მის წევრებს

მოქალაქეობის განსაკუთრებულ სტატუსს ანიჭებდა და ავალდებულებდა ჩართულიყვნენ საზოგადოებრივ საქმეებში, მონაწილეობა მიეღოთ საჯარო განხილვებსა და ზოგადი გადაწყვეტილებების მიღებაში.

მოგვიანებით, მოქალაქეობის პოლიტიკურ მონაწილეობასთან გაიგივების იდეამ შესუსტება დაიწყო და ადგილი მოქალაქეობის სხვა, ახალი ასპექტების განვითარებას დაუთმო, რომლებიც თავისუფალი და თანასწორი ადამიანების პოლიტიკურ ცხოვრებაზე არც ისე ორიენტირებული იყო. თუმცა, ასეთი მიდგომა, მოქალაქეობის მნიშვნელობის დაკარგვის რისკს ბადებს (Bellamy, 2008).

მოქალაქეობა, როგორც სოციალური ინსტიტუტი, არ შემოიფარგლება მხოლოდ მონაწილეობის იდეით. ის, მინიმუმ, სამი ძირითადი ნაწილისგან შედგება:

- გარკვეული პოლიტიკური საზოგადოების წევრობა;
- უფლებები და მათი მატერიალური უზრუნველყოფა, რომლებიც მიღებულია პოლიტიკური თემის წევრობით;
- მონაწილეობა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ პროცესებში, რაც თემის ცხოვრებას განსაზღვრავს.

ეს სამი ელემენტი განუყოფელია. პრაქტიკაში ისინი ერთმანეთს აძლიერებს და დემოკრატიული ცხოვრებისა და ადამიანთა გაერთიანებების კეთილდღეობისთვის აუცილებელ კონტექსტს ქმნის. მოქალაქეობის ინსტიტუტის ამ სამ ძირითად კომპონენტს შორის, პირველ ადგილზე, რა თქმა უნდა, წევრობაა, რომელიც პასუხობს შეკითხვას, ვინ არის მოქალაქე? წევრობის საკითხი მოქალაქეობის ინსტიტუტისთვის ფუნდამენტურია, რადგან ის მოქალაქეობის წვდომის კრიტერიუმებს განსაზღვრავს (Дмитриев, 2014).

ერთი სიტყვით, მოქალაქეობა საკუთარი საზოგადოების პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში მონაწილეობის უნარს გულისხმობს. თუმცა, იმისთვის, რომ მოქალაქეებმა უფლებებითა და მათთან დაკავშირებული მატერიალური მხარდაჭერით ისარგებლონ, ისინი კონკრეტული პოლიტიკური საზოგადოების წევრები უნდა იყვნენ. დღეს ასეთ ძირითად პოლიტიკურ ფორმას სახელმწიფო წარმოადგენს. ზუსტად 40 წლის წინ, ცნობილი ფრანგი პოლიტიკური მოაზროვნე რაიმონ არონი, სტატიაში „შესაძლებელია თუ არა მრავალეროვნული/მრავალნაციონალური მოქალაქეობა?“ წერდა, რომ ადამიანის

უფლებების ეფექტიანად დაცვა, მხოლოდ ეროვნული სახელმწიფოების საზღვრებში არის შესაძლებელი (Aron, 1974).

თავის ნაშრომში „მოქალაქეობა და სოციალური კლასი“ (1950), ინგლისელმა სოციოლოგმა თომას მარშალმა, ბრიტანულ ისტორიულ და სოციალურ გამოცდილებაზე დაყრდნობით აჩვენა, რომ თანამედროვე მოქალაქეობის ინსტიტუტმა ისტორიული ევოლუციის სამი განმსაზღვრელი ეტაპი გაიარა. თითოეული ეტაპი ასოცირდებოდა „გარიყული“ სოციალური ფენების კლასობრივ ბრძოლასთან მათი უფლებებისთვის, რაც, წარმატების შემთხვევაში, ახალი უფლებებისა და მოვალეობების მინიჭებას იწვევდა და დისკრიმინირებულ სოციალურ კლასებს, საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად აქცევდა (Marshall, 1950).

პირველ ეტაპზე, მე-18-დან მე-19 საუკუნის შუა წლებამდე, ბრძოლა ძირითადად სამოქალაქო უფლებებისთვის მიმდინარეობდა, რაც სრულყოფილი პროფესიული საქმიანობის, ვაჭრობის განსახორციელებლად აუცილებელი იყო, ხოლო მთავარი მოქმედი პირები, ინგლისის იმდროინდელი საზოგადოების საშუალო ფენები გახლდათ.

სამოქალაქო უფლებები, უპირველეს ყოვლისა, პიროვნული ხელშეუხებლობის, სიტყვის თავისუფლების, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებას, კერძო საკუთრების უფლებასა და კანონის წინაშე თანასწორობას მოიცავდა. ასევე საუბარი იყო ისეთ სამოქალაქო უფლებებზე, როგორებიცაა პროფესიის არჩევის თავისუფლება, საბაზრო გაცვლა, გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლება იმ ქვეყნის შიგნით, რომლის მოქალაქეც ინდივიდი იყო. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აზროვნების თავისუფლებისა და რელიგიური შემწყნარებლობისთვის ბრძოლასაც, რომლის გარეშეც თანამედროვე საზოგადოების წარმოდგენა შეუძლებელია.

მეორე ეტაპზე, რომელიც მე-18 საუკუნის ბოლოდან მე-20 საუკუნის პირველ ათწლეულებამდე მიმდინარეობდა, წინა პლანზე წამოიწია ბრძოლამ პოლიტიკური უფლებებისთვის. საყოველთაო საარჩევნო უფლების წყალობით, მოქალაქეები კონსტიტუციითა და სასამართლოს მიერ დადგენილი წესით, ოფიციალური ძალაუფლების უდიდეს წყაროდ იქცნენ.

პოლიტიკური უფლებების რეალიზებაში გადამწყვეტი როლი თანამედროვე წარმომადგენლობითი დემოკრატიის ინსტიტუტებმა და პროცედურულმა პრაქტიკამ ითამაშა.

საბოლოოდ, მესამე ეტაპზე, რომელმაც მე-20 საუკუნე მოიცვა, მოქალაქეების სოციალური უფლებების საკითხი დაისვა.

მოქალაქეობის ფენომენში მარშალი 3 ელემენტს, 3 ტიპის უფლებებს გამოყოფს:

- სამოქალაქო;
- პოლიტიკურ;
- სოციალურ უფლებებს (Marshall, 1950).

მარშალის თეზისის მთავარი კრიტიკა ის არის, რომ მან სამოქალაქო უფლებების გავრცელების ევოლუციური მოდელი ბრიტანულ ისტორიულ და სოციალურ გამოცდილებას დააფუძნა. ამავდროულად, სათანადო ყურადღება არ მიაქცია გეოპოლიტიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებს (Mann, 1988).

მოქალაქეობა, როგორც ინტეგრაციის უმაღლესი ფორმა, საზოგადოების ახალ წევრებს გარკვეულ ფორმალურ, ლეგალურ უფლებებს ანიჭებს – როგორებიცაა, საჯარო შეღავათებზე სრული ხელმისაწვდომობა, ხმის მიცემის უფლება, დეპორტაციისგან დაცვა და საჯარო თანამდებობაზე კენჭისყრის უფლება. მაგრამ მას ასევე მნიშვნელოვანი სიმბოლური ფუნქცია აქვს, მოქალაქეობა პირებს საკუთარი ქვეყნისადმი მიკუთვნებულობის განცდის ჩამოყალიბებაში/განმტკიცებაში ეხმარება და ამ გზით, იმიგრანტების ინტეგრაციისთვის, შეიძლება მნიშვნელოვან ინსტრუმენტად იქცეს.

ვინაიდან ის იმიგრანტის საზოგადოებაში სრულფასოვანი და თანაბარი წევრობის ყველაზე მნიშვნელოვანი ნიშანს წარმოადგენს, სახელმწიფოები, როგორც წესი, მოქალაქეობის მისაღებად მაღალ მოთხოვნებს მიზანმიმართულად ადგენენ.

რაციონალურია, რომ უფრო მკაცრი მოთხოვნები უკეთ უზრუნველყოფს საზოგადოების ახალი წევრების ინტეგრაციას, თუმცა, ამავდროულად, ზედმეტად მკაცრი მოთხოვნები მიგრანტთა ინტეგრაციის პროცესს ხელს უშლის.

მოქალაქეობის მიზნია საზოგადოებისადმი მიკუთვნებულობის უფრო მაღალი დონის ჩამოყალიბება, კერძოდ, ახალ მოქალაქეებს და მათ ოჯახებს, თავიანთ თემებში, მომავალი თაობების განმავლობაში, კანონების და ნორმების შემუშავება შეეძლება (Banulescu-Bogdan, 2012).

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD) 2011 წლის ანგარიშში დაადგინა, რომ ნატურალიზებულ<sup>1</sup> იმიგრანტებს შრომის ბაზარზე უკეთესი შედეგები აქვთ, ვიდრე მათ, ვისაც მოქალაქეობა არ აქვს. თუმცა, აღნიშნულ შემთხვევაში, მოქალაქეობა რელევანტურ ცვლადს არ წარმოადგენს და იმიგრანტის მიერ ქვეყანაში კანონიერად ყოფნის ხანგრძლივობა მეტად მნიშვნელოვანია. იმიგრანტი, რაც უფრო მეტ დროს ატარებს მუდმივ რეზიდენტად, ის, მასპინძელი ქვეყნის შრომის ბაზარს, მით უფრო კარგად იცნობს (OECD, 2011).

ზოგადად, ნატურალიზაციის ეფექტებს დადებითად განიხილავენ, რადგან მოქალაქეები უფრო ხშირად საქმდებიან და უფრო მეტად ცდილობენ ინტეგრაციას (ენის შესწავლის მაგალითი). ნატურალიზებულ პირებს (უკვე დადასტურებული გარკვეული ენობრივი უნარ-ჩვევებითა და გამოვლენილი მოტივაციით) დამსაქმებლები, როგორც წესი, როგორც უკეთ ინტეგრირებულებს, ისე აღიქვამენ.

ამავდროულად, მოსალოდნელია, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ნატურალიზებული უცხოელები, სხვა იმიგრანტებთან შედარებით, ქვეყანაში უფრო დიდხანს დარჩებიან. დამსაქმებლები ასევე ირჩევენ მოქალაქეებს, რათა თავიდან აიცილონ ადმინისტრაციული ხარჯები, ამასთანავე, ზოგიერთი სამუშაო, როგორც წესი, საჯარო სექტორში, პირდაპირ მოქალაქეობის სტატუსს მოითხოვს (Banulescu-Bogdan, 2012).

## 2.5 მიგრანტთა ინტეგრაციული პოლიტიკის ინდექსი (MIPEX)

მიგრანტთა ინტეგრაციული პოლიტიკის შეფასებისთვის გამოიყენება ისეთი საზომი, როგორცაა მიგრანტთა ინტეგრაციული პოლიტიკის ინდექსი (The Migrant Integration Policy Index) (MIPEX), რომელიც უნიკალური ინსტრუმენტია და ინტეგრაციულ პოლიტიკას ექვსი კონტინენტის 56 სახელმწიფოში აფასებს, მათ შორის, ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოში (დიდი ბრიტანეთის ჩათვლით), ევროპის სხვა ქვეყნებში (ალბანეთი, ისლანდია, ჩრდილოეთ მაკედონია, მოლდოვა, ნორვეგია, სერბეთი, შვეიცარია, რუსეთი, თურქეთი და უკრაინა), აზიის ქვეყნებში

---

<sup>1</sup>ნატურალიზაცია — უცხოელის ან პირის, რომელიც არ დაბადებულა მიმღებ ქვეყანაში, აღნიშნული სახელმწიფოს მოქალაქედ გახდომის პროცესი (Oxford Learner's Dictionaries. <https://www.oxfordlearnersdictionaries.com/definition/english/naturalization>)

(ჩინეთი, ინდოეთი, ინდონეზია, ისრაელი, იაპონია, იორდანია, საუდის არაბეთი, სამხრეთ კორეა, გაერთიანებული არაბული საამიროები), ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებში (კანადა, მექსიკა და აშშ), სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში (არგენტინა, ბრაზილია, ჩილე), სამხრეთ აფრიკაში, ავსტრალიასა და ახალ ზელანდია-ოკეანეთში (MIPEX, 2020). საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი MIPEX-ის სიაში არ არის.

MIPEX-ი მოიცავს 2007-2019 წლების პერიოდს. ინდექსი, მიგრანტების ინტეგრაციის სფეროში მთავრობების გადადგმული ნაბიჯების შესაფასებლად, სასარგებლო ინსტრუმენტია. მისი მეშვეობით ქვეყნებს საკუთარი ინტეგრაციული პოლიტიკის გაუმჯობესება შეუძლია.

ამავდროულად, MIPEX-ი, პოლიტიკის ძირითად აქტორებს, ინტეგრაციის მართვისა და პოლიტიკის ეფექტიანობის გაუმჯობესებაში ეხმარება. ინდექსი აფასებს ინტეგრაციული პოლიტიკის 8 სფეროს: შრომის ბაზარზე მობილობას, ოჯახთან გაერთიანებას, განათლებას, ჯანმრთელობას, პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას, მიმღებ ქვეყანაში ცხოვრების ხანგრძლივობას, მოქალაქეობასთან წვდომას და დისკრიმინაციას (OSCE, 2015).

ინტეგრაციული პოლიტიკის შეფასებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამ კრიტერიუმს:

- ძირითად უფლებებს: შეუძლიათ თუ არა იმიგრანტებს მოქალაქეებთან გათანაბრებული უფლებებით ისარგებლონ? მაგ., თანაბარი უფლებები სამსახურში, ჯანდაცვის სერვისებთან წვდომისას, არადისკრიმინაციული დამოკიდებულებები;
- თანაბარი შესაძლებლობები: შეუძლიათ თუ არა იმიგრანტებს მოქალაქეების მსგავსი მხარდაჭერის მიღება? მაგ., მიზნობრივი მხარდაჭერა განათლების მიღებისას, ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობისას, პოლიტიკური მონაწილეობის დროს;
- უსაფრთხო მომავალი: შეუძლიათ იმიგრანტებს ხანგრძლივად დასახლდნენ და დაცულად იგრძნონ თავი მიმღებ ქვეყანაში? მაგ., ოჯახის გაერთიანების მიზნით, მუდმივად საცხოვრებლად და ა.შ.

მოგროვებული ქულების მიხედვით, ქვეყნები 4 ჯგუფად იყოფა. თითოეული ჯგუფი ქვეყნების სხვადასხვა ინტეგრაციულ მიდგომას გამოხატავს:

- ყოვლისმომცველი, კომპლექსური ინტეგრაცია (comprehensive integration) - ინტეგრაციის ყოვლისმომცველი მიდგომა იმიგრანტებისთვის თანაბარ უფლებებს, შესაძლებლობებსა და უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.
- „თანასწორობა ქაღალდზე“ (equality on paper) - ნიშნავს, რომ იმიგრანტები თანაბარი უფლებებითა და გრძელვადიანი უსაფრთხოებით, მაგრამ არათანაბარი შესაძლებლობებით სარგებლობენ.
- დროებითი ინტეგრაცია (temporary integration) - ნიშნავს, რომ იმიგრანტები ძირითადი უფლებებითა და თანაბარი შესაძლებლობებით, მაგრამ არათანაბარი უსაფრთხოებით სარგებლობენ, რადგან ისინი გრძელვადიანი დასახლებისთვის დაბრკოლებებს აწყდებიან.
- იმიგრაცია ინტეგრაციის გარეშე (integration denied) - გულისხმობს იმას, რომ იმიგრანტებს უარს ეუბნებიან ძირითად უფლებებსა და თანაბარ შესაძლებლობებზე, მაშინაც კი, თუ მათ ქვეყანაში გრძელვადიანი დასახლება შეუძლიათ (Migrant Integration Policy Index, 2020).

ევროკომისიის ერთობლივმა კვლევითმა ცენტრმა MIPEX-ი სხვა ინდექსებს შეადარა და დაასკვნა, რომ ამჟამად არცერთი სხვა სკალა მსგავს დაფარვას არ გვთავაზობს. MIPEX-ი საჯარო კანონების, პოლიტიკისა და კვლევების საფუძველზე ადგენს ყველაზე მაღალ ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც მიმართულია თანაბარი უფლებებისა და პასუხისმგებლობების უზრუნველყოფისკენ. აღსანიშნავია, რომ მაქსიმალური ქულა, ანუ ინტეგრაციის საუკეთესო პირობების მაჩვენებელი, 80-100-მდე მერყეობს (OSCE, 2015). აღნიშნული მაჩვენებლის მქონე ქვეყნები ინტეგრაციის ყოვლისმომცველ მიდგომას იზიარებენ, მათი პოლიტიკა კი, საზოგადოებას მოუწოდებს, რომ მიგრანტები თანასწორად, მიმღები ქვეყნის პოტენციურ მოქალაქეებად აღიქვან.

2019 წელს ყველაზე მაღალი ქულა შვედეთს ჰქონდა - 86. რაც შეეხება ჩვენს მეზობლებს, რუსეთსა და თურქეთს, მათი ქულები შესაბამისად 31-ისა და 43-ის ტოლი იყო. რუსეთი შედიოდა „იმიგრაცია ინტეგრაციის გარეშე“ მიდგომის ქვეყნებში, სადაც მიგრანტთა ინტეგრაცია არახელსაყრელია და ქვეყნის პოლიტიკა იმიგრანტებს უცხოებად, დაქვემდებარებულებად აღიქვამს. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთმა თავი იმიგრაციის ქვეყნად გამოაცხადა, იგი ყოვლისმომცველი ინტეგრაციის მიდგომის ნახევრად ხელსაყრელ ჯგუფში შედის, რომლის წევრი

ქვეყნები იმიგრანტების თანაბარი უფლებების, შესაძლებლობებისა და უსაფრთხო მომავლის უზრუნველსაყოფად, მინიმუმს ასრულებენ (MIPEX, 2020).

## 2.6. საერთაშორისო შრომითი მიგრაცია

საერთაშორისო შრომითი მიგრაცია განისაზღვრება, როგორც ადამიანების ერთი ქვეყნიდან მეორეში გადაადგილება დასაქმების მიზნით (IOM, 2022). შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის განმარტებით, შრომითი მიგრანტები შრომითი ასაკის ადამიანები არიან, რომლებიც განსაზღვრულ საანგარიშო პერიოდში სამუშაო ძალას წარმოადგენდნენ, იყვნენ დასაქმებულები ან უმუშევრები, თავისი მშობლიური ქვეყნისგან განსხვავებულ სახელმწიფოში.

გერმანელი ეკონომისტის, კლაუს ციმერმანის მოსაზრებით, მიგრანტები სამუშაო ადგილებს ადგილობრივებს არ ართმევენ, არამედ პირიქით, დასაქმებასა და ადგილობრივების გააქტიურებას უწყობენ ხელს. ციმერმანი მიიჩნევდა, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მაღალკვალიფიციური ადამიანების მიგრაციას (Zimmerman, 2014). სწორედ მაღალკვალიფიციურ მიგრანტებს მიიჩნევენ სასურველ იმიგრანტებად, რადგან მათ შეუძლიათ კვალიფიკაციის ნაკლებობა შეავსონ და ეკონომიკურ ზრდასა და ინოვაციაში წვლილი შეიტანონ (van Riemsdijk & Wang, 2017).

მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მიგრანტების ინტეგრაცია აუცილებელია სოციალური ერთიანობისთვის და სასარგებლოა ადგილობრივი ეკონომიკისთვის (Friesen, 2011), მაღალკვალიფიციური მიგრანტების გრძელვადიან ინტეგრაციაში სახელმწიფო ინსტიტუტები იშვიათად არიან ჩართული. ეს პასუხისმგებლობა ხშირად კერძო სექტორსა და ისეთ აქტორებს ეკისრებათ, რომლებიც მიგრანტებს ინტეგრაციის პროცესში ნებაყოფლობით ეხმარებიან.

სანდერსონის (2013) მიერ მსოფლიოს მასშტაბით ჩატარებული საინტერესო რაოდენობრივი ანალიზი, იმიგრაციასა და ეკონომიკურ განვითარებას შორის, დადებით კორელაციას ასახავს. 1965-2005 წლებში 122 ქვეყნის მონაცემები ცხადყოფს, რომ კუმულაციური მიგრაციული ნაკადები მიმდებ ქვეყანაში ცხოვრების დონეს მნიშვნელოვნად ზრდის. თუმცა, სანდერსონთან ასევე ვლინდება, რომ იმიგრაცია ნაკლებად მომგებიანია მაღალი ფერტილობის მქონე დანიშნულების ქვეყანათა



კონტექსტში, თუმცა ევროპასა და ისეთ ქვეყნებში, სადაც შობადობის მაჩვენებელი ისტორიულად დაბალი იყო, ის საკმაოდ ხელსაყრელია (Sanderson, 2013).

NEUJOBS-ის შრომით იმიგრანტთა პოლიტიკის კვლევითი პროგრამის წინასიტყვაობაში, ევროკავშირის ყოფილმა საშინაო საქმეთა კომისარმა, სესილია მალსტრომმა (2014), საზოგადოებაში გავრცელებული მოსაზრება შეაჯამა: - პოპულარული შეხედულების საპირისპიროდ, ემპირიული კვლევები ცხადყოფს, რომ მიგრანტების ფისკალური გავლენა, ე.წ. მიგრანტთა „ტვირთი“, მასპინძელი სახელმწიფოს საჯარო ფინანსებსა და სოციალური დაცვის სისტემაზე - უმნიშვნელოა, ხოლო უმეტეს შემთხვევაში, მას დადებითი გავლენა აქვს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე განათლებულ და მაღალი კვალიფიკაციის მქონე მიგრანტებს ეხება (Malmström, 2014).

აღნიშნული ნააზრევით OECD-ის მიერ (2013) ჩატარებული კვლევის შედეგებს ეხმიანება, რომლებიც ისეთ საკვანძო ცვლადებზეა დამოკიდებული, როგორც, პირველ რიგში, მიგრაციის ტიპია.

ფისკალური თვალსაზრისით, შრომითი მიგრანტების მიღება, ბევრად უფრო მომგებიანია მასპინძელი სახელმწიფოს ეკონომიკისთვის, ვიდრე ოჯახის გაერთიანების მიზნით ჩასული მიგრანტების, ამავდროულად, გასათვალისწინებელია იმიგრანტთა ასაკობრივი და დემოგრაფიული მახასიათებლებიც (ასაკოვანი და მრავალშვილიანი იმიგრანტთა ოჯახები, მარტოხელა მიგრანტებთან და უშვილო წყვილებთან შედარებით, სოციალური კეთილდღეობის ბიუჯეტს ასუსტებს (OECD, 2013).

შრომით მიგრანტთა წვლილი თვალსაჩინოა ცხოვრების ყველა სფეროში, სადაც მიგრანტები ავითარებენ უნარებს, შემოაქვთ ახალი სამუშაო ეთიკა, კულტურა და საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობას უწყობენ ხელს (Holland & Martin, 2015).

ისინი, ასევე, ერთვებიან სამეწარმეო წამოწყებებში, არიან ლიდერები, ნოვატორები (Liu, Wu, Xu, & Chen, 2021). მიუხედავად ფართოდ გავრცელებული მტკიცებულებისა, რომ მიგრანტების არსებობას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს საზოგადოების მრავალი სფეროს (მედია, პოლიტიკა და ეკონომიკა) ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის, (Hack-Polay, Mahmoud et al., 2021; Mahmoud & Al Atrash, 2021), პოპულარული დისკურსები ამ მნიშვნელობას ყოველთვის არ ასახავდა (Fletcher, Abdallah, & Hannam, 2019).

საერთაშორისო მიგრანტების რაოდენობის მატებასთან ერთად, მთელ მსოფლიოში (IOM, 2020), იმიგრანტთა ინტეგრაცია პოლიტიკის შემუშავების პროცესსა და საჯარო დებატებში, სულ უფრო მნიშვნელოვანი საკითხი ხდება.

ამკარაა, რომ შრომითი მიგრაცია პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე რთული სფეროა (King & Lulle, 2016). განვითარებული ქვეყნებისთვისაც კი, არადისკრიმინაციული და თანასწორი პრინციპების უზრუნველყოფა მიგრანტთა ყველა ჯგუფისთვის, დიდ გამოწვევად რჩება.

მაგალითისთვის, ევროკავშირში, პირველ რიგში მაღალკვალიფიციურ მიგრანტებსა (მათ, ვისაც ლურჯი ბარათის სტატუსი აქვს) და უფრო დაბალი კვალიფიკაციის მქონე მიგრანტებს შორის არსებული სხვაობის აღმოფხვრა, მეორე მხრივ კი, შრომით მიგრანტთა შორის, უფლებრივი თვალსაზრისით, ყველაზე პრივილეგირებულ ევროკავშირის მოქალაქეთა და „მესამე მსოფლიოს“ ქვეყნებიდან ჩამოსულ მიგრანტებს შორის არსებული განსხვავებების ნიველირება, დღესაც პრობლემურ საკითხად განიხილება (Cholewinski, 2014).

შრომითი მიგრანტები უფრო მეტი რისკის ქვეშ არიან და მათი უფლებები ნაკლებად არის დაცული (Choi, Kim, & McGinley, 2017). მიგრანტთა სხვა ჯგუფებისგან განსხვავებით, შრომით მიგრანტებს შრომით ბაზართან ინტეგრაციაც სჭირდებათ. გარდა იმისა, რომ მათ ისეთი კულტურული უნარების შექმნა ესაჭიროებათ, როგორებიცაა ენის ცოდნა, კომუნიკაციური უნარები, კულტურის გაცნობა, მათ პროფესიული ქცევისა და ორგანიზაციული კულტურის დაუწერელი ნორმებიც უნდა ისწავლონ, რათა წარმატებას პროფესიულ დონეზე მიაღწიონ და ადგილობრივ შრომით ბაზარს მოერგონ. აღნიშნულ შემთხვევაში, ე.წ. რბილ უნარებს, „Soft Skill“-ს დიდი მნიშვნელობა ენიჭება (Friesen, 2011).

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, შრომითი მიგრანტების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა, ვინაიდან ისინი მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან, შეიძლება ითქვას, რომ გადამწყვეტ როლს ასრულებენ (Grogger & Hanson, 2011).

გაერთიანებული ერების ეკონომიკურ და სოციალურ საქმეთა დეპარტამენტის UNDESA-ს შეფასებით, 2019 წელს, მსოფლიოში საერთაშორისო მიგრანტების რაოდენობა 272 მილიონი იყო, აქედან სამუშაო ასაკის (15 წლის და უფროსი ასაკის) პირთა რაოდენობა 245 მილიონს შეადგენდა (UNDESA, 2019). საერთაშორისო

მიგრანტების უდიდესი წილი საერთაშორისო შრომით მიგრანტებზე მოდიოდა და 169 მილიონს უტოლდებოდა (იხილეთ ნახ. #3) (ILO, 2021).

2019 წლის შეფასება, 2017 წელთან შედარებით, შრომით მიგრანტთა 5 მილიონით (3%-ით) ზრდაზე მიუთითებს. 2019 წელს შეფასებული 169 მილიონი საერთაშორისო შრომითი მიგრანტიდან, 113,9 მილიონი (67,4%) მაღალშემოსავლიან ქვეყნებში იყო დასაქმებული, 33 მილიონი (19,5%) - საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში, უფრო დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში, შესაბამისად, 13,1%-ი მუშაობდა (ILO, 2021). (საერთაშორისო შრომითი მიგრანტების განაწილება ქვერეგიონების მიხედვით იხილეთ ნახ. # 4-ზე).

2019 წელს საერთაშორისო შრომითი მიგრანტები მსოფლიო შრომითი ძალის 4.9%-ს შეადგენდნენ. საერთაშორისო შრომით მიგრანტებს შორის, 99 მილიონი მამაკაცი იყო, 70 მილიონი კი - ქალი, რაც საერთაშორისო მიგრაციაში, მამაკაცებთან შედარებით, ქალების ნაკლები მონაწილეობით აიხსნება. საერთაშორისო შრომით მიგრანტთა უდიდესი ნაწილი მომსახურების სფეროში იყო დასაქმებული.

სექტორული მონაცემები ცხადყოფს, რომ შრომით მიგრანტთა 66.2% მომსახურების სფეროში საქმდებოდა, 26.7% - მრეწველობაში, 7.1% კი - სოფლის მეურნეობაში იყო ჩაბმული. მიგრანტთა სექტორულ განაწილებაში გარკვეული სქესობრივი განსხვავებები არსებობს, კერძოდ, ქალები უმეტესად მომსახურების სფეროში საქმდებიან, მამაკაცთა განაწილება წარმოებისა და მომსახურების სექტორებში კი, უფრო დაბალანსებულია (ILO, 2021) (იხილეთ ნახ. #5).

## **2.7. საერთაშორისო კონვენცია ყველა შრომითი მიგრანტისა და მათი ოჯახის წევრების უფლებათა დაცვის შესახებ**

### **International Convention on the Protection of the Rights of All Migrant Workers and Members of Their Families**

შრომითი მიგრანტები ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენენ და მათი უფლებები ხშირად ირღვევა. სწორედ აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად, 2003 წელს ძალაში შევიდა მომუშავე მიგრანტთა და მათი ოჯახის წევრთა დაცვის ყველაზე ფართო საერთაშორისო კონვენცია. როგორც სათაურიდან ჩანს, იგი ყველა შრომით მიგრანტსა და მათი ოჯახის წევრებს მიესადაგება რასის, სქესის, რელიგიის,

ენის, პოლიტიკური შეხედულებების თუ სხვა ნებისმიერი მახასიათებლის მიუხედავად (OOH, 1990).

2021 წლის 1 ოქტომბრის მონაცემებით, კონვენცია რატიფიცირებული აქვს 56 სახელმწიფოს. საქართველო მათ შორის არ არის (United Nations, 1996-2022). ისევე, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა საერთაშორისო დოკუმენტები, კონვენცია წვერი სახელმწიფოებისთვის კანონებისა და სასამართლო, ადმინისტრაციული პროცედურების სტანდარტებს ადგენს.

თითოეული მონაწილე სახელმწიფო იღებს ვალდებულებას გაატაროს საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც ამ კონვენციის დებულებების განსახორციელებლად აუცილებელია. ამავდროულად, მან პატივი უნდა სცეს და უზრუნველყოს ყველა (რასის, სქესის, კანის ფერის, რელიგიის ან მრწამსის, ენის, პოლიტიკური ან განსხვავებული შეხედულებების, ეროვნული/ეთნიკური, ან სოციალური წარმომავლობის, მოქალაქეობის, ასაკის, ეკონომიკური მდგომარეობის, საკუთრების, ოჯახის ან კლასის, სტატუსის ან რაიმე სხვა მახასიათებლის განუჩევლად) შრომითი მიგრანტისა და მათი ოჯახის წევრების უფლებები, რომლებიც ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ან მისი იურისდიქციის ქვეშ იმყოფებიან (OOH, 1990).

კონვენციის მიზანია, მიგრაციის პერიოდში თავიდან აიცილოს ყველა შრომითი მიგრანტისა და მათი ოჯახის წევრების ესქპლუატაცია, აღმოფხვრას მიგრანტთა უკანონო ან ფარული დაქირავება, ადამიანებით ვაჭრობა და არალეგალური შრომითი მიგრაცია აღკვეთოს. შრომით მიგრანტებსა და მათი ოჯახის წევრებს შეუძლიათ ნებისმიერი სახელმწიფოდან, მათი წარმოშობის სახელმწიფოს ჩათვლით, თავისუფლად გავიდნენ (OOH, 1990).

ამავდროულად, მათ თუ სურთ, ნებისმიერ დროს შეუძლიათ მშობლიურ ქვეყანაში დაბრუნება და იქ დარჩენა. საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი მიგრანტ მუშაკებს, მაგალითად, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, თვითნებური გაძევებისგან იცავს. კონვენციის 22-ე და 56-ე მუხლები კოლექტიურ გაძევებას კრძალავს და გაძევების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად კონკრეტულ პროცედურას ადგენს. შრომით მიგრანტთა და მათი ოჯახის წევრთა უფლებები დაცულია კანონით (OOH, 1990).

კონვენციის მიხედვით, „შრომითი მიგრანტი“ განიმარტება, როგორც პირი, რომელიც იქნება, არის, ან იყო დაკავებული ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობით იმ სახელმწიფოში, რომლის მოქალაქეც ის არ არის (OOH, 1990).

„ოჯახის წევრები“ კი აღნიშნავს პირებს, რომლებიც შრომით მიგრანტთან ქორწინებაში იმყოფებიან, აგრეთვე, შესაძლოა აღნიშნავდეს შრომით მიგრანტზე ეკონომიკურად დამოკიდებულ შვილებსა და სხვა პირებს, რომლებიც ოჯახის წევრებად არიან აღიარებული (OOH, 1990).

შრომითი მიგრანტები თავიანთ ოჯახებს ხშირად ტოვებენ და მიგრაციაში მარტო მიდიან. 44-ე მუხლის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა მათ ოჯახის წევრებთან (ცოლი ან მასთან გათანაბრებული პირი) გაერთიანებას შეუწყონ ხელი. მიგრანტთა შვილებს კი განათლების ფუნდამენტური უფლება აქვთ (OOH, 1990).

შრომით მიგრანტებს მიმღები სახელმწიფოს ენის, კულტურის, სოციალურ-პოლიტიკური და სასამართლო სტრუქტურის შესახებ, საბაზისო წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ. 37-ე მუხლის მიხედვით, შრომითი მიგრანტები და მათი ოჯახის წევრები, რომლებსაც საჭირო დოკუმენტები და ლეგალური სტატუსი აქვთ, გამგზავრებამდე, ან ყველაზე გვიან, დასაქმების ქვეყანაში შესვლისას, ყველა პირობისა და მოთხოვნის შესახებ ინფორმირებული უნდა იყვნენ, ასევე უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია პასუხისმგებელ ორგანიზაციაზე. გარდა ამისა, ხშირ შემთხვევაში, შრომით მიგრანტებზე არ ვრცელდება სამუშაო პირობების მარეგულირებელი კანონები და მათ პროფკავშირულ საქმიანობაში მონაწილეობის უფლებაზე უარს ეუბნებიან (OOH, 1990).

კონვენციის 25-ე მუხლის შესაბამისად, შრომით მიგრანტებსა და მათი ოჯახის წევრებს უნდა მოეპყრონ ისევე (ანაზღაურება, შრომითი პირობები), როგორც სახელმწიფოში დასაქმებულ მოქალაქეებს (OOH, 1990).

კონვენციის 31-ე მუხლის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოებმა პატივი უნდა სცენ ყველა შრომითი მიგრანტისა და მათი ოჯახის წევრების კულტურულ იდენტობას. დოკუმენტის გარკვეული დებულებები, მუდმივი სტატუსის გარეშე მყოფ შრომით მიგრანტებსა და მათი ოჯახის წევრებს, გადაადგილების თავისუფლების, ასოციაციებისა და პროფკავშირების შექმნის უფლებასა და საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობის გარანტიას აძლევს (OOH, 1990).

შრომით მიგრანტებს ხშირად არაადეკვატურ პირობებში ცხოვრება უწევთ და, ისინი საცხოვრებლის მოძიებასთან დაკავშირებით, სერიოზულ პრობლემებს აწყდებიან. მიუხედავად იმისა, რომ ხელშემწყობი სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები არსებობს, მათთვის და მათი ოჯახის წევრებისთვის, შეღავათები და შესაძლებლობები, სახელმწიფოს მოქალაქეებთან შედარებით, განსხვავებულია (OOH, 1990).

სოციალური უზრუნველყოფის სფეროში, 27-ე მუხლის შესაბამისად, შრომითი მიგრანტები და მათი ოჯახის წევრები, თანაბარი უფლებებით - მოქალაქეებთან გათანაბრებული უფლებებით უნდა სარგებლობდნენ, რამდენადაც ისინი ამ სახელმწიფოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს ასრულებენ (OOH, 1990).

28-ე მუხლის თანახმად, შრომით მიგრანტებსა და მათი ოჯახის წევრებს, უფლება აქვთ მიიღონ ნებისმიერი სამედიცინო დახმარება, რომელიც მათი სიცოცხლის გადასარჩენად, ან ჯანმრთელობისთვის მიყენებული გამოუსწორებელი ზიანის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია. მიგრანტთა დაცვის სხვა საერთაშორისო მექანიზმებს შემდეგი ხელშეკრულებები მიეკუთვნება:

- საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ;
- საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ;
- საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ;
- კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ;
- ბავშვთა უფლებათა კონვენცია (United Nations, 1996-2022).

### თავი 3. მიგრაციული პროცესები საქართველოში

მსოფლიოსა და საქართველოში იმიგრაცია და ემიგრაცია კომპლექსური ფაქტორებით არის გამოწვეული. ეს ფაქტორები, როგორც მიგრანტთა ინდივიდუალური გადაწყვეტილებებით, ისე ეკონომიკური, სოციალური თუ პოლიტიკური ცვლილებებით შეიძლება იყოს განპირობებული (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2019).

საქართველოში მოსახლეობის მიგრაციას, ისტორიულად, განაპირობებდა მისი გეოგრაფიული მდებარეობა სამი იმპერიის (სპარსეთი, ოსმალეთი და რუსეთი) გასაყარზე (სულაბერიძე, 2018). დღეს, მიუხედავად დროის ცვლილებისა, ქვეყნის ადგილმდებარეობა მიგრაციულ პროცესებში აქტუალობას გარკვეულწილად მაინც ინარჩუნებს.

საქართველოს მიგრაციის ისტორიაში, ტუხაშვილი და შელია (2012), სამ გადამწყვეტ პერიოდს გამოყოფენ, რომელთა დროსაც მოსახლეობის რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირება მოხდა. ეს პერიოდებია:

- პირველი მსოფლიო ომი (1914-1918);
- მეორე მსოფლიო ომი და მისი თანმდევი შედეგები (1940-1950);
- პოსტსაბჭოთა პერიოდის პირველი ათწლეული (1989-2002) (Tukhashvili & Shelia, 2012).

საბჭოთა კავშირში ყოფნის პერიოდში, საქართველომ, ისევე, როგორც რესპუბლიკის სამხრეთ და დასავლეთ საზღვრებზე მდებარე სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებმა (ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა, მოლდოვა, სომხეთი და უკრაინა), მიგრაციის კუთხით, განვითარების სპეციფიკური გზა განვლო. ზოგადად, ამ ქვეყნებს, დადებითი მიგრაციული ბალანსი ჰქონდათ, რაც ძირითადად, საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებიდან მოსახლეობის შემოდინებით იყო განპირობებული. აღნიშნული პროცესი საბჭოთა კავშირის დაშლამდე გრძელდებოდა (1991 წელი), რის შედეგადაც უახლესი ემიგრაციის ინტენსიური პერიოდი დაიწყო. ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებს მაღალი დადებითი მიგრაციული სალდო ჰქონდათ - უფრო მაღალიც კი, ვიდრე დასავლეთის ქვეყნებშია, რაც მათი ფედერალური სტრუქტურით, მობილობის პროცესში სახელმწიფო ჩარევითა და სხვა შიდა მიზეზებით (მიმდინარე ეკონომიკური და სოციალური ტრანსფორმაციის საპასუხო

მიგრაცია) აიხსნება. მრავალი თვალსაზრისით, საბჭოთა კავშირი უზარმაზარ „მოთუხთუხე ქვაბს“ (melting pot) წარმოადგენდა, რომელშიც მოსახლეობის მიგრაცია მასობრივად იყო ინსტიტუციონალიზებული. 1930-1950-იან წლებში მოხდა მოსახლეობის მნიშვნელოვანი გადაადგილება, რომელიც ომთან დაკავშირებული უსაფრთხოების ზომებითა და სტალინის ტერორით იყო განპირობებული (Bade, 2003). თუმცა, ხალხი დიდი რაოდენობით გადაადგილდებოდა შედარებით კარგად განვითარებული ტერიტორიებისკენაც, რომლებშიც ინდუსტრიული ინვესტიციების ძირითადი ნაწილი იყრიდა თავს და ბევრად უკეთესი ცხოვრების სტანდარტები იყო, ვიდრე დანარჩენ საბჭოთა კავშირში. ეს ტერიტორიები მოიცავდა ბალტიისპირეთის ქვეყნებს და, გარკვეულწილად, უკრაინას. საქართველოს შემთხვევაში, წამყვანი ადგილი ეკავა განვითარებულ სოფლის მეურნეობას, რაც შესაძლოა, მიგრაციისთვის, სოციალისტური სისტემის პირობებში, საკვების დეფიციტის გამო, მთავარი მიმზიდველი ფაქტორი ყოფილიყო (Melegh, 2023).

საქართველო, ტრადიციულად, იმიგრაციის ქვეყნად გვევლინებოდა. მოსახლეობამ გადინება 1957 წლიდან დაიწყო (ჯაოშვილი, 1996), მასობრივი ემიგრაცია კი საბჭოთა კავშირის დაშლას უკავშირდება და იმ გარკვეული პრობლემებიდან მომდინარეობს, რომლებიც ქვეყანაში არსებობდა: მძიმე სოცალურ-ეკონომიკური ვითარება, შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტები, საგარეო და შიდა ტრადიციული ბაზრების დაკარგვა, პოლიტიკური კრიზისი და ეკონომიკური შეჭირვება. 1990-იანი წლების დასაწყისში, საქართველოში მშპ ერთ სულ მოსახლეზე იმდენად დაბალი იყო, რომ მსოფლიო საშუალო მაჩვენებლის 25%-ს შეადგენდა. გლობალიზაციასთან დაკავშირებულმა ამ უზარმაზარმა შოკმა არნახული სოციალური კრიზისი განაპირობა, რომელმაც ემიგრაცია დააჩქარა და ის მნიშვნელოვან სტრატეგიულ ამოცანად აქცია (Melegh et al., 2010; Molodikova, 2008).

ემიგრანტებს შორის, პირველ რიგში იყვნენ ეთნიკური უმცირესობები (რუსულენოვანი მოსახლეობა). მათი დიდი ნაწილი „ისტორიულ სამშობლოში“ დაბრუნდა, რაც შეგვიძლია „ეთნიკურ მიგრაციად“ განვიხილოთ (სულაბერიძე, არჩვაძე, აფციაური, 2021). შემდეგ კი, ინტელიგენცია და მაღალი კვალიფიკაციის მქონე ე. წ. პროფესიონალი კადრები, დასაქმების მიზნით, რუსეთში წავიდნენ. გეოგრაფიული სიახლოვე, ენობრივი ბარიერის არარსებობა, საერთო საბჭოთა წარსული, უკეთესი სამუშაო პირობები და რაღაც გარკვეული თანამშრომლობის



გამოცდილება, რუსეთში ემიგრაციისთვის მიმზიდველ ფაქტორებს წარმოადგენდა. გასამგზავრებლად კიდევ ერთი მიმართულება იყო - დასავლეთი ევროპა, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი უკეთესი ცხოვრების პერსპექტივის მოლოდინით წავიდა (ექსპერტთა ინტერვიუ, 2021).

დღეს საქართველოდან ემიგრაციის მთავარი მიზეზი, უმუშევრობის მაღალი დონე, ხოლო მიმღებ ქვეყნებში არსებული ეთნიკური მიგრაციული ქსელები, ადგილობრივი მოსახლეობის გადინებისთვის მნიშვნელოვანი მასტიმულირებელი ფაქტორია (Melegh, 2023). გლობალიზაციასთან ერთად, გეოგრაფიული საზღვრების მნიშვნელობა მცირდება. მსოფლიო მიგრაციის მატრიცაში სულ უფრო და უფრო მეტი ქვეყანა ჩაერთო და ადამიანთა მობილობის ახალი ტიპები ჩამოყალიბდა. წარმოების გლობალიზაციამ და კომპიუტერული ტექნოლოგიების გავრცელებამ, ერთიანი შრომითი სივრცე შექმნა, რომელშიც ეროვნულმა კუთვნილებამ მნიშვნელობა დაკარგა (სულაბერიძე, 2018). საქართველოშიც, ბოლო წლებში, მსოფლიო ტენდენციების კვალდაკვალ, ემიგრაციის პარალელურად, იმიგრაციული ნაკადები გააქტიურდა.

შეიძლება ითქვას, რომ მიგრაციის ხასიათი და გეოგრაფიაც, გარკვეულწილად შეიცვალა. თუკი წლების წინ ემიგრაცია სპონტანური, არარეგულირებული და არალეგალური იყო, დღეს მან ოფიციალური სახე მიიღო და უფრო მართვადი გახდა. ამავდროულად, გაფართოვდა მიგრაციის გეოგრაფიაც, რაც გამოკვეთილია როგორც ემიგრაციის, ისე იმიგრაციის შემთხვევაში (თუკი ადრე იმიგრანტები, ძირითადად, პოსტსაბჭოთა და სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლები იყვნენ, დღეს მეზობელი რეგიონების გარდა, შორეული ქვეყნებიდან ჩამოსულ უცხოელებსაც ვხვდებით).

მიგრაციული ნაკადების დაბალანსება, როგორც ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობამ, კერძოდ, ცირკულარული მიგრაციის განვითარებამ (შრომითი მიგრაციის სფეროში 4 ორმხრივი საერთაშორისო შეთანხმება დაიდო - გერმანიასთან, საფრანგეთთან, ისრაელთან და პოლონეთთან, რამაც საქართველოს მოქალაქეებს, გარკვეული პირობებითა და შეღავათებით, საზღვარგარეთ რეგულარულად და დროებით მუშაობის შესაძლებლობა მისცა), ისე იმიგრანტთა რაოდენობის ზრდამაც განაპირობა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო დღესაც ემიგრაციის ქვეყნად განიხილება (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2021 წლის მონაცემებით, მიგრაციული სალდო 1000 კაცზე შეადგენს 7-ს) (საქსტატი, 2021), შეიძლება ითქვას, იმიგრაცია ნელ-ნელა სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს, რაზეც ჩვენი ქვეყნის სტატისტიკური მონაცემები, ასევე გაცემული ბინადრობის ნებართვები მეტყველებს. 2019 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, მოქმედ ბინადრობის მოწმობას, საქართველოში 52,000-ზე მეტი იმიგრანტი ფლობდა (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2020).

2018-2019 წლებიდან ქვეყანაში იმიგრაციის მნიშვნელოვანი ზრდა დაიწყო, რაც მანამდე გატარებული საკანონმდებლო ცვლილებებითა და არსებული სტაბილური ვითარებით იყო განპირობებული. 2019 წელს ქვეყანაში 96 864 მიგრანტი შემოვიდა (საქსტატი, 2021). უკვე 2020 წელს იმიგრაციამ ემიგრაციას გადააჭარბა და საერთო მიგრაციული სალდო დადებითი გახდა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ემიგრაციასა და იმიგრაციას, შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის მონაცემებზე დაყრდნობით (მანამდე 2002-2011 წლებში მონაცემები შეფასებითი ხასიათის იყო), 2012 წლიდან აღრიცხავს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საქსტატის მეთოდოლოგია იმიგრანტებად მოიაზრებს ნებისმიერ პირს, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე არანაკლებ 183 დღის განმავლობაში იმყოფებოდა და, ამავდროულად, ბოლო 6 თვის განმავლობაში, მოქალაქეობის მიუხედავად, საქართველო მისი მუდმივი საცხოვრებელი ქვეყანა არ იყო (საქსტატი, 2020).

შედეგად, აღნიშნული მიდგომის მიხედვით, საქართველოს მოქალაქეები იმიგრანტებად აღირიცხებიან, რაც იმიგრანტთა რაოდენობას ხელოვნურად ზრდის. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მოქალაქეები აღრიცხულ იმიგრანტთა, მინიმუმ, ნახევარს შეადგენენ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ იმიგრანტი არის უცხოელი, რომელსაც მასპინძელი ქვეყნის მოქალაქეობა არ გააჩნია, ამიტომ, შემდგომი ანალიზისთვის, მიზანშეწონილია საქართველოს მოქალაქეების რაოდენობის გამორიცხვა იმიგრანტთა ოფიციალური სტატისტიკიდან. იხილეთ ნახ. #6.

საქართველოში იმიგრაციის შესახებ არსებული სტატისტიკა ძალიან შეზღუდული და, შრომით მიგრანტთა ინტეგრაციის სრული სამეცნიერო ანალიზისთვის, არასაკმარისია. მოსახლეობის აღწერის მონაცემები მოძველებულია

და განახლებას საჭიროებს. რთულია იმიგრაციის ისეთი პარამეტრების შეფასება, როგორებიცაა: მიგრაციის მიზეზები, იმიგრანტთა განსახლება, დასაქმება და უმუშევრობა, განათლება და ა.შ. მონაცემთა ნაკლებობა შრომითი მიგრანტების რაოდენობის ცვალებად შეფასებას იწვევს.

ამგვარად, საქართველოში მიგრაციული სტატისტიკის ამჟამინდელი სისტემა შეიძლება განვიხილოთ როგორც ნაწილობრივ მისაღები მიგრაციული პროცესების შეფასებისთვის, თუმცა, იმიგრანტთა ჯგუფების ინტეგრაციის კვლევისთვის, ნაკლებად გამოსადეგი.

2012-2019 წლებში საქართველოში დაახლოებით 700 ათასამდე იმიგრანტად აღრიცხული პირი შემოვიდა. თუ ამ ციფრს გამოვაკლებთ დაახლოებით 373 ათასს (საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც არ უნდა აღრიცხულიყვნენ), მივიღებთ დაახლოებით 321 ათას იმიგრანტ არასაქართველოს მოქალაქეს, რომელიც ბოლო 7 წლის განმავლობაში, აღნიშნულ პერიოდში შემოვიდა (ექსპერტთან ინტერვიუ, 2021). თუკი იმიგრანტთა წარმოშობის ქვეყნებს განვიხილავთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იმიგრაციას საქართველოში ძირითადად რეგიონული (განსაკუთრებით მომიჯნავე რეგიონებიდან) ხასიათი აქვს. საქართველოში მიგრანტები, უმეტესად, მეზობელი ქვეყნებიდან ჩამოდიან, თუმცა, ამასთანავე, იკვეთება მიგრაციული ნაკადები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და ჩრდილოეთ აფრიკის სახელმწიფოებიდან (IOM, 2021). იხილეთ ცხრილი #2.

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2012 წლიდან მოყოლებული, რუსეთის მოქალაქეები საქართველოში ჩამოსული იმიგრანტების უმრავლესობას შეადგენენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსი იმიგრანტების მნიშვნელოვან ნაწილს ეთნიკური ქართველები წარმოადგენენ (Gogsadze et al., 2022).

მეორე ადგილს იკავებენ თურქეთის მოქალაქეები, რომელთა დიდი ნაწილი აჭარის რეგიონში, კერძოდ, ბათუმში არის კონცენტრირებული. რეგიონის ქვეყნების გარდა, იმიგრანტთა მნიშვნელოვან ნაწილს ინდოეთის, აშშ-ისა და ჩინეთის მოქალაქეები შეადგენენ (საქსტატი, 2021).

აღსანიშნავია, რომ მეზობელი ქვეყნების (რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, ირანი) მოქალაქეებს, უმეტესად, მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვები აქვთ - აგრეთვე მათ მფლობელობაშია საქართველოში არსებული უძრავი ქონების (საცხოვრებელი სახლები ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების)

ნაწილი (აღნიშნულის დეტალური განხილვა იხილეთ გვ. 75-ზე). მიგრანტების უდიდეს ჯგუფს შეადგენენ შრომითი ბინადრობისა (44,000-ზე მეტი) და სასწავლო ბინადრობის ნებართვის (27,000-ზე მეტი) მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც საქართველოს მეტწილად ინდოეთიდან, ერაყიდან და ნიგერიიდან განათლების მისაღებად სტუმრობენ (IOM, 2021).

საქსტატის მიერ წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, 2021 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, იმიგრანტებში 15-64 წლამდე ასაკობრივი კატეგორიის (ეკონომიკურად აქტიური) ჯგუფი ჭარბობდა. მათი რაოდენობა 61,068-ს შეადგენდა (იმიგრანტებად აღრიცხული საქართველოს მოქალაქეების ჩათვლით). აქედან ყველაზე მრავალრიცხოვანი 30-34 წლის ასაკობრივი ჯგუფი იყო და 8,637-ს შეადგენდა. რაც შეეხება იმიგრანტთა სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურას, მამაკაცები ქალ იმიგრანტებს აჭარბებდნენ, რაც მსოფლიოში გავრცელებული ტენდენციაა (საქსტატი, 2021).

შრომით მიგრანტთა ზუსტი რაოდენობის დადგენა რთულია, ვინაიდან სტატისტიკის სახელმწიფო სამსახური მათ აღრიცხვას არ აწარმოებს. ცნობილია, რომ იმიგრანტთა ჯგუფები საქართველოში ძირითადად სასწავლებლად, დროებით სამუშაოდ ან ბიზნესის საწარმოებლად ჩამოდიან. შრომითი მიგრანტების რაოდენობის დასადგენად, ერთ-ერთი გზა, გაცემული შრომითი ბინადრობის ნებართვების ანალიზია, თუმცა, აღნიშნულ შემთხვევაში, მიახლოებით მონაცემებს მივიღებთ, ვინაიდან საქართველოში დასაქმებულ მიგრანტთა კატეგორიას შესაძლოა შრომითი ბინადრობის ნებართვა არ ჰქონდეს.

2014 წლიდან 2020 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით, ჯამში, საქართველოში 44,269 შრომითი ბინადრობის ნებართვა (სულ გაცემული ნებართვების 28%) გაიცა. მათი უმრავლესობა - 9,598 ნებართვა, თურქეთის მოქალაქეებს ეკუთვნით, მეორე ადგილზე ჩინეთის მოქალაქეები (8,179 ნებართვა) არიან, მესამეზე კი - ირანის მოქალაქეები - 7,463 შრომითი ნებართვით. აღსანიშნავია, რომ საქართველოში გაცემული შრომითი ბინადრობის ნებართვების 82% თურქეთის, ჩინეთის, ირანის, ინდოეთის, უკრაინის, რუსეთისა და აზერბაიჯანის მოქალაქეებზე მოდის. იხილეთ ცხრილი #3 (IOM, 2021).

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, წინა პერიოდთან შედარებით, 2018-2019 წლებში გაცემული შრომითი ბინადრობის ნებართვების რაოდენობა შემცირდა.

აღნიშნული შესაძლოა კავშირში იყოს საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირებასთან. კლების ტენდენციით ხასიათდება თურქეთის, ჩინეთის, ინდოეთის მოქალაქეებზე გაცემული შრომითი ნებართვები, საპირისპიროდ, საგრძნობლად მოიმატა ირანის მოქალაქეებზე გაცემულმა შრომითმა ნებართვებმა. ეს შესაძლოა უკავშირდებოდეს ირანის მოქალაქეების მიერ საქართველოში საწარმოო სუბიექტების რეგისტრაციის გაზრდილ მაჩვენებელს (2014-2020 წლებში ყველაზე მეტი შპს საქართველოში ირანის მოქალაქეებმა დაარეგისტრირეს) (IOM, 2021).

როგორც წესი, ტრადიციულად, შრომითი მიგრაცია განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებული ქვეყნებისკენ ხორციელდება. ამიტომ, შესაძლოა, გაჩნდეს ლოგიკური შეკითხვა - რატომ ჩამოდიან იმიგრანტები საქართველოში? - ქვეყნის ეკონომიკა მყიფეა, შრომითი ბაზარი, შეზღუდული, უმუშევრობის დონე კი, 2021 წლის მონაცემებით, 20,6%-ს შეადგენს (აღსანიშნავია, რომ 2020 წლამდე, უმუშევრობის დონე ქვეყანაში კლებადი ტენდენციებით ხასიათდებოდა, თუმცა 2020 წლის კოვიდ-19-ის პანდემიის შედეგად წარმოქმნილმა ეკონომიკურმა კრიზისმა, აღნიშნული მაჩვენებელი გაზარდა) (საქსტატი, 2021). უმუშევრობის ზრდასთან ერთად კი, უცხოურ სამუშაო ძალაზე მოთხოვნა მცირდება. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში არსებობს სოციალურ-ეკონომიკური და ა.შ. პირობები, რომლებიც მიგრანტთა გარკვეული სეგმენტისთვის მიმზიდველია.

ზოგადად შრომითი მიგრანტები დესტინაციის არჩევისას შემდეგი ფაქტორებით ხელმძღვანელობენ:

1. ეკონომიკის განვითარების დონე მიმღებ სახელმწიფოში და დასაქმების შესაძლებლობა;
2. ენობრივი და კულტურულ-ყოფითი ბარიერის დაძლევის სირთულე;
3. მიგრანტის უსაფრთხოებისა და სოციალური დაცულობის დონე;
4. სამშობლოსთან გეოგრაფიული სიახლოვე (სულაბერიძე, 2018).

საქართველოში 2003 წელს, ვარდების რევოლუციის შემდეგ, განხორციელდა საკანონმდებლო და სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები, განვითარდა საბანკო სისტემა, დაიწყო სახელმწიფოს საერთაშორისო იმიჯზე ზრუნვა და გაიზარდა მისი ცნობადობა, რის შედეგადაც, ეტაპობრივად, ის ტრანზიტული ქვეყნიდან, იმიგრაციის ერთ-ერთ მიმართულებად ჩამოყალიბდა. საქართველო მსოფლიო

მიგრაციულ სისტემაში გაერთიანდა, რომელშიც ემიგრანტები და იმიგრანტები არსებულ გლობალურ გამოწვევებზე რეაგირებენ, რაც ქვეყანაში მიგრაციის ხასიათს აყალიბებს (Chumburidze et al, 2015).

იმიგრაციული ნაკადების კიდევ უფრო მომატება, შეიძლება ითქვას, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში გატარებულმა იმიგრაციულმა რეფორმებმა, შედარებითმა სტაბილურობამ და უსაფრთხოების დონის ზრდამ განაპირობა. გამარტივდა სამეწარმეო საქმიანობა და მიმზიდველი საინვესტიციო გარემო შეიქმნა. ეკონომიკა ბოლო წლების განმავლობაში საგრძნობლად იზრდებოდა და 2019 წელს, კოვიდ 19-ის პანდემიამდე, 17,5 მილიარდ აშშ დოლარს უტოლდებოდა, 2021 წლის მონაცემებით, იგი 18,7 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა (საქსტატი, 2022), ხოლო მშპ 1ადამიანზე, 2021 წლის წინასწარი შეფასებით, 5015,3 აშშ დოლარის ტოლი იყო (საქსტატი, 2022).

იმიგრაციას ეკონომიკური საქმიანობის წარმოებისთვის მიმზიდველმა გარემომ და ბიზნესის კეთების სიმარტივემ შეუწყო ხელი. ლიბერალურმა სავაჭრო პოლიტიკამ საგარეო სავაჭრო ბრუნვა გაზარდა. ზოგადად, რაც უფრო ლიბერალურია საზოგადოება, მით უფრო ინტენსიურია ადამიანთა სახელმწიფოთაშორისი მოძრაობა (სულაბერიძე, 2018). ეკონომიკის წინსვლა (თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ (DCFTA) 2014) ევროკავშირთან და ჩინეთთან დადებულმა ხელშეკრულებებმა განაპირობა. საქართველო კავკასიის რეგიონში პირველია, ვინც ჩინეთთან ასეთი შეთანხმება გააფორმა (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2019).

2019 წელს საქართველო მსოფლიოს 190 ქვეყანას შორის „ბიზნესის კეთების სიმარტივით“ მე-7 ადგილს იკავებდა, ბიზნესის დაწყების მიხედვით კი, ის მეორე ადგილზე იყო. ამავდროულად, საქართველო ქონების რეგისტრაციის სიმარტივით (მე-5 ადგილი), კრედიტების მიღებით (მე-15 ადგილი), უმცირესობაში მყოფი ინვესტორების დაცვით (protecting minority investors) (მე-7 ადგილი) გამოირჩეოდა, რაც მას იმიგრანტებისთვის კიდევ უფრო მიმზიდველს ხდიდა (The World Bank, 2019).

აღსანიშნავია, რომ, ზოგადად, ქვეყნის დემოკრატიის ხარისხი შრომითი მიგრაციის განმსაზღვრელ ფაქტორს არ წარმოადგენს (სულაბერიძე, 2018), თუმცა საქართველოს შემთხვევაში, მას შეიძლება გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდეს. კერძოდ, ირანელი იმიგრანტები საქართველოს არჩევისას სწორედ აღნიშნულ ფაქტორს ანიჭებენ უპირატესობას.

ბოლო პერიოდში ქვეყნის ეკონომიკაზე მზარდი გავლენა იმიგრაციასაც ჰქონდა. უცხოელ პირთა კუთვნილებაში არსებულ კომპანიებს კაპიტალის ბრუნვის ზრდაში საკუთარი წვლილი შეჰქონდა. ჯერჯერობით არ გამოქვეყნებულა უახლესი მონაცემები, თუმცა, თუ 2018 წლის ინფორმაციით ვიმსჯელებთ, კერძო უცხოელი ფიზიკური ან იურიდიული პირის მფლობელობაში მყოფი კომპანიების ბრუნვა 27,707 მილიონ ლარს შეადგენდა (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2019). 2016 წლიდან გაიზარდა უცხოელთა მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადის მოცულობაც. ზრდადი იყო ქონების გადასახადის ოდენობაც, რომელიც მათ დაფარეს (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2019).

2016 წლიდან მზარდი იყო უცხოელთა მიერ დაარსებული როგორც პასიური, ისე აქტიური გადასახადის გადამხდელი სუბიექტების რიცხვი. აღნიშნულ დაწესებულებებში, შრომით იმიგრანტებთან ერთად, ადგილობრივი მოსახლეობაც იყო დასაქმებული. 2018 წელს უცხოელმა ფიზიკურმა პირებმა გადაიხადეს საშემოსავლო გადასახადი 7,480,352 ლარის ოდენობით, ამავე წელს, ქონების გადასახადმა მიწის კუთვნილებისთვის, 1,133,977 ლარი შეადგინა, ქონების გადასახადი კი 702,089 ლარი იყო. 2018 წელს უცხოელთა დაფუძნებულ სუბიექტთა მიერ გადახდილი გადასახადი 945,140,804 ლარი იყო და ასეთი სამეწარმეო სუბიექტების უმრავლესობა (60%) თბილისში გახლდათ რეგისტრირებული (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2019).

2021 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 1,152,8 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ უმსხვილესი პირდაპირი ინვესტორები 2022 წლის პირველი კვარტლის წინასწარი მონაცემებით იყვნენ: ესპანეთი, გაერთიანებული სამეფო, თურქეთი (იხილეთ ნახ. #7). რაც შეეხება ამავე პერიოდში ინვესტიციების განაწილებას, სექტორების მიხედვით, წინასწარი მონაცემებით, უდიდესი წილი ენერგეტიკაზე (41,6%), საფინანსო სექტორსა (19,5%) და უძრავ ქონებაზე (14,3%) მოდიოდა. ინვესტიციების უდიდესი ნაწილი თბილისსა და აჭარის რეგიონში ხორციელდებოდა (საქსტატი, 2022). აღსანიშნავია, რომ ინვესტორებს, ძირითადად, თავიანთი მუშახელი ჩამოჰყავთ.

უცხოელი მიგრანტების საქართველოში შემოსვლასთან ერთად, 2017 წლიდან გაიზარდა მათ მიერ უძრავი ქონების საკუთრების რეგისტრაციის შემთხვევები, რაც მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვების რაოდენობის ზრდას განაპირობებდა. ასეთ

ნებართვებს ძირითადად ირანის მოქალაქეები იღებდნენ (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2019).

2019 წელს უცხოელთა მიერ რეგისტრირებული უძრავი ქონების (ძირითადად, ბინების) რაოდენობა მნიშვნელოვნად იყო გაზრდილი და მისი 40% რუსეთის მოქალაქეების საკუთრებაში გახლდათ. ასევე იზრდებოდა უცხოელების მიერ დაფუძნებული სამეწარმეო სუბიექტების რიცხვიც. მათ უმრავლესობას უცხოელი დამფუძნებელი (ძირითადად ირანის, თურქეთის და რუსეთის მოქალაქეები) ჰყავდა. უცხოელთა მიერ დაფუძნებული კომპანიების მიერ შეტანილი წვლილი ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობაში სულ უფრო მზარდია (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2019).

2022 წლის მონაცემებით, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული 73,960 უძრავი ქონების ობიექტი 179 ქვეყნის მოქალაქე უცხოელთა მფლობელობაში იყო. მათ შორის, ყველაზე მეტი, 32,101 ობიექტი, რუსეთის მოქალაქეებს ეკუთვნოდა, 5,245 ობიექტი - უკრაინის, 4,713 ობიექტი - ირანის მოქალაქეებს (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 2022). იხილეთ ნახ. #8, ცხრილი #4.

ნახ. #8 ამავდროულად ასახავს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ბიზნესინტერესებს საქართველოში, ვინაიდან ხშირად ეს უძრავი ქონება შრომითი მიგრანტებისთვის შემოსავლის წყაროს წარმოადგენს. როგორც ვხედავთ, ყველაზე ინტენსიურად უცხო ქვეყნის მოქალაქეები უძრავ ქონებას თბილისსა და ბათუმში იძენენ.

აღსანიშნავია, რომ მიმდებ ქვეყანაში უცხოელისთვის უძრავი ქონების ფლობა გარკვეულწილად ინტეგრაციაში ინვესტირებას წარმოადგენს. იგი ხელს უწყობს მიკუთვნებულობის განცდის ზრდას, მასპინძელ საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის წარმოშობს მოტივაციას და გრძელვადიან პერსპექტივაში უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. ბოლო წლებში უცხო ქვეყნის მოქალაქეები აქტიურად იძენენ უძრავ ქონებას, ამ თვალსაზრისით საინტერესოა უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ თბილისში შეძენილი უძრავი ქონების განაწილება დედაქალაქის რაიონების მიხედვით. აღნიშნული გვეხმარება, როგორც მათი ინტერესის სფეროს, ისე განსახლების თავისებურებების დადგენაში. როგორც ნახ. #9-იდან ჩანს, უცხოელები ძირითადად ცენტრალურ უბნებში (საბურთალო, ვაკე) იძენენ ქონებას ან ქირაობენ საცხოვრებელს, რაც აღნიშნულ უბნებში სოციალურ დატვირთვას ზრდის, სატრანსპორტო და სხვა სისტემებზე ზეწოლას ახდენს, ცენტრსა და პერიფერიას



შორის კიდევ უფრო ამძაფრებს სხვაობას და აღნიშნული უბნების გადატვირთვას იწვევს. ვინაიდან საქართველოში განსახლების პოლიტიკა არ არსებობს, მიგრანტები თავად იღებენ გადაწყვეტილებას, სად იცხოვრონ. ცნობილია, რომ საცხოვრებელი ადგილის შერჩევას, მთავარ ფაქტორებს წარმოადგენს ნათესავებთან და მეგობრებთან სიახლოვე, ხოლო დაბალანაზღაურებადი მიგრანტებისთვის გამამწყვეტი მნიშვნელობა სამსახურთან სიახლოვეს ენიჭება (Waxman, 1999).

საინტერესოა, რომ უძრავ ქონებას თბილისში ძირითადად რუსეთის, ირანის, ისრაელის, აშშ-ის, გერმანიის, უკრაინისა და თურქეთის მოქალაქეები იძენენ. ისინი წარმოდგენილი არიან თბილისის ყველა რაიონში. რუსეთის მოქალაქეები თითქმის ყველგან ჭარბობენ, საბურთალოს რაიონის გარდა, სადაც უძრავი ქონების უდიდესი ნაწილი ირანის მოქალაქეების ხელშია. იხილეთ ნახ. #10 და ცხრილი #5.

საცხოვრებელი ფონდის ზრდასთან ერთად, თბილისის პერიფერიულ რაიონებში, ახალაშენებულ კორპუსებში ბინების შექმნა ხდება აქტუალური. აღნიშნული დიდების რაიონს ეხება, სადაც ბინებს იმიგრანტები აქტიურად იძენენ.

თბილისში მიგრანტთა ანკლავები გვხვდება, ძირითადად, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, აღმაშენებლის ქუჩაზე, სადაც სოციალური და სივრცითი სხვაობა შეინიშნება. აქ წარმოდგენილია თურქეთისა და ირანის მოქალაქეების „ეთნიკური ანკლავი“. იგი ძირითადად ისეთ ეკონომიკურ საქმიანობას უკავშირდება, როგორცაა, სარესტორნო ბიზნესი, კერძოდ, კაფე-ბარები, ეროვნული რესტორნები, სასადილოები, საცხობები და კვების სხვა ობიექტები. კვლევების დიდი ნაწილი ცხადყოფს, რომ მიგრანტთა ეთნიკურ რაიონებში დასახლება ადგილობრივ მოსახლეობასთან კონტაქტს ამცირებს და სოციალურ კავშირებზე ახდენს გავლენას (Laan Bouma-Doff, 2007; Vervoort et al., 2010; Danzer & Yaman, 2013). ზოგადად, სამეზობლო მხოლოდ ერთ-ერთია იმ ფაქტორთაგან, რომელიც აყალიბებს სოციალურ კავშირებს (Blokland & van Eijk, 2010; Boschman, 2012), სამსახურთან, საერთო ინტერესების მქონე ჯგუფებთან და ინტერნეტსივრცესთან ერთად (Zelinsky & Lee, 1998). ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეთნიკურ რაიონებში მიგრანტთა განსახლებას სოციალურ კავშირებზე გავლენა აქვს, თუმცა აღნიშნული იმაზეა დამოკიდებული, თუ სამეზობლო კავშირები რა როლს ასრულებს იმიგრანტთა ცხოვრებაში. ამავდროულად „ანკლავებში“ ცხოვრება იმიგრანტის ლინგვისტურ უნარ-ჩვევებზე ახდენს გავლენას. მასპინძელი ქვეყნის ენის ცოდნა კულტურული

ინტეგრაციის ერთ-ერთი ინდიკატორია. კვლევათა უმეტესობა ცხადყოფს, რომ მიგრანტთა სივრცითი კონცენტრაცია მასპინძელი ქვეყნის ენის შესწავლის პროცესს აწეობს (Chiswick & Miller, 2001; Danzer & Yaman, 2016; Danzer & Dietz, 2018).

სივრცითი ასიმილაციის მოდელის მიხედვით, მიგრანტები, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად, იცვლიან საცხოვრისს და „ეთნიკური უმრავლესობის“ რაიონებში გადაადგილდებიან (Massey, 1985). აღნიშნული მოდელი არ მართლდება თბილისის, კერძოდ, აღმაშენებლის ქუჩის მაგალითზე, ვინაიდან, აღნიშნულ შემთხვევაში, იმიგრანტთა სოციალური კავშირები თანამემამულეებთან, საკვანძო როლს ასრულებს, ამიტომ ისინი კომპაქტურად ცხოვრებას ამჯობინებენ.

რაც შეეხება ბათუმს, ის თბილისთან შედარებით უფრო კომპაქტური ქალაქია. ბოლო წლებში ბათუმში მშენებლობის ბუმი დაიწყო, რომლის ძირითადი ნაწილი ახალ ბულვარზე მოდის, შესაბამისად, უძრავი ქონების გაყიდვების 60%-იც სწორედ ამ ტერიტორიაზე ფიქსირდება. 2018 წელს ბათუმის საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზრის ტრანზაქციების საერთო ღირებულება 1,3 მილიარდი ლარი იყო (TBC Capital, 2019).

დიდი იყო იმ უცხოელთა წილი, რომლებიც უძრავ ქონებას ბათუმში იძენდნენ. 2019 წელს ბათუმის უძრავი ქონების ბაზრის მყიდველთა 31%-ს ქართველები შეადგენდნენ, 69% კი უცხოელებზე მოდიოდა შემდეგი ქვეყნებიდან: უკრაინა - 8,4%, რუსეთი - 8,2%, აზია და ოკეანეთი - 3%, ევროპა - 2,5%, ისრაელი - 2,4%, თურქეთი - 1,5%, სომხეთი - 1%, ირანი - 0,9%, აზერბაიჯანი - 0,4%, სხვა - 2,8%. უცხოელები ბინებს საინვესტიციო მიზნებისთვის ყიდულობდნენ. საინტერესოა, რომ სესხების 69%-ს ბათუმში არარეზიდენტები იღებდნენ (TBC Capital, 2019).

2020 წელს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაკვეთით ჩატარებული „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა“, რომლის ფარგლებში ის პროფესიული უნარები შეისწავლეს, რომლებიც ქართულ შრომის ბაზარზე არსებობს. კვლევის მიხედვით, 2019 წელს არსებული ვაკანსიების 72,2% თბილისზე მოდიოდა, ხოლო მეორე ადგილზე, 11,3%-ით აჭარა იყო, რაც სამუშაოს მაძიებელთათვის ამ ადგილების აქტუალობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს. იმავე, 2019 წელს, საქართველოში არსებული საწარმოების სულ რაღაც 8%-ს (3,989 საწარმო) 41,359 უცხოელი ჰყავდა დასაქმებული, რაც მთლიანი დასაქმების 5%-ს

შეადგენდა. დასაქმებულ უცხოელთა ნახევარზე მეტი - 58% (23,784 დასაქმებული) მცირე ზომის საწარმოებზე მოდიოდა. მსხვილი ზომის საწარმოებში უცხოელთა 38% (15,901 დასაქმებული) იყო დასაქმებული, ხოლო ყველაზე ნაკლები - 4% (1,674 დასაქმებული) საშუალო ზომის საწარმოებზე ნაწილდებოდა. აჭარის რეგიონზე დასაქმებულ უცხოელთა ყველაზე მეტი - 76% მოდიოდა, ხოლო თბილისზე კი - 19%. 2019 წლის პირველი სექტემბრის მდგომარეობით, უცხო ქვეყნის მოქალაქეები შემდეგ სექტორებში იყვნენ დასაქმებული: ტრანსპორტის (39,4%, 16,297 დასაქმებული), დამამუშავებელი მრეწველობის (34,3%, 14,195 დასაქმებული), მშენებლობის (7,2%, 2960 დასაქმებული), ტურიზმის სფერო (6,5%, 2691 დასაქმებული) (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2020).

კოვიდ-19-ის პანდემიამდე, შრომითი მიგრანტები ყველაზე ფართოდ წარმოდგენილი იყვნენ ისეთ პოზიციებზე, როგორებიცაა მენეჯერის (70%), მანქანების ოპერატორის (13%) და ტექნიკოსის (7%) თანამდებობა (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2020).

უცხო ქვეყნის ყველაზე მეტი მოქალაქე ელემენტარული ჯგუფების მიხედვით დასაქმებული იყო ისეთ თანამდებობებზე, როგორიცაა: მმართველი დირექტორი (20,862 დასაქმებული), სატვირთო ავტომობილის მძღოლი (5,344 დასაქმებული), მენეჯერი მომსახურების სფეროში (3,844 დასაქმებული), დამამუშავებელი მრეწველობის მენეჯერი (2,509 დასაქმებული) და ბიზნესმომსახურების აგენტი (2,233 დასაქმებული). უცხოელი მოქალაქეების დასაქმების მთავარ მიზეზად საწარმოს უცხოელი დამფუძნებელი დასახელდა (63%), 21%-ის შემთხვევაში მიზეზი იყო საწარმოს უცხოური წარმომავლობა. უცხოელების ქართულ ბაზარზე დასაქმების კიდევ ერთ მიზეზად, ადგილობრივ მოსახლეობაში, საჭირო კვალიფიკაციისა და პროფესიული უნარების მქონე მუშახელის არარსებობა სახელდებოდა (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2020).

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ უცხოელთა დიდი ნაწილი კვალიფიციური სპეციალისტები არიან, რომლებიც კომპანიებისა და საწარმოების მმართველ პოზიციებზე საქმდებიან.

## თავი 4. მიგრანტთა ინტეგრაციის სამართლებრივი საკითხები და სამთავრობო პოლიტიკა

მიგრაცია, როგორც კომპლექსური პროცესი, თანამედროვეობის ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევაა. როგორც წინა თავში ვიხილეთ, მიგრაციულ პროცესებს საქართველოს სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია, ამავდროულად, მიგრანტთა დიდი რაოდენობით შემოსვლა ქვეყანას ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს, ამიტომ აუცილებელია მიგრაციული პროცესების გონივრულად მართვა და იმიგრანტთა საჭიროებების გათვალისწინება. საქართველოს გეოპოლიტიკიდან გამომდინარე, ჩვენი ქვეყანა მიგრანტთა წარმოშობის, მათი დანიშნულებისა და სატრანზიტო ქვეყანას წარმოადგენს (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნო, 2017). შესაბამისად, უნდა არსებობდეს დახვეწილი მიგრაციული პოლიტიკა, როგორც ემიგრაციის, ისე იმიგრაციის კუთხით.

ვინაიდან ბოლო წლებში საქართველო იმიგრაციის ქვეყნად ყალიბდება, რაზეც უცხოელებზე გაცემული ბინადრობის ნებართვების მზარდი სტატისტიკა მეტყველებს, იმიგრაციული პროცესების სრულყოფილად მართვის საჭიროებაც იქმნება. აღნიშნულის განხორციელებაში, დახვეწილი საკანონმდებლო ბაზის არსებობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

შეიძლება ითქვას, რომ დამოუკიდებელ საქართველოში არსებული მიღწევების მიუხედავად, იმიგრაცია დიდ გამოწვევად რჩება, ვინაიდან ქვეყანას არ გააჩნია დიდი გამოცდილება არც იმიგრაციის და არც შრომითი მიგრაციის მართვის კუთხით. აღსანიშნავია, რომ საქართველოს არასდროს ჰქონია მიგრაციის რეგულირების საკუთარი სახელმწიფო პოლიტიკა. 1800-1921 წლებში მიგრაციული პროცესები მეფის რუსეთის პოლიტიკით განისაზღვრებოდა, 1921-1990 წლებში კი - საბჭოური პოლიტიკით (სულაბერიძე, 2018). იმისთვის, რომ ამ მხრივ საქართველოში არსებული მდგომარეობა გავაანალიზოთ, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის მიგრაციულ კანონმდებლობას უნდა გავეცნოთ:

- **საქართველოს კონსტიტუცია**

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ჩვენს ქვეყანაში კანონიერად მყოფ ნებისმიერ პირს შეუძლია საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში თავისუფალი

მიმოსვლა, აქვს საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება და შეუძლია საქართველოდან გასვლა (საქართველოს მთავრობა, 1995). კონსტიტუცია ასევე მიუთითებს იმ თანაბარ უფლებებზე და მოვალეობებზე, რომლებიც ჩვენს სახელმწიფოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს, მოქალაქეობის არმქონე პირებსა და ქვეყნის მოქალაქეებს აქვთ (საქართველოს მთავრობა, 1995). კონსტიტუციის მიხედვით, სახელმწიფოს უფლება აქვს შეზღუდოს უცხო სახელმწიფოს მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პოლიტიკური საქმიანობა (საქართველოს მთავრობა, 2013).

- საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“

ორგანული კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა მოქალაქეობის მიღება, მინიჭება, ან მისი დაკარგვის წესები (საქართველოს მთავრობა, 2013).

- საქართველოს კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“

კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ არეგულირებს უცხოელთათვის საქართველოში შემოსვლის, ქვეყანაში ყოფნის, ტრანზიტისა და გასვლის სამართლებრივ საფუძვლებს. ასევე არეგულირებს დეპორტაციის წესებსა და ფორმებს. კანონის მიზანია უცხოელთა აღიარებული უფლებების დაცვა და მათთვის სამართლებრივი გარანტიების შექმნა. იგი განამტკიცებს თავისუფალი მიმოსვლის, საცხოვრებელი ადგილის და საქმიანობის არჩევის უფლებებს (საქართველოს პარლამენტი, 2014).

- საქართველოს კანონი „უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ“

მისი მიზანია, განსაზღვროს უცხო ქვეყნებში მობინადრე თანამემამულეებისა და დიასპორის სტატუსი და მათთან მიმართებით ჩამოაყალიბოს საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპები და საფუძვლები. ჩვენი სახელმწიფო საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებს ხელს უწყობს სამშობლოსთან კავშირის, ეროვნული იდენტობისა და ქვეყანაში დაბრუნების საკითხებში (საქართველოს პარლამენტი, 2011).

- საქართველოს კანონი „საერთაშორისო დაცვის შესახებ“

აღნიშნული კანონით განისაზღვრავრება საქართველოს ტერიტორიაზე მოქალაქეობის არმქონე პირისა და უცხოელის შემოსვლა ან ყოფნა, თავშესაფრის მამიებლის, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის ან ლტოლვილის სამართლებრივი მდგომარეობა, სტატუსის მინიჭება, გაუქმება, ჩამორთმევა და სხვ. მისი მიზანია თავშესაფრის პროცედურული უზრუნველყოფა, მისთვის სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა და პირის უფლებების დაცვა (საქართველოს პარლამენტი, 2016).

- საქართველოს კანონი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“

კანონში განსაზღვრულია ტრეფიკინგის არიდება და განხილულია მასთან ბრძოლის საკითხები. იგი უზრუნველყოფს ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა დაცვას, მათ რეაბილიტაციას და დახმარებას (საქართველოს პარლამენტი, 2006).

**სხვა საკანონმდებლო აქტებს, რომლებიც საქართველოში საერთაშორისო მიგრაციას არეგულირებს, მიეკუთვნება:**

- 1993 წელს მიღებული კანონი - „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“;
- 1996 წელს მიღებული კანონი - „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ ;
- 1998 წელს მიღებული კანონი - „სახელმწიფო საზღვრის შესახებ“;
- 2008 წლის კანონი - „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“;
- 2011 წლის კანონი - „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“;
- 2011 წელს მიღებული კანონი - „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2015).

უშუალოდ შრომითი მიგრაცია საქართველოში რეგულირდება ეროვნული კანონებითა და პროცედურებით, აგრეთვე საერთაშორისო ხელშეკრულებებით, რომლებიც საქართველოს აქვს მიღებული. შრომითი მიგრაციის მარეგულირებელ კანონებს შორის უპირველესი მნიშვნელობისაა საქართველოს კონსტიტუცია, 2015 წლის კანონი „შრომითი მიგრაციის შესახებ“ და საქართველოს კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ (Gogsadze et al., 2022).

2014 წელს შეიმუშავეს კანონი შრომითი მიგრაციის შესახებ, რომელიც პარლამენტმა 2015 წლის აპრილში მიიღო (საქართველოს პარლამენტი, 2015). შესაბამისად, ამ პერიოდიდან, პირველად საქართველოში გაჩნდა შრომითი მიგრაციის მარეგულირებელი კანონმდებლობა, რაც უდიდესი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. აღნიშნული კანონი ადგენს შრომითი მიგრანტის ადგილობრივ დამსაქმებელთან შრომითი მოწყობის, მუშაობის გარანტიებს, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას, ასევე იმიგრანტისა და დამსაქმებლის უფლება-მოვალეობებს. კანონი მიზნად ისახავს ლეგალური შრომითი მიგრაციის ხელშეწყობას, არალეგალური შრომითი მიგრაციის შეზღუდვას, ტრეფიკინგის შემთხვევების მინიმუმამდე დაყვანას. კანონში შრომითი მიგრაციის სფეროსთვის განკუთვნილი საკითხები განისაზღვრება: იგი ადგენს მმართველობის პრინციპებსა და მექანიზმებს, არეგულირებს ურთიერთობებს, რომლებიც შრომით მოწყობასა და ანაზღაურებად შრომით საქმიანობას უკავშირდება. საკრუინგო საქმიანობას კანონი არ ეხება, რადგან იგი საქართველოს საზღვაო კოდექსითა და სხვა აქტებით რეგულირდება (საქართველოს მთავრობა, 2015).

შრომით მიგრანტს ადგილობრივ დამსაქმებელთან სამსახურში მოწყობა და ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელება შეუძლია მხოლოდ მასსა და ადგილობრივ დამსაქმებელს შორის კანონმდებლობით გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. ადგილობრივ დამსაქმებელთან მოსაწყობად აუცილებელია, რომ იმიგრანტი საქართველოში კანონიერად იმყოფებოდეს (საქართველოს მთავრობა, 2015).

კანონში შრომითი მიგრაცია განმარტებულია, როგორც საქართველოდან ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის მიზნით პირის სხვა სახელმწიფოში წასვლა ან საქართველოში მუდმივი ბინადრობის არმქონე უცხოელის სხვა ქვეყნიდან შემოსვლა შრომითი მოწყობის მიზნით (საქართველოს პარლამენტი, 2015). საქართველოს პარლამენტი განსაზღვრავს შრომითი მიგრაციის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მიმართულებებს, ხოლო სახელმწიფო მმართველობას ახორციელებს საქართველოს მთავრობა, საქართველოს სამინისტროები და სხვა აპარატები და ორგანოები (საქართველოს პარლამენტი, 2015).

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ტერმინი „შრომითი იმიგრანტი“ ეხება სამუშაო ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელს. ეს სტატუსი იმიგრანტს (მათ

შორის, ფრილანსერს) საშუალებას აძლევს განახორციელოს სამეწარმეო ან შრომითი საქმიანობა (საქართველოს პარლამენტი, 2015).

საქართველოში დასაქმების მიზნით ჩამოსულმა პირმა, პირველ რიგში, უნდა მიიღოს საიმიგრაციო ვიზა (D1 კატეგორია). პირებს, რომლებიც საქართველოში ოჯახის გაერთიანების მიზნით ჩამოდიან, უფლება აქვთ მიიღონ D4 კატეგორიის ვიზა (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2015).

შრომითი ბინადრობის ნებართვა საქართველოში გაიცემა შრომითი ან სამეწარმეო საქმიანობისთვის ჩამოსულ ფიზიკურ პირებზე და შტატგარეშე, ე.წ. ფრილანსერ მუშაკებზე - პირველად, 6 თვიდან 1 წლამდე ვადით (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2017). 2015-2018 წლებში ბინადრობის ნებართვა ძირითადად 18-65 წლის მამაკაცებზე (66%) გაიცა. რაც შეეხება შრომითი ბინადრობის ნებართვას, მას, ძირითადად, 26-40 წლის პირებს აძლევდნენ (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2019).

აღსანიშნავია, რომ კანონი შრომითი მიგრაციის შესახებ ვერ არეგულირებს შრომით იმიგრაციას, ვინაიდან მასში ძირითადად ემიგრაციაზეა საუბარი. იმიგრაცია მთავრობის დადგენილებით რეგულირდება, რაც ანგარიშვალდებულ დამსაქმებელ კომპანიებს პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა ჩამოსული შრომითი მიგრანტების შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების კუთხით გაუმჯობესდა, კერძოდ, საქართველოს მთავრობის #417 დადგენილების თანახმად (საქართველოს მთავრობა, 2015), ადგილობრივი დამსაქმებელი, იმიგრანტის დასაქმების შემთხვევაში, შრომითი ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 30 დღის ვადაში, ვალდებულია, აცნობოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოში კანონიერად მყოფი უცხოელის დასაქმებასთან დაკავშირებით, თუმცა აღნიშნული მოთხოვნის აღსრულება რთულდება, რადგან ხშირად დამსაქმებელი ამ ვალდებულებას თავს არიდებს (IOM, 2021). მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლის თქმით, დღევანდელი მონაცემებით, მიგრანტების რიცხვი, რომელიც მონაცემთა ბაზაშია რეგისტრირებული და შრომითი მიზნით გაცემული ნებართვების რაოდენობა, ერთმანეთს არ ემთხვევა. შესაბამისად, ამ შემთხვევაში, კონკრეტულად მარეგულირებელი გარემოს პრობლემა იკვეთება, კერძოდ, სამართლებრივი



დოკუმენტები, კანონმდებლობა რეალურად ვერ მართავს საკითხს, რის შედეგადაც მიგრანტთა შრომითი უფლებების მონიტორინგი ვერ ხორციელდება და დღეს ამის რეგულირების არანაირი ბერკეტი არ არსებობს (ექსპერტთან ინტერვიუ, 2021).

2015 წლიდან საქართველოში გაცემული საიმიგრაციო ვიზების რაოდენობა შემცირდა. ეს შეიძლება აიხსნას საკანონმდებლო ცვლილებებით, უფრო კონკრეტულად: საქართველოში 98 ქვეყნის მოქალაქეს შეუძლია უვიზოდ შემოსვლა. აქედან 28 ქვეყნის მოქალაქეს, გარდა უვიზოდ შემოსვლისა, შეუძლია ერთი წლის ვადით ქვეყანაში დარჩენა (IOM, 2021). როგორც ვხედავთ, ზემოაღნიშნული ქვეყნების მოქალაქეებისთვის საიმიგრაციო ვიზის ქონა სავალდებულო მოთხოვნა აღარ არის. საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე, საქართველოში უვიზოდ შემოსვლა შეუძლიათ აშშ-ს, ევროკავშირის ქვეყნების, თურქეთის, უკრაინის, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) წევრების, ასევე სპარსეთის ყურის ქვეყნების ნაწილის მოქალაქეებს. აღსანიშნავია, რომ რეგიონში საქართველოს ყველაზე ლიბერალური საიმიგრაციო პოლიტიკა აქვს. მეზობელ თურქეთში უცხოელს მაქსიმუმ 90 დღით შეუძლია დარჩენა (Ministry of Foreign Affairs of Republic of Turkey, 2022), აზერბაიჯანში, მხოლოდ უცხოელთა მცირე რაოდენობას შეუძლია, ასევე, მაქსიმუმ 90 დღემდე გაჩერება (visasazerbaijan.com, 2022), სომხეთში კი უცხოელებისთვის დარჩენა 180 დღემდე შესაძლებელი (Ministry of Foreign Affairs of the Republic of Armenia, 2022). შესაბამისად, საქართველო რეგიონში ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც ღია საზღვრების პრინციპი აქვს და, შეიძლება ითქვას, ზედმეტად ლიბერალური პოლიტიკა, რომელიც არამხოლოდ ქვეყანაში შემოსვლაზე, არამედ უცხოელების დასაქმებაზეც ვრცელდება. აღნიშნულზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ქვეყანას უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმებაზე ნებართვების სისტემა არ აქვს, რომელიც პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში არსებობს (ექსპერტთან ინტერვიუ, 2021).

მსოფლიოს ნებისმიერი სახელმწიფოსთვის შრომითი მიგრაციის კუთხით სრულყოფილი პოლიტიკის არსებობასა და მის სწორად დაგეგმვას/წარმართვას საკვანძო მნიშვნელობა აქვს. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ქვეყანაში შრომითი მიგრაციის საკითხი დამოუკიდებლობის პირველივე წლებიდან წამოიჭრა, რაც, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობით და იმ სოციალურ-პოლიტიკური ვითარებით არის განპირობებული, რაც ქვეყანაში

არსებობს. მიგრაციის მართვის ინსტიტუციონალიზაცია საქართველოში 2010 წელს მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის დაარსებით დაიწყო, რომელიც საქართველოს მთავრობის სათათბირო ორგანოს წარმოადგენს. მასში მონაწილეობს ცხრა ეროვნული სააგენტო, ასევე 10 ადგილობრივი არასამთავრობო და საკონსულტაციო სტატუსის მქონე საერთაშორისო ორგანიზაცია (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2022), (იხილეთ ცხრილი #6).

2013 წლიდან საქართველოში იწყება მიგრაციის პოლიტიკაზე მუშაობა, ამ მიმართულებით გარკვეული ხედვები ყალიბდება. 2013 წელს შეიქმნა მიგრაციის პირველი სტრატეგია (2013-2015 წლების მიგრაციის სტრატეგია) (საქართველოს მთავრობა, 2013), რომლის ფარგლებში განისაზღვრა სახელმწიფოს პოლიტიკა მიგრაციის მართვის კუთხით და ის პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებები, რომლებსაც თავისი კომპეტენციის ფარგლებში პროცესების წარმართვაზე ზრუნვა უნდა დაეწყოთ. ეს იყო საწყისი ეტაპი, როდესაც საქართველომ მიგრაციული პროცესების მართვა დაიწყო და, შესაბამისად, შრომითი მიგრაციის საკითხთა სამმართველო შრომითი მიგრაციის მარეგულირებელი და მმართველი სახელმწიფო უწყება გახდა, რომელსაც შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავება დაევალა (ექსპერტთან ინტერვიუ, 2021).

შრომითი მიგრაციის მართვა და მისი შემდგომი სრულყოფა საქართველოში 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიის შექმნას უკავშირდება. აღნიშნული დოკუმენტი მიგრაციის მართვის უფრო სრულყოფილ და ყოვლისმომცველ სტრატეგიას წარმოადგენს, რომლის მიზანია რეგულირებული და ლეგალური შრომითი იმიგრაციის ხელშეწყობა (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2015). ვინაიდან ეს არალეგალური მიგრაციისა და გაზრდილი თავშესაფრის მოთხოვნების წინააღმდეგ ერთადერთი ალტერნატივაა (ექსპერტთან ინტერვიუ, 2021). ამავდროულად იგი მიზნად ისახავს შრომითი უფლებების დაცვასა და მიგრანტების რეინტეგრაციას. სტრატეგიის მთავარი მიზანი იყო საქართველოში მოქმედი მიგრაციული პოლიტიკის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება და სრულყოფილი საკანონმდებლო და ინსტიტუციური სივრცის შექმნა (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2015). აღნიშნული სტრატეგიებით (2013 - 2015 წლების სტრატეგია, 2016 - 2020 წლების სტრატეგია) საქართველოს ხელისუფლებამ, იმიგრანტთა ინტეგრაციის მიმართულებით, გარკვეული ნაბიჯები გადადგა, კერძოდ,

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის ფარგლებში ინტეგრაციის საკითხების სამუშაო ჯგუფი შეიქმნა და განვითარდა „ქართული - როგორც უცხო ენა“ შესწავლის პორტალი [www.geofl.ge](http://www.geofl.ge) (IOM, 2021).

შეიძლება დავასკვნათ, რომ ევროკავშირთან გაფორმებულმა ასოცირების შესახებ შეთანხმებამ და 2015 წლის ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმამ, რეგულირებული შრომითი მიგრაციის პროცესები ძალიან წაახალისა და მიგრაციული ნაკადების დაბალანსება განაპირობა. სწორედ აღნიშნული და სხვა მიგრაციულ-პოლიტიკური პროცესების დინამიკურობის გამო, მიგრაციის სტრატეგია გარკვეულ ცვლილებებს დაექვემდებარა, კერძოდ, ქვეყნის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების გარდა, უახლესი სტრატეგიის (2021-2030) სამიზნე ჯგუფებს მიეკუთვნებიან იმიგრანტები (სტატუსის მიუხედავად), დაბრუნებული მიგრანტები, მოქალაქეობის არმქონე ლტოლვილები და თავშესაფრის მაძიებლები (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2020).

2021-2030 წლების მიგრაციის სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავს მიგრანტების ინტეგრაციის სფეროში არსებული პრობლემების მოგვარებას. ამ მიმართულებით გამოიყოფა შემდეგი მიზნები:

- იმიგრანტთა ინტეგრაციის მიმართ ერთიანი მიდგომის შემუშავება;
- იმიგრანტთა პოტენციალის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;
- იმიგრანტებისთვის სახელმწიფო ენის შესწავლის უფრო ფართო შესაძლებლობების უზრუნველყოფა (IOM, 2021).

საქართველოს კანონმდებლობა (საქართველოს პარლამენტი, 2014 ა) უზრუნველყოფს საქართველოში მცხოვრები უცხოელების ინტეგრაციის ყველა ძირითად უფლებასა და თავისუფლებას, რომელიც მოიცავს: განათლებას, დასაქმებას, მეწარმეობას, ჯანდაცვას, სოციალურ დაცვას, ბინადრობას, მოქალაქეობის მიღებას, ოჯახის გაერთიანებას, მემკვიდრეობით ქონების მიიღებას/ფლობას, რელიგიას, კულტურულ ტრადიციებს, მშობლიური ენის გამოყენებას და ა.შ.

თუმცა, ჯერ კიდევ არსებობს კონსოლიდირებული და კომპლექსური პროგრამის შემუშავების აუცილებლობა, რომელიც შრომითი მიგრანტებისთვისა და მათი ოჯახის წევრებისთვისაა გამიზნული (Gogsadze et al., 2022).

მოქალაქეობა სამოქალაქო ინტეგრაციის უმაღლესი საფეხურია. საქართველოს მოქალაქეობის ძირითადი პრინციპები და მისი მიღების საფუძვლები რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონით საქართველოს მოქალაქეობის შესახებ (საქართველოს პარლამენტი, 2014 ბ). ნატურალიზაციის გზით მოქალაქეობის მიღების პროცედურა საქართველოში ქართული ენის, ისტორიისა და ძირითადი სამართლებრივი პრინციპების ცოდნას მოითხოვს (სულაბერიძე, არჩვაძე, აფციაური, 2021).

2018 წელს კანონში ახალი ცვლილებებით განისაზღვრა ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების პირობები (საქართველოს პარლამენტი, 2018). საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, უცხო ქვეყნის მოქალაქეს შეუძლია შეინარჩუნოს მოქალაქეობა და მიიღოს საქართველოს მოქალაქეობა (ანუ გახდეს ორმაგი მოქალაქე). 2005-2013 წლებში დაფიქსირდა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების 53 067 შემთხვევა, ხოლო 2014-2017 წლებში, გამონაკლისის წესით, საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭა 16 463 პირს. მათ შორის არიან რუსეთის (61%), აშშ-ს (7%), სომხეთის (6%), საბერძნეთის (4%), ისრაელის (4%), უკრაინის (4%), თურქეთისა (2%) და ირანის (1%) მოქალაქეები (IDFI, 2018).

იმიგრანტა უფლებების დაცვის მხრივ, შეინიშნება წინსვლა, განსაკუთრებით, შრომითი მიგრაციის კუთხით (საქართველოს მთავრობა, 2013), თუმცა მიგრანტთა ინტეგრაციის პროცესი, შეიძლება ითქვას, ჯერჯერობით საწყის ეტაპზე რჩება. არ არსებობს იმიგრანტთა საკითხებზე პასუხისმგებელი ერთიანი სახელმწიფო სტრუქტურა. არალეგალური მიგრაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციაა. იმიგრანტისთვის სტატუსის მინიჭების, გაუქმებისა და გამეგების საკითხებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობისა და მიგრაციის საკითხთა დეპარტამენტი კურირებს, მიგრანტებთან დაკავშირებული დანარჩენი საკითხები კი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ქვეშ არსებულ სამმართველოებში ნაწილდება.

აღნიშნული სამინისტრო უზარმაზარი უწყებაა და დევნილების, ჯანდაცვის, სოციალური დაცვის, შრომის მიმართულებებს მოიცავს. უშუალოდ მიგრანტების საკითხები აღნიშნული სამინისტროს სხვადასხვა უწყებაში ნაწილდება (მიგრანტთა პოლიტიკის სამმართველო, შრომითი მიგრაციის საკითხთა სამმართველო,

დევნილთა, ეკომიგრანტთა, საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო). ამათგან მიგრანტთა ინტეგრაციის საკითხები ეხება დევნილთა, ეკომიგრანტთა, საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ინტეგრაცია-რეინტეგრაციის სამსახურს. აღნიშნული სამმართველო მოიცავს ეკომიგრანტებს, დევნილებს, საქართველოში დაბრუნებული მიგრანტებისა და საქართველოში მცხოვრები უცხოელების ინტეგრაციის პოლიტიკას, რეინტეგრაციის პოლიტიკასა და ეკომიგრანტებთან და დევნილებთან მიმართებით განსახლების და საარსებო წყაროების უზრუნველყოფის პოლიტიკის ჩამოყალიბებას. აქედან გამომდინარე, შრომითი მიგრანტების ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხები ნაწილდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სხვადასხვა დაქსაქსულ უწყებაში, განსხვავებული სფეროების მიხედვით: ჯანდაცვა, ინტეგრაცია, შრომითი მიგრაცია, დასაქმება, ზოგჯერ კი, სულაც სცდება ამ სამინისტროს (მაგალითად, არალეგალური მიგრაციის შემთხვევებში). შრომით მიგრანტთა საკითხებზე მომუშავე ერთიანი პასუხისმგებელი სტრუქტურის არარსებობა იმიგრანტთა საკითხების შესწავლას ართულებს და, ამავდროულად, შეიძლება ითქვას, მუშაობის პროცესს არაეფექტიანს ხდის, ვინაიდან აღნიშნულ უწყებებს მრავალი ქვემიმართულება აქვს, რომელთაგან შრომითი მიგრაციის საკითხი მხოლოდ ერთ-ერთს წარმოადგენს, რის შედეგადაც პრიორიტეტული მიმართულების გამოკვეთა და ერთი რომელიმე საკითხის ბოლომდე გადაწყვეტა რთულია.

მაგალითისთვის ავიღოთ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო, რომელიც საკმაოდ მცირე უწყებაა და მასში სულ 8 თანამშრომელია დასაქმებული. აღნიშნული სააგენტო მიგრანტთა (მათ შორის, შრომით მიგრანტთა) ინტეგრაციას განაგებს და პროგრამებს ორი მიმართულებით ახორციელებს, კერძოდ, ინტეგრაციისა და რეინტეგრაციის მიმართულებით. რეინტეგრაციის კუთხით სააგენტოს ბენეფიციარები არიან დაბრუნებული მიგრანტები. ინტეგრაციის პროგრამაში აღნიშნული უწყების ბენეფიციარები არიან საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირები (ჰუმანიტარული სტატუსის მქონე, ლტოლვილის სტატუსის მქონე, თავშესაფრის მაძიებლები, მოქალაქეობის არმქონე) და კანონიერი საფუძვლით საქართველოში მყოფი ყველა უცხოელი.

აღნიშნული სააგენტო ახორციელებს უფასო მიგრანტთა საინტეგრაციო პროგრამებს, თუმცა აღნიშნული პროგრამების სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ ისეთი მოწყვლადი ჯგუფები, როგორებიც არიან საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირები (ჰუმანიტარული სტატუსის მქონე, ლტოლვილის სტატუსის მქონე, თავშესაფრის მაძიებლები, მოქალაქეობის არმქონე) და სწორედ ასეთ პირებზე ვრცელდება საინტეგრაციო პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები. როგორც დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის ინტეგრაცია-რეინტეგრაციის სამსახურის წარმომადგენელმა განაცხადა, ყველა საინტეგრაციო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია უფასო ქართული ენის კურსები, კულტურული ორიენტაციის კურსი (რომლის ფარგლებშიც ძირითადად საქართველოს ისტორია და ქართველი ერის ადათ-წესები, კულტურა ისწავლება), სამოქალაქო განათლების კურსი, (რომლის ფარგლებში ბენეფიციარები ეცნობიან მათ უფლებებს საქართველოში) (ექსპერტთან ინტერვიუ, 2021). ყველა აღნიშნული სერვისი, სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, ზემოთ ხსენებული პირებისთვის უფასოდ არის ხელმისაწვდომი, თუმცა როგორც აღინიშნა, მხოლოდ მოწყვლადი კატეგორიისთვისაა განკუთვნილი - საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირებისთვის. მიგრანტთა სხვა ჯგუფების ინტეგრაციის საკითხი დღის წესრიგში არ დგას. შრომითი მიგრანტებისთვის და ქვეყანაში ლეგალურად მყოფი სხვა უცხოელებისთვის, როგორც ასეთი, სახელმწიფო საინტეგრაციო პროგრამები არ არსებობს და უახლოეს პერიოდშიც არ იგეგმება იმ მარტივი მიზეზიდან გამომდინარე, რომ ეს საკმაოდ დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული და დღეს ქვეყანას ამის რესურსი არ აქვს. მათ სააგენტო ისეთი ტიპის მომსახურებას სთავაზობს, როგორიცაა: რეფერირება, გადამისამართება და თარგმნა.

იმიგრანტთა ინტეგრაციის საკითხები განსაკუთრებით დაიჩრდილა კოვიდ-19-ის პანდემიის პერიოდში, როდესაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პირველი და უმთავრესი გამოწვევა პანდემიასთან ბრძოლა იყო. ამ პერიოდში გამოვლინდა ის ხარვეზები, რომლებიც მიგრაციის მართვისა და ინტეგრაციის კუთხით არსებობს. კერძოდ, უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკული თვალსაზრისით, საქართველოში შრომითი მიგრანტების ინტეგრაციის მართვას პასუხისმგებელი ერთიანი ინსტიტუციის არარსებობა ართულებდა.

## თავი 5. მიგრანტთა ინტეგრაცია და კოვიდ-19 პანდემია

კოვიდ-19-ის პანდემიამ საქართველოში შრომით მიგრანტთა მდგომარეობა დაამძიმა და მათი ინტეგრაცია შეაფერხა. პანდემიამ დააზარალა ეკონომიკა, შეამცირა წარმოება და შემოსავლები. აღნიშნულს დასაქმებულთა რაოდენობის შემცირება მოჰყვა (სულაბერიძე, 2021).

პანდემიამ ადამიანის საქმიანობის ყველა სფერო მოიცვა. კოვიდ-19-მა და მისგან გამოწვეულმა საკარანტინო ზომებმა ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია, სოციალურ-ეკონომიკური სექტორის განვითარება შეაფერხა და საერთაშორისო მიგრაციული ნაკადები შეზღუდა.

კორონავირუსის პირველი შემთხვევა საქართველოში 2020 წლის 26 თებერვალს დაფიქსირდა (საქართველოს მთავრობა, 2020) და პანდემიის პირველ ტალღას (მარტი-აპრილი, 2020 წ.) ჩვენი ქვეყანა კოორდინირებული მოქმედებებით დახვდა: ჩაიკეტა საზღვარი ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქისათვის, შეჩერდა ყველა სავაჭრო ობიექტის (სასურსათო, სააფთიაქო, ბენზინგასამართი, საბანკო და საფოსტო გზავნილების ქსელის გარდა) მუშაობა (საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, 2020).

2020 წლის 21 მარტს საგანგებო მდგომარეობა (საქართველოს პრეზიდენტი, 2020), 30 მარტს კი „ფაქტობრივი საყოველთაო კარანტინი“ და „კომენდანტის საათი“ გამოცხადდა (საქართველოს მთავრობა, 2020).

კარანტინის პირობებში შეჩერდა როგორც მუნიციპალური, ასევე საქალაქთაშორისო საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილება. მიგრაციული პროცესების გამკაცრების პარალელურად, გაიზარდა ფასები, რამაც გამოიწვია ინფლაცია და მიგრანტთა მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა.

მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის გავრცელების პირველ ეტაპზე საქართველოში, სხვა სახელმწიფოებთან შედარებით, უკეთესი ეპიდსიტუაცია იყო, აქ მცხოვრებ და დასაქმებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს პანდემიის თანმდევი ეკონომიკური შედეგები ძალიან მძიმე ტვირთად დააწვა. ბევრმა მათგანმა სამსახური დაკარგა და საარსებო სახსრების გარეშე დარჩა. ნაწილმა ამ რთულ პერიოდში სამშობლოში დაბრუნება ვერ შეძლო, ან პირიქით, დროებით სამშობლოში წასულმა საქართველოში უკან შემოსვლა ვეღარ მოახერხა. ისინი, ვისაც მცირე ბიზნესი

ჰქონდა, იჯარის ხარჯებს ვერ ფარავდა და დაქირავებულ პერსონალს ჯამაგირს ვერ უხდიდა.

ერთი სიტყვით რომ ითქვას, კოვიდ-19-ით გამოწვეულმა კრიზისმა მიგრანტთა სხვადასხვა ჯგუფზე განსხვავებული გავლენა მოახდინა. მეტი რისკის ქვეშ უფრო მოწყვლადი, ნაკლები შემოსავლის, შეზღუდული რესურსებისა და განვითარებადი, მყიფე ეკონომიკის მქონე ქვეყნების მოქალაქეები აღმოჩნდნენ.

მსოფლიო პანდემიის პირობებში საქართველოს თანამშრომლობა ევროკავშირთან აქტიურად გრძელდებოდა. კოვიდ 19-ის ნეგატიური შედეგების დასაძლევად ევროკავშირმა და ევროპის გუნდმა (Team Europe) საქართველოს დასახმარებლად დაახლოებით 1,5 მილიარდი ლარის ოდენობის თანხა გამოყო, რომლის უდიდესი ნაწილი გრანტს, ხოლო მცირე ნაწილი კი, შეღავათიან სესხს წარმოადგენდა (European Union, 2020).

აღნიშნული დახმარება სამედიცინო, ეკონომიკური, სოციალური და სხვა სფეროების ხელშეწყობისთვის იყო განკუთვნილი. სოციალური სფეროს მხარდაჭერა, ძირითადად, საქართველოს მოქალაქეების, დაუცველი ჯგუფების, ფერმერების და ა.შ. დახმარებას ისახავდა მიზნად (European Union, 2020).

პანდემიამ უამრავი საზღვარგარეთ მყოფი ქართველი ემიგრანტი დატოვა დაუცველი და, შედეგად, მათ სამშობლოში მოუწიათ ჩამოსვლა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2020 წლის 21 მაისის მონაცემებით, ამ პერიოდში ორგანიზებულად, მთავრობის ხელშეწყობით, სამშობლოში – 12,409 მოქალაქე დაბრუნდა (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, 2020), ჯამში კი, 2020 წელს, 89 996 იმიგრანტიდან საქართველოს მოქალაქე 66 668 იყო (საქსტატი, 2021).

პანდემიის პირველი ტალღის პერიოდში საქართველოში დარჩენა საქართველოს მოქალაქეების გარდა გამოკითხულ მიგრანტთა უმრავლესობამაც არჩია. ისინი სამშობლოში არ დაბრუნდნენ, ვინაიდან საქართველო შედარებით უსაფრთხო ქვეყნად მიიჩნეოდა, რაც იმ დროს ქვეყნის მთავრობის მიერ განხორციელებული დროული და ეფექტიანი ღონისძიებებითა და კრიზისის ხარისხიანი მენეჯმენტით იყო განპირობებული, რომლებიც, ექსპერტთა მოსაზრებით, მეორე ტალღის დროს გაუარესდა.

კოვიდ-19-ის პერიოდში განსაკუთრებით გართულდა იმ უცხოელების მდგომარეობა, რომლებსაც ქვეყანაში დარჩენის სამართლებრივი უფლება არ



ჰქონდათ, ან ბინადრობის ნებართვების ვადა ეწურებოდათ. მათ ოფიციალური დოკუმენტების საქმეთწარმოებასთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნათ.

აღნიშნულ პერიოდში, ჯამში, არ დაკმაყოფილდა 2,018 განაცხადი, მათი უმრავლესობა (94%) სახელმწიფო უშიშროების პრინციპებს ემყარებოდა. ბინადრობის ნებართვის გაცემაზე დაუსაბუთებელი უარის შემთხვევები ძირითადად აზიისა და აფრიკის რეგიონის ქვეყნების მოქალაქეებს ეხებოდა. დაუსაბუთებელი უარი ძირითადად „არასასურველი, ღარიბი“ ქვეყნებიდან ჩამოსული მიგრანტების შემცირებას იწვევს (TDI, 2021). აღნიშნულზე მეტყველებს 2019 და 2021 წლებში საქართველოს კანონში „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა შესახებ“ შეტანილი ცვლილებები (საქართველოს პარლამენტი, 2019), კერძოდ, ბინადრობის ნებართვის მიღების გამკაცრება და დამატებითი მოთხოვნა შრომითი ბინადრობის ნებართვის მისაღებად: თითოეულ დასაქმებულ უცხოელზე საწარმოს წლიური ბრუნვა მინიმუმ 50 000 ლარი უნდა იყოს. აღსანიშნავია, რომ მსგავსი პრობლემები მიგრანტთა სხვა ჯგუფებში ნაკლებად ფიქსირდება (TDI, 2021).

სამართლებრივი სტატუსის შენარჩუნების გარდა, მიგრანტები აწყდებოდნენ ისეთ პრობლემას, როგორცაა სამსახურის დაკარგვა (აღნიშნული განსაკუთრებით შეეხო ადგილობრივ ბაზარზე მომსახურების სფეროში დასაქმებულებს). ისინი, ადგილობრივებთან შედარებით, ინფორმაციის ნაკლებობას განიცდიდნენ და, აქედან გამომდინარე, სახელმწიფო სერვისებზე წვდომა შეზღუდული ჰქონდათ, რაც მათი უფლებების დაცვას ართულებდა. დისტანციური მუშაობის პირობებში ადამიანური ურთიერთობებიც შეიცვალა და სპეციფიკური სახე მიიღო.

ინფორმაციისადმი წვდომის სერიოზული ბარიერი სერვისების, კერძოდ სახელმწიფო სერვისების ონლაინ სივრცეში გადასვლის შედეგად წარმოიშვა, რამაც იმიგრანტების ინფორმირებულობის დონე გააუარესა. შედეგად, ისინი ვერ ჩაერთნენ რიგ მათთვის განკუთვნილ პროგრამებში და ჯანდაცვისა თუ სოციალური სერვისებით ვერ ისარგებლეს (TDI, 2021).

ასევე, აღსანიშნავია ენობრივი ბარიერის პრობლემა. მიგრანტის გარემოსთან ადაპტაციისთვის მასპინძელი ქვეყნის ენის ცოდნა, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა. ენის ცოდნა იმიგრანტებს საშუალებას აძლევს, მიიღონ ინფორმაცია მიმღებ ქვეყანაში დასაქმების წესებისა და პროცედურების შესახებ. ენის ცოდნა ზრდის ლეგალური სამსახურის მიღების შანსებს, ამცირებს დასაქმებისა და განსახლების

საკითხებში თანამემამულეებზე დამოკიდებულებას, აფართოებს ადგილობრივ მოსახლეობასთან კონტაქტებს, უზრუნველყოფს მიგრანტის უფლებების დაცვას, პროფესიული მომზადების შესაძლებლობას, სამედიცინო დახმარებაზე წვდომას (Iontsev & Ivakhnyuk, 2013).

ენა ინფორმაციის გაცვლის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს. ვინაიდან გამოკითხული მიგრანტების უმრავლესობა ქართულ ენას არ ფლობდა, მათ პანდემიის პერიოდში შეექმნათ როგორც ადგილობრივებთან კომუნიკაციის, ისე ინფორმაციის მიღების პრობლემები (განსაკუთრებით პირველი ტალღის დროს, 2020 წლის გაზაფხული), რადგან სამთავრობო და ოფიციალური საიტების უმრავლესობა ქართულ, რუსულ ან ინგლისურ ენაზე ფუნქციონირებდა, ამ ენების არმცოდნე იმიგრანტებისთვის საჭირო ინფორმაციის/სერვისების მოძიება და მიღება გართულდა (TDI, 2021).

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის მთავრობამ შექმნა stop.cov.ge-ს საგანგებო პლატფორმა (რომელზეც არსებულ რეგულაციებთან დაკავშირებული ინფორმაცია 6 ენაზე ქვეყნდებოდა) (საქართველოს მთავრობა, 2020), ინფორმაცია ხშირად დაგვიანებით ახლდებოდა ან სულაც ფრაგმენტულ ხასიათს ატარებდა (TDI, 2021). შრომით მიგრანტთა და, ზოგადად, იმიგრანტთა სხვა ჯგუფებიც, ხშირ შემთხვევაში, აღნიშნული პლატფორმის შესახებ ინფორმირებული არ იყვნენ.

ბათუმი, დედაქალაქთან შედარებით, სამთავრობო შეზღუდვების ნაკლები სიმკაცრით გამოირჩეოდა. თბილისში მკაცრი კარანტინით განპირობებულმა შეზღუდვებმა, კერძოდ, რიგი დაწესებულებების დახურვამ (მაღაზიები, გასართობი, კულტურული ადგილები, სპორტულ-გამაჯანსაღებელი დაწესებულებები – ყველაფერი ის, რაც დედაქალაქში ცხოვრებას მიმზიდველს ხდის), მიგრანტთა ნაწილის ბათუმში გადინება განაპირობა. ამავდროულად, აქ იყო მიგრანტებისთვის უფრო კომფორტული, ნაკლებად დამაბული გარემო.

სწორედ ამიტომ, შრომით მიგრანტთა გარკვეულმა კატეგორიამ (მათ შორის, სამართლებრივი სტატუსის არმქონემ) პანდემიის პერიოდში საცხოვრებლად ბათუმში გადასვლა არჩია: *„გულწრფელად გეტყვით, ე. წ. პირბადის რეჟიმი საშინელებაა, სუნთქვა გაუსაძლისია, ბათუმში ამ მხრივ პრობლემას არ ქმნიან, შეგიძლია მის გარეშე იარო, თბილისში როცა ჩამოვედი, საზოგადოებრივ ტრანსპორტში მომიწია პირბადით მგზავრობა, ღია სივრცეში კი - დავჯარიმდი*

*პირბადის არტარების გამო, ამ მხრივ ბათუმი ბევრად კომფორტულია...“ - ტურიზმის სფეროში მომუშავე, 38 წლის რუსეთის მოქალაქე ბათუმიდან.*

კლიმატისა და ზღვის გარდა, იმიგრანტებისთვის ბათუმს, თბილისთან შედარებით, ცხოვრებისა და საყოფაცხოვრებო ხარჯების სიახვეც უფრო მიმზიდველს ხდიდა. ბათუმი საკურორტო ქალაქია და ფასები ზაფხულში იმატებს, დანარჩენ პერიოდში კი - სტაბილურია. აღნიშნულს ემატებოდა უცხოელთა მიმართ ადგილობრივი მოსახლეობის კეთილგანწყობა/ემპათია. ვინაიდან ბათუმი უფრო პატარა სოციალურია, ადგილობრივი მოსახლეობა იქ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს მეტად თანაუგრძნობდა და ეხმარებოდა.

ბათუმში ბევრმა ადგილობრივმა გამქირავებელმა იმიგრანტთა გართულებული მდგომარეობა გაითვალისწინა და, რესპონდენტთა თქმით, მათ ამ პერიოდში ქირას არ ახდევინებდნენ ან შეთანხმებულზე ბევრად დაბალ თანხას ართმევდნენ. *„ბინის ქირა პანდემიის პერიოდში მე თვითონაც შემიმცირდა და ამ დრომდე შემცირებული ტარიფით ვსარგებლობ...“ - 40 წლის დასუფთავების სამსახურის თანამშრომელი, ყაზახეთის მოქალაქე ბათუმიდან.*

შრომით მიგრანტთა ის კატეგორია, რომელიც იძულებული გახდა სამშობლოში დაბრუნებულიყო (სამუშაოს დაკარგვის, შემოსავლის წყაროს არქონის ან სხვა მიზეზებით), საერთაშორისო მიმოსვლაზე დაწესებული შეზღუდვებისა და საზღვრების ჩაკეტვის შემდეგ, მიმღებ ქვეყანაში ვეღარ დაბრუნდა. აღნიშნული 2020 წლის 14 მარტიდან (საქართველოს მთავრობა, 2020) ბინადრობის ნებართვის მქონე შრომით მიგრანტებსაც შეეხოთ, რაც შეიძლება მათი უფლებების დარღვევად მივიჩნიოთ.

ბინადრობის ნებართვა უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის საქართველოში შემოსვლისა და კანონიერად ყოფნის საფუძველს წარმოადგენს (იუსტიციის სახლი, 2022). იმის გათვალისწინებით, რომ იმავე პერიოდში ევროკავშირის ქვეყნებმა ევროკავშირის არამოქალაქე ბინადრობის ნებართვის მქონე პირებს საზღვრის კვეთის უფლება მისცეს (European Commission, 2020), საქართველოს მთავრობამ კი ეს უფლება მხოლოდ ქვეყნის მოქალაქეებს მიანიჭა, შეიძლება ითქვას, რომ იმ იმიგრანტთა მიმართ, რომლებსაც ბინადრობის ნებართვა ქონდათ და ქვეყნის საზღვრებს გარეთ აღმოჩნდნენ, ეს არასამართლიანი დამოკიდებულება იყო. აღნიშნულმა მიგრანტებს

უსამართლობის განცდა შეუქმნა (ბლაუველტი, 2020) და მათ აღქმაში ბინადრობის მოწმობის მიღების საჭიროება მინიმუმამდე შეამცირა.

მიგრანტებს, საქართველოში დასაბრუნებლად სხვადასხვა სამართლებრივი საშუალებების ძიება მოუწიათ. ერთ-ერთი ასეთი გზა საქართველოს მთავრობისა და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ ერთობლივად შემუშავებული პროექტი „იმუშავე საქართველოდან“ აღმოჩნდა, რომელიც საქართველოდან დისტანციურად მუშაობით დაინტერესებულ პირთათვის შეიქმნა.

2020 წლის აგვისტოში ცვლილება შევიდა მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილებაში – „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს მთავრობა, 2020), ამასთან, უცხოელებისთვის პროექტით „იმუშავე საქართველოდან“ სარგებლობის წესები განისაზღვრა (TDI, 2021). შეიძლება ითქვას, რომ პროექტმა განსხვავებული და ინოვაციური, პანდემიამდე არარსებული ტიპის შრომით მიგრაციას შეუწყო ხელი. კერძოდ, ვინაიდან პანდემიის პირობებში მსოფლიოში მრავალმა ეკონომიკურმა საქმიანობამ ონლაინსივრცეში გადაინაცვლა და, შესაბამისად, ონლაინმომუშავე უცხოელების რიცხვი გაიზარდა, მათ მიეცათ შესაძლებლობა, ისე ემოგზაურათ, რომ სამუშაოს შესრულებისას ხელი არ შეშლოდათ.

სწორედ დასაქმებულ უცხოელთა აღნიშნულ სეგმენტს მოერგო პროექტი „იმუშავე საქართველოდან“ („Remotely for Georgia“), რომელმაც, პანდემიის პირობებში ტურიზმის სექტორის მიყენებული ზარალი მნიშვნელოვნად შეამცირა (Georgian National Tourism Administration, 2020). ეს პროექტი უსაფრთხოების ნორმების მაქსიმალური დაცვით განხორციელდა და ქვეყნის ტურიზმის სტრატეგიის ნაწილი გახდა.

საქართველოში დისტანციურად მუშაობის მსურველები 95-ზე მეტი სახელმწიფოს (აშშ, ევროკავშირი, სპარსეთის ყურის რეგიონი) მოქალაქეები და რეზიდენტები იყვნენ (პროექტის მონაწილე სახელმწიფოების ჩამონათვალი განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის N255 დადგენილებით) (საქართველოს მთავრობა, 2015), რომლებსაც საქართველოში 1 წლის დადგენილი ვადით დარჩენის შესაძლებლობა მიეცათ (ქვრივიშვილი, 2020).

პროექტი „იმუშავე საქართველოდან“ გათვლილი იყო არა იმდენად ქვეყნაში უცხოელთა მასობრივ შემოდინებაზე, არამედ პანდემიის პერიოდში მეტი

მაღალმხარჯველუნარიანი უცხოელის შემოსვლაზე, კერძოდ ისეთების, როგორებიც არიან, მაგ., თვითდასაქმებულები, სრულ განაკვეთზე მომუშავე პირები და მეწარმეები.

დახურული საზღვრების პირობებში, საქართველოში ჩამოსვლის მსურველებს პროექტის ფარგლებში „Remotely for Georgia“, უნდა შეეცნოთ აპლიკაცია stop.cov.ge-ზე და წარმოედგინათ საჭირო დოკუმენტები, რომლებითაც დასაბუთდებოდა, რომ მათი ყოველთვიური შემოსავალი მინიმუმ 2000 აშშ დოლარია. პროექტში მონაწილეობისთვის სავალდებულო იყო 12-დღიანი კარანტინის გავლა, რომლის ხარჯებსაც უცხოელი თავად უზრუნველყოფდა (მათ შორის, თავად ირჩევდა სასტუმროს) და ჯანმრთელობის დაზღვევა. პროექტში 30-მდე ადგილობრივი სასტუმრო ჩაერთო (ქვრივიშვილი, 2020).

აღსანიშნავია, რომ პანდემიის საწყის ეტაპებზე, ჩაკეტილი საზღვრების პირობებში, სწორედ აღნიშნული პროექტი, „იმუშავე საქართველოდან“ იქცა ქვეყანაში მიგრანტთა შემოსვლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ. ვინაიდან, მან მიგრანტების გადაადგილების პროცესში საკვანძო როლი შეასრულა და, ამავდროულად, შრომითი მიგრაციის თანამედროვე და მანამდე უცნობ ფორმას მასობრივი ხასიათი მისცა, აღნიშნული მოვლენის უყურადღებოდ დატოვება გაუმართლებელი იქნებოდა.

2020 წლის აგვისტოდან ოქტომბრამდე პერიოდში 1100-მდე უცხო ქვეყნის მოქალაქემ ისარგებლა პროექტით „იმუშავე საქართველოდან“ (ქვრივიშვილი, 2020). სწორედ ამიტომ, აღნიშნული ფენომენის უკეთ გასაგებად, პროექტის - „იმუშავე საქართველოდან“ მონაწილე ფრილანსერი, სრულ განაკვეთზე დისტანციურად მომუშავე თანამშრომელი და ბიზნესის მფლობელი პირები გამოიკითხნენ.

„Remotely from Georgia“-ს მონაწილე 5 გამოკითხული პირიდან, ერთი დიდი ბრიტანეთის, ოთხი კი, რუსეთის მოქალაქეა. რესპონდენტთა სქესობრივი განაწილება თითქმის ჰომოგენურია. გამოკითხულთა საშუალო ასაკი 40 წელია. არც ერთი რესპონდენტი დაოჯახებული არ არის. ორ რესპონდენტს ზრდასრული შვილები ჰყავს. რესპონდენტთა უმრავლესობა ინდივიდუალურად ჩამოვიდა. გამოკითხულთა უმეტესობა ფრილანსერია. მათ შორის არიან ინდ. მეწარმე და დასაქმებული თანამშრომელი. გამოკითხულთა ნაწილი ბათუმში დასახლდა, ნაწილი კი - თბილისში. რესპონდენტთა უმრავლესობა საქართველოში პირველად იმყოფებოდა,

რაც იმ ფაქტით იყო განპირობებული, რომ ქვეყნებმა, რომლებშიც ისინი წასვლას გეგმავდნენ, საზღვრები ჩაკეტეს, შესაბამისად, საქართველო, საყოველთაო შეზღუდვების პერიოდში, ერთადერთ შესაძლო დესტინაციას წარმოადგენდა.

მონაწილეთა უმრავლესობამ პროექტის შესახებ სოციალური ქსელებიდან ან მეგობრებისგან შეიტყო. ისინი პროექტით კმაყოფილი არიან, საბუთების მოგროვება და განაცხადის წარდგენა, მათი თქმით, სირთულეს არ წარმოადგენდა და პასუხიც დროულად მოდიოდა, თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც განმცხადებლებს ლოდინი გაცილებით დიდხანს უწევდათ. მსგავსი ტექნიკური ხარვეზის გარდა, გამოკითხულებს პროექტთან დაკავშირებული რაიმე პრობლემური საკითხი, პრაქტიკულად არ დაუფიქსირებიათ. ერთადერთ სირთულეს მათთვის კარანტინის დაცვა წარმოადგენდა, იზოლაცია, როგორც ფსიქოლოგიურად, ისე ფინანსურად, დიდ ხარჯებს მოითხოვდა, თუმცა ისინი აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, წინასწარ იყვნენ ინფორმირებული, გაფრთხილებული და მომზადებული.

საბოლოო ჯამში, პროექტმა ყველა მონაწილის მოლოდინები, შეიძლება ითქვას, რომ გაამართლა და არც ერთი მათგანი საქართველოში ჩამოსვლასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას არ ნანობდა.

უნდა აღინიშნოს, რომ პროექტით მოსარგებლეთა შორის არიან ისეთებიც, ვინც საქართველოში არაერთხელ იყო ნამყოფი და მეტიც, უძრავ ქონებას ფლობს როგორც, თბილისში, ისე ბათუმში. ზოგიერთი მათგანი აქ ჩვეულებრივ ცხოვრობს, ჰყავს ნათესავები და კოვიდის პერიოდში ქვეყნის დატოვება დროებით მოუწია (იმ ქვეყნების მოქალაქეები, რომლებსაც ერთი წლის განმავლობაში აქვთ უვიზოდ დარჩენის უფლება და, შესაბამისად, წელიწადში ერთხელ ქვეყნის დატოვება უწევთ, რათა კანონიერად შემოვიდნენ და ბინადრობა განაგრძონ), მაგრამ უკან საზღვრების ჩაკეტვის გამო ვეღარ დაბრუნდა. აღნიშნული პროექტი საქართველოში დასაბრუნებლად კარგი გამოსავალი სწორედ მათთვის აღმოჩნდა.

საზღვრების გახსნასთან ერთად, პროექტმა დაკარგა აქტუალობა, ვინაიდან იმ ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებზეც ის არის მორგებული, გახსნილი საზღვრების პირობებში, განაცხადის შემოტანის გარეშეც, უვიზოდ ჩამოსვლა შეუძლიათ.

კოვიდ-19-ის პანდემიის პერიოდში იყო შემთხვევა, როდესაც გამოკითხულმა რესპონდენტმა ქვეყანა დისკრიმინაციის მიზეზით დატოვა, რომელიც

განსაკუთრებით პანდემიის პირველი ტალღის დროს გამძაფრდა, უმრავლეს შემთხვევაში იმ პირთა მიმართ, რომლებიც შორეული აზიიდან იყვნენ ჩამოსული.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო პრაქტიკაში ზოგადად ცნობილია შემთხვევები, როდესაც შრომითი მიგრანტები რასიზმის, დისკრიმინაციისა და ქსენოფობიური დამოკიდებულების სამიზნეები ხდებიან. აღნიშნული აფერხებს მათ ინტეგრაციას და საზოგადოებისგან მათ გარიყვას უწყობს ხელს, შედეგად, ზოგიერთ შემთხვევაში, ისინი საზოგადოებისთვის მიუღებელ, უცხო ჯგუფებად რჩებიან, ხშირად ეჭვის თვალით უყურებენ და მათ მიმართ მტრულადაც კი არიან განწყობილი. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი დამოკიდებულება გამოკითხულ რესპონდენტთაგან არავის უგრძნია, პანდემიის პერიოდში, შეიძლება ითქვას, რომ ნეგატიური დამოკიდებულება მიგრანტთა გარკვეული ჯგუფების მიმართ გამწვავდა (ეს, ძირითადად, ჩინეთის მოქალაქეებს შეეხო). აღსანიშნულს ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა, იგი პირველი ტალღის მომენტში გამწვავდა, თუმცა, შემდგომ ეტაპზე გაქრა.

*„განსაკუთრებით კორონა ვირუსის შემდეგ, ჩაგვრა გამძაფრდა. ხალხი სოციალურ ქსელში აქვეყნებდა დამცინავ, დისკრიმინაციულ მოსაზრებებს ჩემი ქვეყნის შესახებ, ისინი არ სცემდნენ პატივს ჩინელ ხალხს, წერდნენ, რომ ჩინელმა ხალხმა გაავრცელა კორონა მსოფლიოში, აღნიშნული მიზეზით ბევრმა ქართველმა მეგობარმა გაწყვიტა ჩემთან ურთიერთობა, სოციალური ქსელიდან წამშალა...“* - ვაჭრობის სფეროში დასაქმებული 25 წლის ჩინეთის მოქალაქე თბილისიდან. მიგრანტთა ზემოხსენებულ ჯგუფებს ვირუსის გავრცელებაში ადანაშაულებდნენ. ისინი სოციალური გარიყვისა და ძალადობის მსხვერპლი ხდებოდნენ.

შეიძლება ითქვას, რომ აზიიდან ჩამოსული შრომითი მიგრანტები, პანდემიის პერიოდში, სხვა მიგრანტებთან შედარებით, უფრო რთულ ვითარებაში აღმოჩნდნენ. ისინი ყველაზე მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენდნენ და გარიყულად გრძნობდნენ თავს, მათ მიმართ განსხვავებული მიდგომა გამოიყენებოდა.

აზიის რეგიონის ქვეყნებიდან ჩამოსული უცხოელების გამოწვევები განპირობებული იყო როგორც მშობლიურ ქვეყანაში სხვა ქვეყნებთან შედარებით გართულებული ეპიდსიტუაციით, რომლის შედეგად მათ ოჯახის წევრებისა და ახლობლებისადმი მეტი ყურადღების გამოჩენა და დახმარება უწევდათ (მათზე ფსიქოლოგიური ზეწოლა, ფინანსური ვალდებულებები გაიზარდა), ასევე მიმღებ ქვეყანაში კანონიერი ყოფნის სამართლებრივი სტატუსის არქონით.

როგორც აღინიშნა, პანდემიის დროს კიდევ უფრო გახშირდა მანამდე არსებული ბინადრობის ნებართვის მოპოვებაზე დაუსაბუთებელი უარის შემთხვევები, სახელმწიფო უსაფრთხოების მოტივით. აღნიშნულის შესახებ განაცხადა სილამაზის სალონში დასაქმებულმა 30 წლის ირანის მოქალაქემ თბილისიდან: „როდესაც ვეკითხები მიზეზს, რატომ მეუბნებიან უარს ბინადრობის ნებართვაზე, ისინი პასუხს არ მცემენ, მე ხომ არაფერს ვაშავებ და ყველა საბუთი წესრიგში მაქვს...“ მსგავს პრობლემას, უმეტეს შემთხვევაში, ირანის მოქალაქეები უჩიოდნენ.

პანდემიამ მათი მდგომარეობაც გაართულა, ვინც სპეციალური სავიზო რეჟიმის მქონე ქვეყნიდან იყო ჩამოსული (უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებსაც საქართველოს მთავრობის #255 დადგენილებაში მითითებული რომელიმე ქვეყნის მოქალაქეობა აქვთ). საზღვრების ჩაკეტვის გამო, მათმა დიდმა ნაწილმა ვერ შეძლო საზღვრის კვეთა, რის შედეგადაც ქვეყნის ტერიტორიაზე ყოფნის კანონიერი საფუძველი ამოეწურა.

ასეთი შემთხვევები განსაკუთრებით ხშირად გვხვდებოდა ბათუმში, რაც ძირითადად, დსთ-ს ქვეყნების მოქალაქეებს ეხებოდათ. საქართველოს მთავრობამ უცხოელებისთვის კანონიერად ყოფნის ვადა რამდენჯერმე გაახანგრძლივა. 2020 წლის 16 აპრილს, მთავრობის განკარგულებით, იგი 30 ივნისამდე განისაზღვრა (საქართველოს მთავრობა, 2020). შესაბამისად, მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე 2020 წლის 14 მარტს კანონიერად იმყოფებოდა და რომელმაც ლეგალურად ყოფნის ვადის გასვლამდე ქვეყნის დატოვება ვერ შეძლო, ნება დართეს საქართველოს ტერიტორიაზე 30 ივნისამდე დარჩენილიყო (TDI, 2021).

შემდგომში ვადა აგვისტოს ბოლომდე გადაწიეს, შემდეგ, 2020 წლის დეკემბრის ბოლომდე, საბოლოო თარიღად 2021 წლის 1 ივლისი შეირჩა (TDI, 2021). აღსანიშნავია, რომ გამოკითხულ შრომით მიგრანტებს აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდათ, ბევრ მათგანს ეგონა, რომ იმ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე უკვე არალეგალურად იმყოფებოდა.

*„ამჟამად ჩემი ბევრი ახლობელი, არალეგალურად იმყოფება საქართველოში, ყველას არ აქვს ქვეყნის დატოვების შესაძლებლობა, მე რომ შინ დავბრუნდე, დაახლოებით 1200 დოლარი მჭირდება, რაც ძალიან ძვირია, ადრე 200 დოლარად*



დავფრინავდი. ალბათ მოვასწრებ თურქეთში გადასვლას.“ - ბათუმში მცხოვრები 38 წლის თვითდასაქმებული ყაზახეთის მოქალაქე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობა ვადების გახანგრძლივების შესახებ ინფორმაციას დაგვიანებით ავრცელებდა, რაც უცხო ქვეყნის მოქალაქეებს გაურკვევლობისა და პანიკის განცდას უღვივებდა (TDI, 2021).

სხვა იმიგრანტებთან შედარებით, პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ დასავლეთ ევროპიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩამოსული მიგრანტები, განსაკუთრებით ისინი, რომელთა მშობლიური ენა ინგლისურია. აღსანიშნავია, რომ შრომით მიგრანტთა ამ კატეგორიას თავიდანვე უკეთესი სამსახურებრივი პოზიციები ეკავა, ვიდრე სხვა იმიგრანტებს. მათი საქმიანობა დაკავშირებული იყო ინტელექტუალურ შრომასთან: ნაწილი ინგლისურ ენას ისეთ დაწესებულებებში ასწავლიდა, როგორებიცაა კერძო, ელიტარული სკოლები, ენის შემსწავლელი ცენტრები, ინსტიტუტები და უნივერსიტეტები, ან, ზოგიერთ შემთხვევაში, სამუშაო მშობლიური ქვეყნის ბაზარზე ონლაინმუშაობას გულისხმობდა. შესაბამისად, მათი შემოსავლები სხვა ქვეყნების მოქალაქე მიგრანტთა შემოსავლებისგან განსხვავდებოდა.

მათ სამსახური პანდემიის პერიოდში არ დაუკარგავთ, ზოგ შემთხვევაში, სამუშაოს რაოდენობა და, შესაბამისად, შემოსავალიც, საგრძნობლად გაეზარდათ. ამავდროულად, ვინაიდან მათ მშობლიურ ქვეყნებში, პანდემიის გავრცელების პირველ ეტაპზე, რთული ეპიდსიტუაცია არ იყო, იქიდან უფრო ძლიერი მორალური და მატერიალური მხარდაჭერა ჰქონდათ.

მიგრანტთა აღნიშნული ჯგუფი, აზიელ მიგრანტებთან შედარებით, სამართლებრივი კუთხითაც უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. გამოკითხულთაგან არც ერთს არ ჰქონდა საქართველოში საბუთების პრობლემა. „*სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს შორის, პრივილეგიების თვალსაზრისით, მართლაც რომ ძალიან დიდი განსხვავებაა. თუნდაც, ავიღოთ ის ფაქტი, რომ საზღვრის გადაკვეთისას ყოველთვის მაჩერებენ და დიდხანს მამოწმებენ, როდესაც იგებენ, რომ ირანის მოქალაქე ვარ, მაგრამ თუკი საქართველოში ამერიკელ საქმროსთან ერთად ჩამოვდივარ, პრობლემები სასაზღვრო პუნქტში ნაკლებად მექმნება...*“ - უძრავი ქონების სფეროში დასაქმებული 36 წლის ირანის მოქალაქე თბილისიდან.

საქართველოს მთავრობამ 286-ე დადგენილებით, პანდემიის შედეგად მიყენებული მატერიალური ზარალის შემსუბუქების მიზნით, 2020 წლის მაისში სახელმწიფო დახმარების პროგრამა შეიმუშავა (საქართველოს მთავრობა, 2020), რომელიც შემდეგ ჯგუფებზე ვრცელდებოდა:

- საქართველოს მოქალაქეებზე;
- მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე;
- მოქალაქეობის არმქონე ფიზიკურ პირებზე;
- ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსით მყოფი დროებითი ბინადრობის მოწმობის მქონე ფიზიკურ პირებზე (საქართველოს მთავრობა, 2020).

პროგრამის ფარგლებში, კოვიდით მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნით, ფულადი დახმარებები გაიცემოდა. აღნიშნული პროგრამის შესახებ, გამოკითხულთა უმრავლესობას, ინფორმაცია არ ჰქონდა. ამასთანავე, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ის იმიგრანტები, რომლებსაც მუდმივი ბინადრობის მოწმობა არ გააჩნდათ, ან სპეციალური სავიზო რეჟიმის მქონე ქვეყნიდან იყვნენ, სამსახურებიდან დათხოვნის, ან სამუშაოს დაკარგვის შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქეებისგან და სხვა სამართლებრივი სტატუსის მქონე უცხოელებისგან განსხვავებით, სახელმწიფოსგან ფულად დახმარებას არ იღებდნენ.

ამან, გარკვეულწილად, დისკრიმინაციული მდგომარეობა განაპირობა, ვინაიდან, როგორც აღინიშნა, სახელმწიფო დახმარების პროგრამა მხოლოდ უცხოელთა გარკვეულ კატეგორიას ითვალისწინებდა. 286-ე დადგენილება ძალაში პანდემიის ე.წ. მეორე ტალღის რეგულაციების დროსაც მოქმედებდა, ხოლო მისი ბენეფიციარების კატეგორია უცვლელი დარჩა (TDI, 2021).

საქართველოში დასაქმებული შრომითი მიგრანტებისთვის შედარებით პრობლემური საკითხი იყო ჯანდაცვა, რომელიც მათთვის ფასიანია, ვინაიდან ისინი საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარები არ არიან (საქართველოს მთავრობა, 2013). საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მოსარგებლეები არიან:

- საქართველოს მოქალაქეები;
- ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირები;
- პირადობის ნეიტრალური მოწმობის მქონე პირები;

- საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები;
- ჰუმანიტარული ან ლტოლვილის სტატუსის მქონე პირები;
- თავშესაფრის მაძიებელი პირები (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, 2020).

გამოკითხული შრომითი მიგრანტების უმრავლესობას არ ჰქონდა ჯანმრთელობის დაზღვევა, დიდ კომპანიებში დასაქმებული შტატიანი თანამშრომლებისა და შრომითი ვიზის მქონე პირთა გარდა (მათ კორპორატიულ დაზღვევას თავად კომპანია უზრუნველყოფდა). შესაბამისად, მათთვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მიღებაც (სასწრაფოს გამოძახება), ფასიანი იყო, ისევე, როგორც ნებისმიერი ტიპის დახმარების აღმოჩენა უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის, რომელიც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ბენეფიციარი არ გახლდათ, რასაც ზოგიერთი გამოკითხული რესპონდენტი დისკრიმინაციად მიიჩნევდა.

პანდემიის პერიოდში უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ვაქცინაცია, ისევე, როგორც კოვიდის შემთხვევაში გადაუდებელი სასწრაფო დახმარებით ჰოსპიტალიზაცია და კლინიკური მკურნალობა, უცხოელთა ყველა ჯგუფისთვის უფასო იყო, თუმცა მიგრანტებისთვის სერვისებზე წვდომის შეფერხებას ჰქონდა ადგილი, რაც, როგორც ენობრივი, ისე სამართლებრივი თუ ეკონომიკური ფაქტორებით იყო განპირობებული.

ხშირ შემთხვევაში, ისინი, ვისაც კოვიდი ან დაავადების რაიმე სიმპტომი ჰქონდათ, არც პოლიკლინიკებს მიმართავდნენ და არც საავადმყოფოებს. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, 2020 წლის გაზაფხულზე, პანდემიის დროს, საქართველოში ჩატარებული კვლევის მიხედვით (IOM, 2020), ჯანდაცვის სერვისებზე წვდომის თვალსაზრისით, მიზნობრივ ჯგუფებში შეზღუდვები იკვეთებოდა. ასევე, მიგრანტები ზოგადად თავს იკავებდნენ საქართველოში სამედიცინო მომსახურებით სარგებლობისგან. აღნიშნულის მიზეზად ძირითადად ეკონომიკური ხელმისაწვდომობა, იურიდიულ სტატუსთან და კორუფციასთან დაკავშირებული შიშები და უნდობლობა სახელდებოდა (TDI, 2021).

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით (IOM, 2020), გამოკითხულთა 60% არ ფლობდა ინფორმაციას იმის შესახებ,

რომ საქართველოში კოვიდ 19-ზე ტესტის ჩატარებას და ვირუსის მკურნალობას, სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში, ისინი უფასოდ შეძლებდნენ (TDI, 2021).

უცხოელები აწყდებოდნენ ისეთ პროცედურულ სირთულეებს, როგორცაა, მაგალითად, კოვიდშეზღუდვების დარღვევის შედეგად ჯარიმის გადახდის წესი, რისთვისაც საჭიროა გადასახად აპარატთან მუდმივი ან დროებითი ბინადრობის მოწმობის ინდივიდუალური ნომრის მითითება, რომელიც ბევრ იმიგრანტს არ აქვს. შედეგად, აღნიშნული პროცესი დროში იწელებოდა, რთულდებოდა და საქართველოში მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს დამატებით საზრუნავს უქმნიდა.

ამრიგად, პანდემიამ არაერთი სისტემური ხასიათის პრობლემა გამოკვეთა. მისგან გამოწვეულმა მკვეთრმა გარდატეხამ, მიგრაციული პროცესები შეაფერხა და მათ მძიმე კვალი დაამჩნია. კოვიდმა და მასთან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა იმიგრაციის დინამიკა საგრძნობლად შეცვალა.

პანდემიამ გამოკვეთა ის უფლებრივი სხვაობა, რომელიც იმიგრანტთა განსხვავებულ ჯგუფებს შორის არსებობს და კიდევ უფრო გაამძაფრა იგი. ამავდროულად, მან სხვა მნიშვნელოვანი ხარვეზები წარმოაჩინა საქართველოს მიგრაციულ, კერძოდ, ვიზების გაცემის პოლიტიკაში.

პანდემიის მეორე ტალღის პერიოდში გატარებულმა სამთავრობო ღონისძიებებმა კი, შრომითი მიგრანტების მდგომარეობა არათუ შეამსუბუქა, არამედ ისინი დამატებითი გამოწვევების წინაშე დააყენა. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება უმუშევრობის ზრდას, განსაკუთრებით, ტურიზმისა და მომსახურების სფეროში დასაქმებულ იმიგრანტებს შორის.

პანდემიის პერიოდში წარმოებულმა სამთავრობო პოლიტიკამ, იმიგრანტთა ინტეგრაციის მხრივ, არასასურველი შედეგები მოიტანა. ამის მთავარ მიზეზად კი, გამკაცრებული საიმიგრაციო პოლიტიკა, ხანგრძლივი შეზღუდვები და მიგრანტთა პრობლემების მიმართ არასათანადო ყურადღება იქცა. საქართველოს სამთავრობო პოლიტიკა, კოვიდ-19-ის დროს, მიგრანტთა სპეციფიკურ საჭიროებებს ნაკლებად ითვალისწინებდა.

## თავი 6. შრომით მიგრანტთა ინტეგრაციის ძირითადი გამოწვევები და შესაძლებლობები: სოციოლოგიური კვლევის შედეგები

დამოუკიდებლობის პირველი 15 წლის განმავლობაში, საქართველო მასობრივი ემიგრაციის კერას წარმოადგენდა. ემიგრაცია გრძელდება დღემდე, მაგრამ ამ საუკუნის მეორე ათწლეულში, იმიგრანტთა რაოდენობა მუდმივად იზრდება. შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანა ნელ-ნელა იცვლის მიგრაციულ პროფილს და, ემიგრაციის ქვეყანასთან ერთად, რეგიონში იმიგრაციის ქვეყნად ყალიბდება. საქართველოში იმიგრანტების რაოდენობის ზრდამ ქვეყნისთვის ახალი გამოწვევები წარმოშვა.

აღსანიშნავია, რომ სამთავრობო დონეზე საქართველო, უპირველესად ემიგრაციულ ქვეყნად განიხილება, ხოლო იმიგრანტების ინტეგრაციის საკითხი პრაქტიკაში აქტუალურად ჯერ არ მიიჩნევა. აღნიშნულზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ საქართველოს კანონში იმიგრაციის შესახებ, ტერმინ „ინტეგრაციის“ ნაცვლად გამოყენებული იყო „იმიგრანტთა ადაპტაცია“, ინტეგრაციის ცნება არც შრომითი მიგრაციის შესახებ კანონში და არც უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ კანონში გვხვდება (საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი, 1993; საქართველოს პარლამენტი, 2014; საქართველოს პარლამენტი, 2015).

საქართველო იმიგრანტებისთვის საინტერესო და მარტივად მისაღწევ დესტინაციას წარმოადგენს, პირველ რიგში იმიტომ, რომ შედარებით ადვილია ქვეყანაში შემოსვლა და გარკვეული პერიოდით კანონიერად დარჩენა, ცხოვრება. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კანონმდებლობა ყველაზე ლიბერალურია რეგიონში როგორც სავიზო, ისე ქვეყანაში შემოსვლის - საზღვრის კვეთის თვალსაზრისით. ეს შესაძლოა იმის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყოს, რატომაც ჩამოდიან მიგრანტები საქართველოში მაშინაც კი, როცა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის, სამეურნეო პოტენციალისა და მისი მყიფე ეკონომიკის შესახებ ინფორმირებული არიან.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა დასაქმების მაძიებლებისთვის არის ის, რომ დღეს საქართველოში მოქმედი შრომითი მიგრაციის მარეგულირებელი

კანონმდებლობაც ლიბერალური და მსოფლიოში დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებზე ბევრად უფრო ღმობიერია.

ჯანდაცვის სამინისტროს შრომითი მიგრაციის საკითხთა სამმართველოს ხელმძღვანელის თქმით: *„უცხოელისთვის საქართველოში რეალურად შეზღუდვები არანაირ საქმიანობასთან დაკავშირებით არ არსებობს, არ მოქმედებს შესაბამისი ნებართვების სისტემა უცხოელების დასაქმების შემთხვევაშიც.“* - ექსპერტთან ინტერვიუ, 2021.

საქართველოს შრომის კოდექსი (საქართველოს პარლამენტი, 2010) და კანონი „მეწარმეთა შესახებ“ (საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი, 1994) არ ითვალისწინებს სანებართვო ხასიათის შეზღუდვას იმიგრანტების დასაქმებასთან ან მათ მიერ სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტების დაფუძნებასთან დაკავშირებით (IOM, 2021). შესაბამისად, უცხო ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს, მათ შორის, ტურისტსაც კი, ადგილზევე შეუძლია სამსახურის პოვნა და საქართველოში მუშაობის დაწყება.

ასეთი ლიბერალური დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, შრომითი მიგრანტების აღრიცხვის შესაძლებლობას ართულებს, რაც, საბოლოო ჯამში, შრომის ბაზარზე ნეგატიურად აისახება და გამართული პროგრამების დანერგვის საშუალებას არ იძლევა.

საქართველოში შრომის ბაზრის რეგულირების ინსტრუმენტები სახელმწიფოს არ აქვს, რაც მის დაცვასა და საკუთარი სამუშაო ძალის ხელშეწყობას შეუძლებელს ხდის. ეს, დღესდღეობით, ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევაა.

იმიგრანტთა ნაწილი (ძირითადად უფრო დაბალი კვალიფიკაციის მქონე) საქართველოს ეკონომიკური შესაძლებლობების შესახებ ნაკლებად არის ინფორმირებული და მიიჩნევს, რომ ევროპის ქვეყანაში ჩამოდის სამუშაოდ, ამ დროს კი, რეალურად, ნაკლებადგანვითარებულ სახელმწიფოს ირჩევს, რომელსაც ადგილობრივ შრომის ბაზარზე მოსახლეობის დასაქმებასთან დაკავშირებით თავისი კონკრეტული ეკონომიკური პრობლემები აქვს.

არსებობს მიგრანტთა ისეთი კატეგორიაც, რომლებსაც ჰგონიათ, რომ საქართველოს, ევროპისკენ მიმავალ გზაზე, ტრანზიტულ პუნქტად გამოიყენებენ. თუმცა ეს პროცესი სახელმწიფოს მიერ კონტროლდება. ევროკავშირი და

საქართველო, მათ შორის პარტნიორობის ფარგლებში, საზღვრის ინტეგრირებული მართვის საკითხებს ძალზე მკაცრად იცავენ.

საქართველო, როგორც დანიშნულების ადგილი, ძირითადად სამეზობლოს ქვეყნების მოქალაქეებისთვისაა მიმზიდველი, იმიგრანტთა ძირითადი ნაწილი სწორედ რუსეთის, თურქეთის, აზერბაიჯანის, ირანის, უკრაინის მოქალაქეა.

კვლევის შედეგების მიხედვით, შრომათმოწყობის მსურველთა უმრავლესობამ ინფორმაცია საქართველოს შესახებ სოციალური კავშირების მეშვეობით მიიღო - ძირითადად იმ მეგობრის ან ოჯახის წევრისგან, რომელიც უკვე ცხოვრობდა ან იმყოფებოდა საქართველოში.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მიგრანტთა ქსელის თეორია საქართველოში იმიგრაციის შემთხვევაში გამოყენებადია. აღნიშნული თეორიის დებულებები არამხოლოდ მიგრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების, არამედ სამუშაოს პოვნის მიმართულებითაც მუშაობს. გამოკითხულ რესპონდენტთა უმეტესობამ სამუშაო ადგილი წინასწარ, ჩამოსვლამდე იპოვა და ეს სწორედ სოციალური კავშირების, ქსელების მეშვეობით მოხდა.

აღსანიშნავია, რომ განვითარებული ქვეყნებიდან ჩამოსული იმიგრანტების შემთხვევაში, მიგრანტთა ქსელის თეორია სულ უფრო ნაკლებად გამოიყენება, ვინაიდან იმიგრანტთა აღნიშნულ ჯგუფში ინტერნეტი და ის ინფორმაცია, რომელსაც იმიგრანტები დამოუკიდებლად იძიებენ, სოციალური ქსელების გამოყენების საჭიროებას ანაცვლებს.

ვინაიდან მიგრაცია კომპლექსურ პროცესს წარმოადგენს და, ხშირ შემთხვევაში, ადამიანები, მიგრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, არა ერთი გარკვეული მიზეზით, არამედ მიზეზების კომბინაციით ხელმძღვანელობენ, მიზანშეწონილია კომპლექსური მიდგომის გამოყენება და საკითხის სხვა თეორიული მოდელების ჭრილში განხილვა, რომლებსაც აღნიშნული კვლევა ეყრდნობოდა.

ერთ-ერთ ასეთს, ნეოკლასიკური თეორია წარმოადგენს, რომელიც გვეხმარება ავხსნათ მიგრანტთა გადაწყვეტილება მობილობის შესახებ. პოტენციური მიგრანტი გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს როგორც დანახარჯებს, ისე მიგრაციიდან მიღებულ სარგებელს და მხოლოდ ამის შემდეგ იღებს სამშობლოს დატოვების გადაწყვეტილებას. აღნიშნული თეორია განსაკუთრებით კარგად შრომით მიგრანტებს ესადაგება.

მიგრანტები მიდიან იქ, სადაც მეტ შემოსავალს მოელოან. მოკლედ, რომ შევაჯამოთ, აღნიშნული თეორიის მიხედვით, მიგრაციის შესახებ გადაწყვეტილება ინდივიდუალურად მიიღება და ამ დებულებას ადამიანური კაპიტალის თეორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია (Todaro, 1969).

კვლევამ აჩვენა, რომ იმ იმიგრანტების უმრავლესობამ, რომლებიც მაღალგანვითარებული საზოგადოებებიდან (განვითარებული ქვეყნები) იყვნენ ჩამოსული, მიგრაციის შესახებ გადაწყვეტილება ინდივიდუალურად მიიღეს. ეს შეიძლება განვითარებული საზოგადოების ცხოვრების წესით აიხსნას, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნუკლეარული ოჯახები, გვიანი ქორწინებები, ინდივიდუალიზმისკენ სწრაფვა და ა.შ. ამავდროულად, მათ საქართველოში, თავიანთ სამშობლოსთან შედარებით, უკეთეს პოზიციაზე დასაქმების პერსპექტივა ჰქონდათ.

იმიგრანტები, განვითარებადი საზოგადოებებიდან მიგრაციის შესახებ გადაწყვეტილებას, უმეტესად, კოლექტიურად იღებდნენ (გადაწყვეტილების მიღება ხდებოდა ოჯახში), რაც მოსალოდნელი იყო, ვინაიდან განვითარებადი ქვეყნები ძირითადად აზიურ სახელმწიფოებს მოიცავდა, რომლებიც კოლექტივისტური კულტურით, კოლექტივისტური ფასეულობებითა და ერთობლივი გადაწყვეტილებებით ხასიათდება.

აღსანიშნავია, რომ ნეოკლასიკური თეორია მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებს ესადაგება და იმიგრანტთა მასაზე მისი განზოგადება გაუმართლებელია. საქართველოს შემთხვევაში, ხელფასებს შორის სხვაობა, ან უფრო მაღალი ხელფასი, შეიძლება სულაც არ იყოს მიგრაციის მთავარი მოტივატორი, ვინაიდან არსებობს ზოგიერთი ბევრად უფრო ღრმა და რთული მიზეზი, ვიდრე ნეოკლასიკური თეორია ვარაუდობს - მათ შორის უფრო ფართო, ისტორიულად განვითარებული სტრუქტურული მიზეზები და სოციალური ფაქტორები. მაგალითისთვის, ბათუმის, როგორც სასურველი დესტინაციის არჩევა, უმეტეს შემთხვევაში, ემოციური და არა ეკონომიკური გადაწყვეტილებაა, ვინაიდან ქალაქს, თბილისთან შედარებით, ნაკლები ეკონომიკური შესაძლებლობები აქვს.

მიგრაციის შესახებ გადაწყვეტილების ახსნაში, შესაძლოა, რაციონალური არჩევანის თეორიაც დაგვეხმაროს, რომლის მიხედვით, ცენტრალური მნიშვნელობა ინდივიდის პირად ინტერესებს ენიჭება. ნებისმიერ სიტუაციაში, ადამიანები პირადი



მოგების, სარგებლის გაზრდისთვის მოქმედებენ. მათ აქვთ პრიორიტეტები, საკუთარი „უპირატესობების სკალა“, რომელთა გათვალისწინებითაც გარკვეულ სიტუაციაში აკეთებენ არჩევანს (კაჭკაჭიშვილი, 2016).

ბათუმს, თბილისთან შედარებით, უფრო მაღალი ინტეგრაციის დონე ახასიათებს. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული, პირველ რიგში, განპირობებულია ქალაქის სიდიდით. ბათუმი უფრო მცირე, შესაბამისად, კომპაქტური ქალაქია და მოსახლეობაც ნაკლებია, ვიდრე თბილისში.

ზოგადად, დიდ ქალაქებთან შედარებით, მცირე ქალაქები, უფრო მჭიდრო სოციალური კავშირებით ხასიათდება (European Committee of the Regions, 2020), შედეგად, იმიგრანტები მეტად ურთიერთქმედებენ ადგილობრივებთან. მცირე საზოგადოებებში ცხოვრება უფრო ადვილი და კომფორტულია, ვინაიდან ისინი სიმშვიდითა და უსაფრთხოებით გამოირჩევიან, შესაბამისად, ინტეგრაცია და საზოგადოებრივ აქტივობებში ჩართვა უფრო ადვილია:

*„- იცით, მიუხედავად იმისა, რომ ბათუმის მოსახლეობა 100 000 კაცზე მეტია, ყველა ერთმანეთს იცნობს და დანაშაული იშვიათია. თუ რამე ცუდს გააკეთებთ, ამის შესახებ ყველა გაიგებს და იძულებული გახდებით ქალაქი დატოვოთ. ამიტომ, აქ ყველა ერთმანეთს ეხმარება და თუ ვინმე ტელეფონს ან სხვა რაიმე ნივთს იპოვის, მაშინვე მფლობელს უბრუნებს.“* - 33 წლის ფრილანსერი, რუსეთის მოქალაქე ბათუმიდან.

ბათუმში იმიგრანტების უმრავლესობა თურქეთისა და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მოქალაქეები არიან. თურქეთის მოქალაქეების სიმრავლე გეოგრაფიული სიახლოვით არის განპირობებული. ამავდროულად, არსებობს გარკვეული ისტორიული კავშირი, რაც თურქეთის მოქალაქეებისთვის ამ ადგილს კიდევ უფრო მიმზიდველს და საინტერესოს ხდის.

თურქეთის საზღვარს, რომელიც საბჭოთა პერიოდში ჩაკეტილი იყო, დღეს თავისუფალი სავიზო რეჟიმი აქვს, რაც, როგორც თურქეთის, ისე საქართველოს მოქალაქეებისთვის, წამახალისებელი ფაქტორია. შრომითი კავშირების ინტენსიური ზრდა, საქართველოსა და თურქეთს შორის, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ურთიერთობების განმტკიცებას უწყობს ხელს. თურქეთიდან ინტენსიურად, ძირითადად, მამაკაცი მიგრანტები ჩამოდიან. ისინი აქ სამეწარმეო სფეროში საქმდებიან. ბათუმის მეურნეობაში აღსანიშნავია თურქული

ინვესტიციების როლიც. თურქეთის მოქალაქეები კომპაქტურად სახლდებიან, თავიანთ დასახლებებს ქმნიან, წარმოშობის ქვეყანასთან ინტენსიურ კავშირს ინარჩუნებენ (ნებისმიერი საჭიროების შემთხვევაში, მათ შორის, სამედიცინო საჭიროების დროს, სამშობლოში მიდიან) და მასპინძელ საზოგადოებაში, პრაქტიკულად, არ ინტეგრირდებიან. ბოლო პერიოდში, პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან იმიგრაციამაც იმატა. როგორც თურქეთის, ისე პოსტსაბჭოთა ქვეყნების მოქალაქეთა დიდი ნაწილი, ბათუმში უძრავი ქონების მფლობელია.

ზოგადად, უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ უძრავი ქონების ფლობის სტატისტიკა, საქართველოში მზარდია (ამ მხრივ, განსაკუთრებით, თბილისი და ბათუმი გამოირჩევა). აღსანიშნავია, რომ ეს ფაქტორი (უძრავი ქონების ფლობა) მასპინძელ საზოგადოებაში ინტეგრაციის პოზიტიური სტიმულია, ვინაიდან, როდესაც ადამიანს საკუთრება აქვს, ის თავს აღნიშნული საკუთრების, ბინის, სახლის ნაწილად მიიჩნევს და, შესაბამისად, ადგილთან მიკუთვნებულობის შეგრძნება უმძაფრდება.

განსაკუთრებით კომფორტულია ბათუმში ცხოვრება პოსტსაბჭოთა სივრციდან ჩამოსული შრომითი მიგრანტებისთვის, ვინაიდან ამ ქალაქში ისინი ენობრივი ბარიერის პრობლემას არ აწყდებიან და ადგილობრივი მოსახლეობაც ჰეტეროგენულია (არაერთგვაროვანი), შესაბამისად, პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ჩამოსული მიგრანტებისთვის ბათუმში ადგილობრივებთან ინტეგრაცია, იმიგრანტთა სხვა ჯგუფებთან შედარებით, უფრო ადვილია.

ენობრივი და კულტურული დაბრკოლებების არარსებობის გარდა, აღსანიშნავია ის ფაქტორიც, რომ საზოგადოების მიმღებლობა და ინტეგრაციის მზაობა, ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან, აქ უფრო მაღალია, ვიდრე თბილისში.

საზოგადოების მზაობა და სურვილი, ინტეგრაციისთვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, ვინაიდან ინტეგრაცია ორმხრივი პროცესი, „ორმხრივი ქუჩაა“ და მხოლოდ მიგრანტის სურვილზე არ არის დამოკიდებული (თუმცა აღნიშნული საკვანძო როლს თამაშობს). ადგილობრივების მიმღებლობას წარმატებული ინტეგრაციისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ მასპინძელი საზოგადოება დაბრკოლებებს ქმნის (დისკრიმინაციული პრაქტიკის ან

სტერეოტიპული გზებით) და ინტეგრაციის ნებისმიერ მცდელობას უშლის ხელს, პროცესი წარუმატებელი იქნება (Sardinha, 2018).

მიუხედავად იმისა, რომ ორივე ქალაქი, თბილისიც და ბათუმიც, მულტიკულტურულია და, ამავდროულად, ტოლერანტობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა, ბათუმში, ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან, ინტეგრაციის სურვილი მეტად იკვეთება.

აღნიშნული შეიძლება ავხსნათ, ისეთი გეოგრაფიული ფაქტორებით, როგორებიცაა ის, რომ ბათუმი თურქეთის საზღვართან მდებარეობს და ზღვაზე გასასვლელი აქვს, არის საპორტო, ტურისტული ქალაქი და თბილისზე ბევრად მცირე სოციალური გამოირჩევა.

უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან საქართველოში ბიზნესის წამოწყებისთვის და საკუთარი საქმიანობის განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობებია, ბევრი მიგრანტი სწორედ სამეწარმეო მიზნით ჩამოდის. კანონი „მეწარმეთა შესახებ“ (საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი, 1994), უფლებრივი მდგომარეობით უცხოელებს საქართველოს მოქალაქეებისგან არ განასხვავებს, რითიც, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მხრიდან, სამეწარმეო საქმიანობის გაძლიერებას ასტიმულირებს: 2014-2020 წლებში საქართველოში უცხოელების მიერ რეგისტრირებული საწარმოები 46 ათასს აჭარბებდა. მათი უმრავლესობა ირანის, თურქეთისა და რუსეთის მოქალაქეების დაარსებული იყო (IOM, 2021).

არსებული ლიბერალური პოლიტიკის, ბიზნესის მარტივად დაწყების შესაძლებლობისა და სიახვის გამო, გამოკითხულთა გარკვეულ კატეგორიას საქართველოში საკუთარი ბიზნესი და კომპანიები გადმოჰქონდა. აღნიშნული განსაკუთრებით ეხება მათ, ვისაც სამშობლოში არსებული გარკვეული ეკონომიკური შეზღუდვებისა და ბიუროკრატიული სირთულეების გამო, ბიზნესის დასაფუძნებლად არახელსაყრელი პირობები ჰქონდა.

როგორც წესი, შრომითი მიგრანტები ადგილობრივ მოსახლეობაზე უფრო ნაკლებად შეძლებულნი არიან და სხვა ქვეყანაში დაბალკვალიფიციური სამუშაოს შესასრულებლად ჩადიან. საინტერესოა, რომ საქართველოში ჩამოსული იმიგრანტები, ხშირ შემთხვევაში, მკვიდრ მოსახლეობასთან შედარებით, ეკონომიკურად გაცილებით უზრუნველყოფილები არიან. აქ ისინი დანაზოგის ინვესტირების, ბიზნესის დაწყების ან საკუთრების შეძენის მიზნით ჩამოდიან.

კეთილდღეობა და ეკონომიკური წარმატება, ახალი იდენტობის ჩამოყალიბებასა და ინტეგრაციის პროცესში, მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

მაღალი კვალიფიკაციის მქონე იმიგრანტები კმაყოფილი არიან საქართველოში არსებული ეკონომიკური გარემოთი, რომელიც, ბიზნესის კეთების სიმარტივით, მსოფლიოში მეშვიდე ადგილზეა, ბიზნესის დაწყების სიმარტივით კი - მეორე ადგილზე (World Bank, 2021).

ამავდროულად, ახალბედა მეწარმეებს საქართველო კარგ შესაძლებლობას სთავაზობს. ის პირები, რომლებიც თავიანთ სამშობლოში წლების განმავლობაში დასაქმებული იყვნენ ოფისებსა თუ სხვადასხვა დაწესებულებაში, დაქირავებულ პერსონალს წარმოადგენდნენ და მარცხის შიშით (მაღალი გადასახადები, ბიზნესის კეთების გამოცდილების არქონა, ბიზნესის მართვის არახელსაყრელი პირობების არსებობა და ა.შ.) თავიანთ ქვეყანაში ბიზნესის დაწყებას ვერ ბედავდნენ, საქართველოში ჩამოდიან და სხვადასხვა სახის მცირე და საშუალო ბიზნესსაქმიანობას თავიანთი დანაზოგით იწყებენ.

კითხვას, რატომ გადაწყვიტა საქართველოში ჩამოსვლა, 33 წლის რუსეთის მოქალაქემ ბათუმიდან უპასუხა: *„თავიდან ჩამოსვლას ტურისტად ვგეგმავდი, მაგრამ მერე უბრალოდ შემთხვარადა ქვეყანა და დავრჩი. მე გადავწყვიტე ბიზნესის დაწყება... რუსეთში, რისკების გამო, ალბათ, ვერასოდეს გადავწყვეტდი ჩემი საკუთარი საქმიანობის წამოწყებას. საქართველოში ბიზნესის მართვა ადვილია; აქ ბიზნესის მარტივი ხდება აქვთ.“*

იმიგრანტთა ასეთი ჯგუფისთვის (ახალბედა მეწარმეები), საქართველო, საკუთარი ბიზნესსაქმიანობის წამოსაწყებად, ერთგვარ ტრამპლინს წარმოადგენს. ამასთან, საქართველოში მიგრაცია და სამუშაო საქმიანობის ცვლილება მათთვის ვერტიკალური სოციალური მობილობის შესაძლებლობას იძლევა<sup>2</sup> და მათ იერარქიულ კიბეზე გადაადგილებას უწყობს ხელს. ვერტიკალური მობილობის შესაძლებლობა საზოგადოების „ღიაობისა“ და დემოკრატიულობის საზომს წარმოადგენს. შეიძლება ვთქვათ, რომ, ამ მხრივ, საქართველო, როგორც რეგიონის, ისე პოსტსაბჭოთა სივრცის მრავალ ქვეყანას უსწრებს წინ.

<sup>2</sup>მ. სოროკინი ნაშრომში „სოციალური მობილობა“ (1927) დასაქმების სტრუქტურის ფარგლებში სოციალურ მობილობას განიხილავს. სოროკინის მიხედვით, იერარქიულ კიბეზე ვერტიკალური სოციალური მობილობა ინდივიდის ან სოც. ჯგუფის ერთი ფენიდან (სტრატეიდან) მეორე ფენაში გადასვლას გულისხმობს.

დასაქმება ინტეგრაციის ერთ-ერთი ყველაზე შესწავლილი სფეროა (Castles et al., 2001). ის განიხილება ისეთ ფაქტორად, რომელიც ბევრ რელევანტურ საკითხზე ახდენს გავლენას, მათ შორის, ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხელშეწყობაზე, მომავლის დაგეგმვაზე, მასპინძელი საზოგადოების წევრებთან შეხვედრაზე, ენობრივი უნარების განვითარებაზე, თვითშეფასების აღდგენაზე/ამაღლებაზე (Africa Educational Trust, 1998; Bloch, 1999; Tomlinson & Egan, 2002).

მიგრანტთა სამუშაოს ძიების არსებული კვლევებით დასტურდება, რომ სოციალურ კაპიტალს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება და იგი რამდენიმე ფაქტორზე ახდენს გავლენას. მათ შორის, მიგრანტთა შემოსავალსა და ხელფასებზე (Aguilera & Massey, 2003). მიუხედავად იმისა, რომ ორივე ქალაქში გამოკითხულ მიგრანტთა შორის დიდია მათი რიცხვი, ვისაც მაღალი კვალიფიკაცია (ინვესტორები, დამსაქმებლები, მენეჯერები, შტატგარეშე პროფესიონალები, ქონების მფლობელები), უმაღლესი განათლება და სოციალური კაპიტალი აქვს, მათ ადგილობრივ შრომის ბაზარზე ქართულ კომპანიებში დასაქმების შანსები, მკვიდრ მოსახლეობასთან შედარებით, ბევრად ნაკლები აქვთ, მიუხედავად იმისა, რომ რიგ შემთხვევაში, შესაძლოა, უფრო მაღალი კვალიფიკაცია ჰქონდეთ, ვიდრე ადგილობრივებს.

აღნიშნული განპირობებულია, პირველ რიგში, მასპინძელი ქვეყნის ენის არცოდნით (ვინაიდან დამსაქმებელი ხშირ შემთხვევაში ითხოვს ქართული ენის ცოდნას), ასევე, ქვეყანაში უმუშევრობის მაღალი დონითა და დაბალი ხელფასებით. ზოგადად, უცხოელისთვის საქართველოში ადგილობრივ ბაზარზე სამუშაოს პოვნა საკმაოდ რთულია. იმიგრანტთა დასაქმება, ძირითადად, უცხოურ კომპანიებთან, ბიზნესინვესტიციებთან ან იმ კომპანიებთან არის დაკავშირებული, რომლებიც მიგრანტთა სამშობლოში მუშაობდნენ და შემდეგ საქართველოში საკუთარი ფილიალი გახსნეს, შედეგად მიგრანტთა ნაწილი სამუშაოდ თბილისში ან ბათუმში გადმოვიდა.

ზოგადად, ადგილობრივი სოციალური, კულტურული გაერთიანებების წევრობა და კომპანიებში დასაქმება, უცხოელთა ინტეგრაციაზე დადებითად მოქმედებს. ფრილანსერი, ონლაინმომუშავე, თუ უცხოურ კომპანიაში დასაქმებული უცხოელები, მასპინძელ საზოგადოებასთან სოციალურ კავშირებს მოკლებული არიან.

აღსანიშნავია, რომ გამოკითხული შრომითი მიგრანტებიდან არც ერთი არ იყო დასაქმებული თავისი კვალიფიკაციისა და პროფესიის შეუსაბამო სამუშაო ადგილზე, რაც იმას გულისხმობს, რომ მათ დეკვალიფიკაციას ადგილი არ ჰქონდა.

პოსტსაბჭოთა და აზიის ქვეყნებიდან ჩამოსული მიგრანტების შემთხვევაში, მიგრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ხაზგასმულია ქსელური კავშირების მნიშვნელობა. პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან აღნიშნული, განსაკუთრებით, უკრაინის მოქალაქეებს ეხება, კერძოდ მათ, ვისაც საომარი მოქმედებების გამო, სამშობლოს დატოვება მოუწიათ. ხოლო აზიის ქვეყნების შემთხვევაში, ამ მხრივ გამორჩეული არიან ირანისა და ინდოეთის მოქალაქეები, რომლებიც საქართველოში მიგრანტების ქსელების დახმარებით ჩამოვიდნენ.

კვლევამ აჩვენა, რომ უკრაინის მოქალაქეების დიდი ნაწილის საქართველოში გადმოსვლა, 2014 და 2022 წელს, რუსეთ-უკრაინის ომს უკავშირდებოდა. თუკი 2014 წელს უკრაინის მოქალაქეები საქართველოში, ძირითადად ბათუმში, დონეცკიდან, ხარკოვიდან და დნიპროდან ჩამოვიდნენ, 2022 წელს უკრაინელთა ემიგრაციის არეალი ბევრად გაფართოვდა და პრაქტიკულად მთელი უკრაინა მოიცვა.

საქართველოში ირანის მოქალაქეების იმიგრაცია გამოწვეულია ირანში არსებული მძიმე პოლიტიკური პირობებით (push factors). ირანში არსებობს ისეთი შიდა პრობლემები, როგორებიცაა მკაცრი შეზღუდვები, ინფორმაციის კონტროლი, მილიტარიზებული სისტემა, მაკონტროლებელი რელიგიური ინსტიტუტები, ინფრასტრუქტურული კრიზისი, სანქციები, რაც რიგით მოქალაქეებს მძიმე ტვირთად აწვება მხრებზე და განვითარებისა და პროფესიული ზრდის შესაძლებლობას არ აძლევს.

სწორედ ამიტომ, მოსახლეობა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა თაობა (უმეტესად, ნაკლებად რელიგიური და, შედარებით, ლიბერალური ხედვების მქონე) ყველა შესაძლო გზებით ცდილობს ქვეყნიდან ემიგრაციას და უცხო ქვეყანაში დაფუძნებას.

ირანის მოქალაქეები, რომლებიც ევროპის ქვეყნებში ან აშშ-ში გადასვლას ვერ ახერხებენ, საბოლოო დანიშნულების ადგილად საქართველოს ან მეზობელ სომხეთს ირჩევენ. საქართველო მათთვის ყოველმხრივ ლაღ ქვეყანას წარმოადგენს, სადაც დარჩენა კომფორტულია, რადგან ისინი სამშობლოსთან ტერიტორიულად ახლოს

არიან, ისტორიული მეხსიერება აკავშირებთ და თავს მშვიდად, უსაფრთხოდ და თავისუფლად გრძნობენ.

ახალგაზრდა წყვილებისთვის ეს არის ქვეყანა, სადაც მათ შვილებს შეიძლება ნათელი მომავალი და განვითარების მეტი შესაძლებლობა ჰქონდეთ. ირანიდან ჩამოსული უცხოელებისთვის მისაღებია საქართველოში დემოკრატიისა და ლიბერალიზმის დონე, რომელიც გაცილებით მაღალია, ვიდრე მათ სამშობლოში, თუმცა, არც ისეთი, რომ დისტრესი ან დისკომფორტის გრძნობა გამოიწვიოს.

თუკი ირანისა და აზერბაიჯანის მოქალაქეები საცხოვრებლად ძირითადად თბილისს ირჩევენ და ინვესტიციებს დედაქალაქში უძრავ ქონებაში დებენ, პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ჩამოსული რუსულენოვანი მიგრანტების უმეტესობა ბათუმში საქმდება ან საკუთარ ბიზნესსაქმიანობას იწყებს. ბათუმში დასახლებულ პოსტსაბჭოთა მიგრანტების ნაწილს თამამად შეიძლება ვუწოდოთ „ჩვეულების, ცხოვრების წესის“ მიგრანტები (Lifestyle migrants). ეს არის ხალხი, რომელიც სასიამოვნო კლიმატის, მსგავსი კულტურის, რელიგიის, ენის ბარიერის არარსებობისა და ჯანსაღი გარემოს გამო დასახლდა. კვლევის მიხედვით, ქალაქს ძირითადად ირჩევენ საშუალო ასაკის იმიგრანტები მოსკოვიდან, კიევიდან და სხვა დიდი ქალაქებიდან, რომლებიც გადატვირთულ მეგაპოლისებში ცხოვრებით დაიღალნენ. *„ბათუმი ავირჩიე, რადგან მოსკოვის შემდეგ აქ ატმოსფერო უფრო მშვიდია. კომფორტი და სიწყნარე მინდოდა. აქ არის ზღვა, ულამაზესი ბუნება, მთები და, ძირითადად, უდარდელი ცხოვრება,“* - უძრავი ქონების სექტორში დასაქმებული 33 წლის რუსეთის მოქალაქე, ბათუმიდან. უფრო ახალგაზრდა იმიგრანტები და ისინი, ვინც აქტიურ კულტურულ ცხოვრებას არის მიჩვეული, გასართობი ადგილების სიმრავლიდან გამომდინარე, უპირატესობას, ძირითადად, თბილისს ანიჭებს.

პოსტსაბჭოთა მიგრანტებს შორის აღსანიშნავია ბელორუსისა და რუსეთის მოქალაქეთა იმიგრაცია, რომელიც განპირობებულია ამ ქვეყნებში არსებული პოლიტიკური რეჟიმით. რუსების და ბელორუსების რიცხვმა, განსაკუთრებით რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ (2022 წლის 24 თებერვალი) (United Nations, 2022), იმატა.

*„ახლა უფრო მეტი მიგრანტი ჩამოდის ბელორუსიდან და რუსეთიდან. მე ვყიდი და ვაქირავებ ბინებს ბათუმში, სადაც ბევრი რუსია, კონკრეტულად, იელოვას*

მოწმეები და ბელორუსის მოქალაქეები, რომლებსაც ლუკაშენკოს პოლიტიკურ რეჟიმში ცხოვრება არ სურთ,“ – უძრავი ქონების ბიზნესში დასაქმებული 33 წლის უკრაინის მოქალაქე ბათუმიდან.

„ჩემი მეუღლე ტელეჟურნალისტია, მე კი რუსულ ტელეარხ HTB-ზე ვმუშაობდი. რუსეთიდან წასვლა ჩვენი პროფესიული და პოლიტიკური მოსაზრებების გამო გადაწყვიტეთ. ჩვენს ქვეყანაში ჩამოყალიბებული რეჟიმის პირობებში, ძალიან გაგვიჭირდა მუშაობა. ვერ ვიტყვი, რომ ამკარად გამოკვეთილი ლიბერალები ვართ, მაგრამ როცა პოლიტიკა შენს პროფესიულ საქმიანობაზე მძაფრად მოქმედებს, ეს ძალიან გაბავს“ - ბათუმში მცხოვრები 43 წლის მეწარმე რუსეთიდან.

აღსანიშნავია, რომ ბათუმში გამოკითხული შრომითი მიგრანტების უმეტესობა დაქორწინებულია და საქართველოში ოჯახებთან ერთად ჩამოვიდა. გამოკითხულ მიგრანტთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთაც ქართველი მეუღლეები ჰყავთ. ზოგადად, ინტეგრაცია უფრო მარტივად მიმდინარეობს შერეული ქორწინების (mixed couple) შემთხვევაში, როდესაც ერთ-ერთი მეუღლე მასპინძელი საზოგადოების წევრია (Kovacs & Melegh, 2007). თბილისში მომუშავე იმიგრანტების უმრავლესობა არ არის დაოჯახებული და, ძირითადად, ინდივიდუალურად ჩამოვიდა. ეს იმ ფაქტორით აიხსნება, რომ ბათუმი უფრო პატარა და წყნარი ქალაქია, რაც მას ოჯახებისთვის და, განსაკუთრებით, ისეთი წყვილებისთვის, რომლებსაც მცირეწლოვანი ბავშვები ჰყავთ, მომხიბვლელს ხდის, ამავდროულად, ისინიც ბათუმს ანიჭებენ უპირატესობას, ვისაც დისტანციური სამსახური აქვს და მშვიდ გარემოში სურს ცხოვრება.

განათლება არის ინტეგრაციისა და სოციალური განვითარების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. საზოგადოების ყველა წევრის საჭირო უნარ-ჩვევებით აღჭურვისა და ცხოვრების ყველა სფეროში თანაბრად მონაწილეობისთვის მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. განათლება იდენტობის ძირითადი ელემენტების შენარჩუნებისა და გადაცემის საშუალება და კულტურათმორისი კონტაქტის, ურთიერთგაგების ერთ-ერთი მთავარი, ყველაზე ეფექტიანი გზაა (OSCE, 2012).

როგორც თბილისში, ისე ბათუმში, ხელმისაწვდომია თურქულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე სასკოლო განათლების მიღება. უკრაინელი მიგრანტების რაოდენობის მატებასთან ერთად, ორივე ქალაქში უკრაინული სკოლებიც დაფუძნდა.



განათლების მიღება უფრო რთულია აზიიდან ჩამოსული მიგრანტების ბავშვებისთვის, ვინაიდან მათთვის არ არსებობს საჯარო ან კერძო სასწავლებლები, ამიტომ აზიის ქვეყნებიდან ჩამოსული მიგრანტი ბავშვები ქართულ საჯარო ან კერძო ინგლისურენოვან სკოლებში სწავლობენ.

ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ქვეყანაში მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის ყველა დონეზე განათლება ხელმისაწვდომია. საქართველოს კანონით „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ (საქართველოს პარლამენტი, 2016) სკოლამდელი აღზრდის და განათლების მიღება საქართველოში მოზინადრე ყველა ადამიანს შეუძლია, მიუხედავად მოქალაქეობისა (IOM, 2021).

ადრეული და სკოლამდელი აღზრდის, ისევე, როგორც, ზოგადად, განათლების მიმწოდებელ დაწესებულებაში, ქართული სწავლების ენაა, თუმცა დაწესებულება უფლებამოსილია შესთავაზოს არსებული საგანმანათლებლო სტანდარტის შესაფერისი რესურსები და პროგრამები, როგორც სახელმწიფო, ისე ენობრივი უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვების მშობლიურ ენაზე (IOM, 2021).

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით (საქართველოს პარლამენტი, 2005), ზოგადი განათლება სრულად უფინანსდება, როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეებსაც (IOM, 2021). „ყველას აქვს სრული ზოგადი განათლების მიღების თანაბარი უფლება, რათა სრულად განავითაროს თავისი პიროვნება და შეიძინოს ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია კერძო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობებისთვის“ (საქართველოს პარლამენტი, 2005).

ორივე ქალაქში ცხოვრება კომფორტულია მორწმუნე ადამიანებისთვისაც, რწმუნის მიუხედავად, ვინაიდან ისინი საქართველოში, როგორც რელიგიურ საკითხებთან, ასევე რელიგიური რიტუალების შესრულებასთან დაკავშირებით, პრობლემებს არ აწყდებიან. ორივე ქალაქში (თბილისი, ბათუმი) ტაძრების და სალოცავი ადგილების მრავალფეროვნებაა. თბილისშიც და ბათუმშიც არის კათოლიკური, რუსული და სომხური ეკლესიები, მეჩეთები, სინაგოგები.

ცნობილია, რომ ინტეგრაციის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება შრომის ბაზარზე წვდომასა და დასაქმებას, მასპინძელი საზოგადოების ზნეობრივი ნორმების ცოდნასა და ადგილობრივ ენაზე კომუნიკაციის უნარს (Iontsev et al., 2015).

მასპინძელი საზოგადოების ენის ცოდნა წარმატებული ინტეგრაციის ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას და, ამავდროულად, ძირითად საშუალებას წარმოადგენს. ცხადია, ენის თავისუფლად ფლობა ხელს უწყობს მასპინძელ საზოგადოებასთან ურთიერთქმედებას და, შესაბამისად, სოციალურ ინტეგრაციას. მრავალი კვლევა მიუთითებს ენის ცოდნისა და სოციალური ქსელების დადებით გავლენაზე ინტეგრაციის პროცესში (Raissiguier, 2013).

ჩვენი აზრით, საქართველოში მიგრანტთა ინტეგრაციის ერთ-ერთ უმთავრეს შემაფერხებელ ფაქტორს, შეიძლება ითქვას, ქართული ენის არასათანადო დონეზე ფლობა წარმოადგენს. აღნიშნული ამცირებს როგორც სოციალურ კავშირებს, ისე ხელს უშლის მიგრანტებს საჭირო სერვისების შესახებ ინფორმაციის მოძიებაში.

გამოკითხული იმიგრანტების უდიდესი ნაწილი ქართულ ენაზე ვერ მეტყველებს. „-არა, მე არ ვსწავლობ ქართულ ენას. მე არ მჭირდება...“ - ამბობს განათლების სექტორში დასაქმებული 24 წლის ამერიკის მოქალაქე თბილისიდან. აღნიშნულ მოსაზრებას რესპონდენტთა უმეტესობა იზიარებს. ისინი ამბობენ, რომ ვერ ხედავენ ქართული ენის სწავლის საჭიროებას. რესპონდენტები ამას იმით ხსნიან, რომ საქართველოში მოსახლეობის დიდი ნაწილი ინგლისურად ან რუსულად საუბრობს (ინგლისურად ძირითადად ახალგაზრდები საუბრობენ, რუსულად - უფროსი თაობის წარმომადგენლები) და, ასევე, ქართული ენისა და დამწერლობის სირთულეზე მიუთითებენ. აღსანიშნავია, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ჩამოსული მიგრანტები საკომუნიკაციოდ რუსულ ან ინგლისურ ენებს იყენებენ.

*„როგორც ვთქვი, ქართულს არ ვსწავლობ. კომუნიკაციისთვის უფროს თაობასთან, ძირითადად, რუსულ ენას ვიყენებ და ახალგაზრდა თაობასთან ურთიერთობისას, ინგლისურს,“* - თბილისში მცხოვრები 30 წლის ფრილანსერი იმიგრანტი რუსეთიდან. გამოკითხული შრომითი მიგრანტების უმეტესობა საქართველოში კომუნიკაციისთვის ინგლისურ ენას იყენებს (მათ შორის, რესპონდენტები აზიისა და აფრიკის ქვეყნებიდან, რომელთა ნაწილს ინგლისურად კომუნიკაცია უჭირს).

შრომით მიგრანტთა მცირე ჯგუფს, რომელიც მასპინძელი ქვეყნის ენას სწავლობს, მიეკუთვნებიან ისინი, ვინც საქართველოში დიდხანს აპირებს დარჩენას, ან ვისაც გრძელვადიანი სამუშაო აქვს.

აზიის ქვეყნებიდან ჩამოსული მიგრანტებისთვის ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაცია უფრო რთულია, ვიდრე სხვა იმიგრანტთა ჯგუფებისთვის. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა ფაქტორით: უპირველეს ყოვლისა, ბინადრობის ნებართვის (სამართლებრივი სტატუსის) მოპოვებასთან დაკავშირებული პრობლემებით, რაც მათთვის სერიოზულ სირთულეს წარმოადგენს.

აზიის ქვეყნებიდან ჩამოსული იმიგრანტები (ძირითადად, ირანის მოქალაქეები) სამშობლოში სახლებს ყიდნიან და საქართველოში უძრავ ქონებას ყიდულობენ, რადგან აქ მუდმივად ცხოვრების სურვილი აქვთ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ქონებას იძენენ, საბუთების პრობლემებს ვეღარ აგვარებენ (TDI, 2021).

რესპონდენტთა ნაწილი ამას უსამართლოდ მიიჩნევს, რადგან ისინი კანონიერად არიან დასაქმებული, იხდიან გადასახადებს, თუმცა ქვეყანაში ლეგალურად დარჩენისთვის საბუთს, კერძოდ, ბინადრობის ნებართვას, ვერ იღებენ, ამის გამო კი, სასამართლოს მიმართავენ. *„ახლა მინდა ბინადრობის ნებართვის მიღება, მაგრამ არ ვიცი მომცემენ თუ არა, ან გაახანგრძლივებენ, თუ არა, ბოლომდე დარწმუნებული ვერ იქნები. ეს ყველაფერი აზარტულ თამაშს ჰგავს, შენ არ იცი, ეკუთვნის თუ არა ამ ქვეყანას. მე მაქვს სამსახური და საშემოსავლო გადასახადებს ვიხდი... არაფერი დამიშავებია აქ, საქართველოში, ამიტომ მირჩევნია ვიყო უსაფრთხოდ და კანონიერად, მაგრამ ჩემი ყოველდღიური რეალობა არის სასამართლო, სადაც ჩემს იურისტთან ერთად მიწევს ბრძოლა და, მიუხედავად ამისა, იუსტიციის სახლი ჩემს შრომით ხელშეკრულებას მაინც არ იღებს,“* - უძრავი ქონების სფეროში დასაქმებული 36 წლის ირანის მოქალაქე თბილისიდან.

სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებული პრობლემები, აზიის ქვეყნებიდან ჩამოსულ შრომით მიგრანტებზე, დიდ ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენს, შედეგად მათ უქრებათ ინტეგრაციისთვის მზაობა, ქართული ენის შესწავლის სურვილი, მასპინძელი ქვეყნისა და მისი საზოგადოებისადმი ნდობა. აქედან გამომდინარე, სამართლებრივი ინტეგრაცია შესაძლოა დიდ დაბრკოლებებს უქმნიდეს იმიგრანტთა ისეთ ჯგუფებსაც კი, რომლებსაც მაღალი კვალიფიკაცია, გარკვეული ენობრივი უნარ-ჩვევები და მასპინძელ ქვეყანაში ხანგრძლივი ბინადრობა ახასიათებთ. სამართლებრივი სტატუსი სულ უფრო და უფრო აღიარებულია, როგორც სოციალური სტრატეგიკაციის საფუძველი და მნიშვნელოვანი გავლენა აქვს

მიგრანტების ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე, როგორებიცაა სოციალური კავშირები, ოჯახური ურთიერთობები ან ჯანმრთელობა (Eremenko, 2018).

როგორც ცნობილია, ზოგადად ინტეგრაციის პროცესი, განსხვავებული ინტენსივობით მიმდინარეობს. მიგრანტთა ინტეგრაციის ხარისხზე გავლენას ახდენს იმიგრანტთა ისეთი მახასიათებლებიც კი, როგორებიცაა მათი სქესი, ასაკი, ენა, რელიგია, მასპინძელ ქვეყანასთან კავშირები, სოციალური კაპიტალი, მასპინძელ საზოგადოებაში ყოფნის ხანგრძლივობა, დასახლების ფორმა (ქალაქი და სოფელი) და წარმოშობის ქვეყანა (Мукомель, 2011). აღსანიშნავია ისეთი ფაქტორებიც, როგორებიცაა: განათლების დონე, პროფესიული უნარები, მიგრანტთა მიზნები და ამბიციები. თითოეული ამ ფაქტორთაგანი სპეციფიკურ გავლენას ახდენს ინტეგრაციის პროცესზე.

აღნიშნულ კვლევაში სხვა მახასიათებლებზე წინ სწორედ რომ მიგრანტთა წარმოშობის ქვეყნის ფაქტორმა წამოიწია, კერძოდ, კვლევამ ასახა, რომ საქართველოში ინტეგრაცია შედარებით უფრო მარტივია განვითარებული ქვეყნებისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების მოქალაქე იმიგრანტებისთვის. ინტეგრაციის პროცესი შედარებით რთულად მიმდინარეობს აზიიდან და აფრიკიდან ჩამოსული მიგრანტებისთვის.

ამის ერთ-ერთი განმარტებელი ფაქტორი ის არის, რომ ევროპის, ამერიკისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიგრანტებისგან განსხვავებით, აზიის ქვეყნებიდან ჩამოსული უცხოელებისთვის ენობრივი ბარიერი მნიშვნელოვან სირთულეს წარმოადგენს. ხშირ შემთხვევაში, აზიის ქვეყნებიდან იმიგრანტები (ძირითადად ირანის, თურქეთის და ჩინეთის მოქალაქეები) ქართულ ან ინგლისურ ენებს სასაუბრო დონეზეც კი ვერ ფლობენ. საკომუნიკაციო ენის არარსებობა მიმღებ საზოგადოებასთან კონტაქტის დამყარებას ართულებს, რაც მათ გაუცხოებას იწვევს.

აღნიშნულს ემატება სამართლებრივი სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებული სირთულეები, განსხვავებული კულტურა, წეს-ჩვეულებები, პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებები, რაც ქართულ საზოგადოებაში აღნიშნული ჯგუფის ინტეგრაციის პროცესს უფრო ანელებს.

ირანის, თურქეთის, ინდოეთისა და ჩინეთის გამოკითხული მოქალაქეები, მიგრანტთა სხვა ჯგუფებთან შედარებით, ადგილობრივი მოსახლეობისგან და მიგრანტთა სხვა ჯგუფებისგანაც მეტად არიან იზოლირებული, ისინი ძირითადად

კომპაქტურად სახლდებიან და თავიანთ უბნებსაც (თურქული უბანი ბათუმში, ირანული - აღმაშენებელზე) კი ქმნიან. თურქეთის მოქალაქეების შემთხვევაში (განსაკუთრებით, ბათუმში მცხოვრები), აღსანიშნავია ინტენსიური კავშირების როლი სამშობლოსთან, კერძოდ, ხშირი მიმოსვლა, რაც ინტეგრაციის პროცესს აფერხებს და აღნიშნული ჯგუფების სეგრეგაციას იწვევს.

ასეთი იზოლაციის მიზეზი, პირველ რიგში, ალბათ, ადგილობრივ მოსახლეობასთან ენობრივი ბარიერის არსებობაა, რასაც, სავარაუდოდ, მკვიდრი მოსახლეობის დამოკიდებულებაც ემატება. შესაბამისად, მასპინძელი საზოგადოებისგან ასეთი სეგრეგაცია შესაძლოა თავდაცვის ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენდეს ან, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ბერის კონცეფციის მიხედვით, განცალკევება (separation) ახალ კულტურასთან შეგუების ერთ-ერთ შესაძლო სტრატეგიას შეადგენს (Berry, 1980).

რა თქმა უნდა, მასპინძელ ქვეყანაში ინტეგრაციისთვის იმიგრანტის მზაობასა და სურვილს დიდი მნიშვნელობა აქვს, თუმცა, თუკი ეს მზაობა ორმხრივი არ იქნება, პროცესი შედეგიანი ვერ გახდება. საქართველოში კი, ადგილობრივები იმიგრანტთა აღნიშნულ ჯგუფებთან ინტეგრაციისკენ ნაკლებად ისწრაფვიან, რაც მიგრაციის სპეციალისტმაც აღნიშნა:

*„ქართველების მხრიდან ინტეგრაციის დიდი სურვილი არ არის და, ალბათ, იმიგრანტების მხრიდანაც ნაკლებია, მაგრამ, რა თქმა უნდა, ახლაც ვიმეორებ, გლობალურად ვლაპარაკობ, იქნება გამონაკლისები,“* - მიგრაციის სფეროს ექსპერტი.

იმიგრანტები ქვეყნის საბანკო, საფინანსო სისტემასთან, შედარებით მარტივად ადაპტირდებიან და მისი უპირატესობით სარგებლობენ. მეტიც, აქ მათ იმ სერვისებზე მიუწვდებათ ხელი, რომლებითაც თავის ქვეყანაში ვერ სარგებლობენ (მაგ; რუსეთის, ირანის მოქალაქეები). თითქმის ყველა შრომით მიგრანტს აქვს საბანკო ანგარიში საქართველოს სხვადასხვა ბანკში და განსხვავებულ საბანკო მომსახურებას ხარვეზების გარეშე იღებს.

რაც შეეხება შრომით მიგრანტთა სამედიცინო სისტემასთან ადაპტაციას, გამოკითხვის ჩატარების პერიოდში, ჯანმრთელობის დაზღვევა მხოლოდ იმ იმიგრანტებს ჰქონდათ, რომლებიც დიდ კომპანიებში მუშაობდნენ და რომლებშიც თანამშრომლების ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამაში ჩართვას თავად კომპანია უზრუნველყოფდა. შრომით მიგრანტებს, ძირითადად, ფასიანი ჯანდაცვის

სერვისებით სარგებლობა ურჩევნიათ. არსებული სადაზღვევო პროგრამების შესახებ საკმარისი ინფორმაცია მათ საერთოდ არ გააჩნიათ.

*„კარგი იქნება, თუ სადაზღვევო კომპანიები აზერბაიჯანის მოქალაქეებს ან სხვა ქვეყნის მოქალაქეებს ნორმალურ, მისაღებ პირობებს შესთავაზებს. არ ვიცი, ამჟამად რა პირობებს მთავაზობენ, არასდროს შემხვედრია არც ერთი ჯანდაცვის დაზღვევის წარმომადგენელი, ჩემით უნდა ვიპოვო და დრო არ მაქვს. თუ მოვლენ და შემოგვთავაზებენ პირობებს, ალბათ, დავფიქრდები და დავთანხმდები,“* - უძრავი ქონების სექტორში დასაქმებული 40 წლის აზერბაიჯანელი რესპონდენტი თბილისიდან.

*„ჩვენ არ გვაქვს ჯანმრთელობის დაზღვევა. ჩემს ოჯახს ჰყავს ექიმი და ვიხდით კონსულტაციის ან სამედიცინო მომსახურების სავასურს,“* - 33 წლის, თვითდასაქმებული უკრაინის მოქალაქე ბათუმიდან.

გამოკითხულმა იმიგრანტებმა აღნიშნეს, რომ, ძირითად შემთხვევაში, ადგილობრივები მათ მიმართ კეთილგანწყობილები არიან. თითქმის ყველა რესპონდენტს ჰყავს ქართველი მეგობარი ან ნაცნობი, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შრომითი მიგრანტები უმეტესად თანამემამულეებთან ინარჩუნებენ კონტაქტს.

უცხოელებს, უმრავლეს შემთხვევაში, უარყოფითი დამოკიდებულება ადგილობრივების მხრიდან არ უგრძნიათ და არც სხვა შრომითი მიგრანტების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების შესახებ სმენიათ რამე. იყო სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევები რუსულენოვან ჯგუფთან, როდესაც ადგილობრივებმა რუსულ ენაზე კომუნიკაციის სურვილი არ გამოთქვეს. *„აი, მყავს მეგობრები, ნაცნობები... რუსები, მათ მითხრეს და პირადად მეც მქონდა მსგავსი გამოცდილება, როცა ლაპარაკობდნენ რუსულად, ზოგი მათ ოკუპანტებს უწოდებდა, რადგან რუსეთის მიმართ ბევრი დადებითად არ არის განწყობილი,“* - სამშენებლო სექტორში დასაქმებული 29 წლის ბელორუსის მოქალაქე თბილისიდან.

გამოკითხულ იმიგრანტებს შორის იყვნენ განსხვავებული რასის წარმომადგენლები. მათ საქართველოში რასობრივი ნიშნით დისკრიმინაციის გამოცდილება არ ჰქონიათ. აღსანიშნავია, რომ ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციისა და ქსენოფობიის შემთხვევა მხოლოდ ერთხელ დასახელდა - შორეული აზიიდან (ჩინეთი) ჩამოსული რესპონდენტის შემთხვევაში, კოვიდ-19-ის გავრცელების პირველი ტალღის პერიოდში.

საქართველოში გამოკითხულ შრომით მიგრანტებს განსაკუთრებით მოსწონთ ქვეყნის ლანდშაფტი და კლიმატი. ამას, როგორც თბილისში, ისე ბათუმში გამოკითხულები აღნიშნავენ. იმიგრანტები თავისუფალ დროს ძირითადად ოჯახთან (უმეტესად, სხვა მიგრანტებთან) ან მეგობრებთან ერთად ატარებენ.

კვლევამ აჩვენა, რომ იმიგრანტების უმრავლესობა საქართველოში თავს მშვიდად, დაცულად გრძნობს და თავისი ფსიქოლოგიური მდგომარეობით კმაყოფილია. შესაბამისად, საქართველოში დარჩენის მიზეზებს შორის, ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას (ფსიქოლოგიური ასპექტები) ისინი, ხშირ შემთხვევაში, ეკონომიკურ მიზეზებზე მაღლა აყენებენ. *„თუნდაც არ გავითვალისწინო ის, რომ ქართულად არ ვლაპარაკობ და ამჟამად არ მაქვს ... სტაბილური შემოსავალი, გეტყვით, რომ ჩემი ჩამოსვლით მაინც კმაყოფილი ვარ, რადგან აქ პრიორიტეტი ჩემი მენტალური ჯანმრთელობა, კომფორტია და ჩემთვის ეს დღეს ყველაზე მნიშვნელოვანია,“* - გართობის ინდუსტრიაში დასაქმებული 41 წლის ლიეტუვის მოქალაქე ბათუმიდან.

ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ჩამოსული შრომითი მიგრანტებისთვის ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაცია ადვილია, რაც საბჭოთა წარსულთან დაკავშირებული საერთო ღირებულებებითა და ენობრივი ბარიერის პრაქტიკულად არარსებობითაა განპირობებული.

ინტეგრაციის პროცესი, სხვა ჯგუფებთან შედარებით, ყველაზე უკეთ, განვითარებული ქვეყნებიდან ჩამოსული იმიგრანტების შემთხვევაში მიმდინარეობს. ისინი თავს ქართულ საზოგადოებაში კომფორტულად გრძნობენ და მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილთან ურთიერთობას მარტივად ამყარებენ.

ის შრომითი მიგრანტები, ვისთვისაც ინგლისური მშობლიური ენაა, სამართლებრივი კუთხითაც, სხვა ქვეყნებიდან (მათ შორის, აზიის ქვეყნებიდან) ჩამოსულ მიგრანტებთან შედარებით, უკეთ ინტეგრირდებიან. არცერთ გამოკითხულ ინგლისურენოვან რესპონდენტს საქართველოში სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებული პრობლემა არ აქვს.

აღნიშნულ ფაქტს ხაზს უსვამენ სხვა რესპონდენტებიც, რომელთა თქმით, საქართველოში სხვადასხვა ეროვნებებს შორის არსებული განსხვავება პრივილეგიების კუთხით უკვე საზღვრის კვეთის მომენტშიც შეიმჩნევა. აშშ-დან და

დასავლეთ ევროპიდან ჩამოსულ უცხოელებს საზღვარზე ნაკლები პრობლემა ექმნებათ.

აშშ-დან, გაერთიანებული სამეფოდან და სხვა ინგლისურენოვანი ქვეყნებიდან ჩამოსული უცხოელების უმრავლესობა კვალიფიცირებული მიგრანტები (skilled migrants) არიან. ისინი, ძირითადად, საგანმანათლებლო სექტორში მუშაობენ (კერძო სკოლები, უცხო ენის შემსწავლელი ცენტრები, უნივერსიტეტები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ა.შ.).

საზოგადოებაში შრომითი მიგრანტების დაყოფა სხვადასხვა ნიშნის მიხედვით ხდება, თუმცა მათ შორის ძირითადია იმიგრანტთა წარმოშობის ქვეყანა, კვალიფიკაცია (პროფესიონალი მიგრანტები და დაბალკვალიფიციური მუშაკები) და სოციალური სტატუსი. შედეგად, განვითარებადი ქვეყნებიდან ჩამოსული მიგრანტების ინტეგრაციის პროცესი გართულებულია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კვლევის პროცესში გამოიკითხა ქალთა და მამაკაცთა თანაბარი რაოდენობა. თუმცა, ჩვენი კვლევის ამოცანა არ ყოფილა ინტეგრაციის პროცესში გენდერული თავისებურებების გამოვლენა. აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია, თუმცა ეს დამატებით კვლევას მოითხოვს. ჩვენ გამოვყავით ინტეგრაციის პროცესზე მოქმედი სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებსაც უპირატესობა სქესთან შედარებით ენიჭება.

არის თუ არა კავშირი საქართველოში მიგრანტების კომპაქტურ განსახლებასა და მათი ინტეგრაციის ხარისხს შორის? კვლევით დასტურდება, რომ განსახლების ფაქტორი გარკვეულ როლს თამაშობს, რადგან რაც უფრო მჭიდროდ არიან მიგრანტები განსახლებული ერთმანეთთან, მით უფრო ნაკლებია მიმღებ საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის ხარისხი.

უკანასკნელ წლებში, საქართველოს მთავრობამ, იმიგრაციის პოლიტიკის სრულყოფის კუთხით, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა, მიიღო კანონმდებლობა და მიგრაციის მართვის ინსტიტუციონალიზაცია დაიწყო, თუმცა ეს საკმარისი არ არის, რადგან არსებობს ხარვეზები, როგორც იმიგრანტთა აღრიცხვის, ისე ინტეგრაციის პროცესის მართვის კუთხით, ვინაიდან იმიგრანტთა განსხვავებულ ჯგუფებს სპეციფიკური პრობლემები გააჩნიათ.



## დასკვნა

შრომითი მიგრანტების ინტეგრაციის პროცესი საქართველოში სრულყოფილი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ხაზი გაუსვა ქართული საზოგადოების მიმღებ და ტოლერანტულ ბუნებას, რაც უცხოელების ინტეგრაციის პროცესზე დადებითად აისახება, რესურსებისა და გამოცდილების ნაკლებობა და ცოდნის სიმწირე ინტეგრაციის პროცესის მართვის გართულებას იწვევს.

ქვეყნის ინტეგრაციული პოლიტიკა ფოკუსირებულია იმიგრანტთა კონკრეტულ ჯგუფზე - საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ პირებზე და არ ითვალისწინებს იმიგრანტების სხვა ჯგუფების, მათ შორის, შრომითი მიგრანტების საჭიროებებსა და მათ ინტეგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მიგრაციის გამოწვევებს შორის ერთ-ერთ ყველაზე მწვავე საკითხად მიგრანტთა ინტეგრაცია რჩება. როგორც აღინიშნა, ინტეგრაცია საკმაოდ რთული პროცესია, ვინაიდან მასში მრავალი აქტორია ჩართული, რაც მის მართვასა და შესაბამისი კანონმდებლობის ჩამოყალიბებას ათულებს. ინტეგრაციული პოლიტიკის დახვეწა ფინანსურ უზრუნველყოფასა და შესაბამის კვალიფიციურ კადრებს მოითხოვს. საქართველო კი ჯერჯერობით ორივეს ნაკლებობას განიცდის.

კვლევის ფარგლებში გამოკითხულ ექსპერტთა მოსაზრებით, ინტეგრაცია მასპინძელ საზოგადოებასა და მიგრანტებს შორის ურთიერთქმედების პროცესი უნდა გახდეს. იმიგრანტების სხვადასხვა კონტინგენტს განსხვავებული ხარისხის ინტეგრაცია ესაჭიროება. სახელმწიფოს იმიგრანტთა სხვადასხვა ჯგუფისთვის ინტეგრაციის პოლიტიკის კონტურები ჩამოყალიბებული არ აქვს და აღნიშნული ჯგუფების ინტეგრაციისთვის შესაფერისი ინფრასტრუქტურა არ გააჩნია. იმიგრანტთა ინტეგრაციის პროცესში სამოქალაქო საზოგადოებაც ნაკლებად არის ჩართული.

იმიგრაციული პროცესების რეგულირების მიზნით წარმართულმა პოლიტიკამ, მის წინაშე არსებული ამოცანები სრულად და საიმედოდ ვერ გადაწყვიტა, ვინაიდან იმიგრანტები ინტეგრაციული პოლიტიკის შემუშავებაში პირდაპირ თითქმის არ მონაწილეობენ.

საქართველოს, იმიგრაციის კუთხით, ღია კარის პოლიტიკა აქვს და ამით, ძირითადად, ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად ჩამოსულ პირებს იზიდავს, თუმცა შემდეგ მათი ინტეგრაცია, პრაქტიკულად, არაორგანიზებულად, სახელმწიფო ხელშეწყობის გარეშე მიმდინარეობს. შესაბამისად, ქვეყანას აქვს შრომითი მიგრაციისთვის ლიბერალური პოლიტიკა, თუმცა არა მიგრანტთა მუდმივი ცხოვრებისა და განვითარებისთვის, რაზეც ქვეყნის ინტეგრაციული პოლიტიკიდან გამომდინარე შეგვიძლია ვიმსჯელოთ.

ადგილობრივ შრომით ბაზარზე დასაქმების თვალსაზრისით, მაღალკვალიფიციურ მიგრანტებს, საქართველოს მოქალაქეებთან შედარებით, თანაბარი შანსები აქვთ, რაც მათი კვალიფიკაციის დონით არის განპირობებული, თუმცა, ენობრივი ბარიერის გამო, უცხოელებს ადგილობრივ შრომით ბაზარზე დამკვიდრება მაინც უჭირთ.

კვლევამ აჩვენა, რაც უფრო მაღალია იმიგრანტის შემოსავალი, მით უკეთესი პერსპექტივა გააჩნია მას წარმატებული ინტეგრაციისთვის მასპინძელ საზოგადოებაში.

პრაქტიკულად, ენობრივი ბარიერის არარსებობის გამო, დასავლეთის მაღალგანვითარებული სახელმწიფოების ან პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების მოქალაქეების ინტეგრაციის პროცესი, იმიგრანტთა დანარჩენ ჯგუფებთან შედარებით, იოლად მიმდინარეობს. ამას პირველადდასახელებული ჯგუფის წარმომადგენლების მაღალი კვალიფიკაცია, სოციალური სტატუსი და ადგილობრივების მხრიდან მათთან ურთიერთობის მეტი მზაობა ემატება.

აზიის ქვეყნებიდან ჩამოსულ მიგრანტებს ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაცია უჭირთ, რაც, პირველ რიგში, საკომუნიკაციო ენის არცოდნით არის გამოწვეული. ისინი, ძირითად შემთხვევაში, მხოლოდ თავიანთ მშობლიურ ენას ფლობენ, რაც ურთიერთობას ართულებს. კულტურული, ეთნიკური და რელიგიური ფაქტორებიც გარკვეულ როლს თამაშობს.

შრომითი მიგრაცია, ძირითადად, დადებითად მოქმედებს საქართველოს ეკონომიკაზე. მაღალი კვალიფიკაციის მქონე მიგრანტების მზარდი რაოდენობა ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკის სტიმულირებას, ადგილობრივების სამეწარმეო და ტექნოლოგიური უნარების ჩამოყალიბებას, უცხოელი ინვესტორების მხრიდან ინოვაციური ბიზნესიდეების განვითარებასა და ფინანსების მოზიდვას, ვინაიდან

შრომითი მიგრანტები აქ აყალიბებენ ბიზნესის ახალ ფორმებს. თუმცა, „ღია კარის“ პოლიტიკამ და მიგრანტთა მასობრივმა შემოდინებამ, საქართველოსთვის, უსაფრთხოების თვალსაზრისით, შესაძლოა გარკვეული რისკები წარმოშოს.

ხშირ შემთხვევაში, ინვესტორს თვითონ ჩამოყავს პერსონალი და მუშახელი. აღნიშნული, ძირითადად ტურიზმის, მომსახურების, მშენებლობისა და ვაჭრობის სფეროში, უმეტესად, ჩინეთის, თურქეთისა და სხვა ქვეყნების მოქალაქეებს ეხება. ეს ადგილობრივ შრომით ბაზარზე უარყოფითად აისახება და საქართველოს მოქალაქეების დასაქმებას ხელს არ უწყობს.

ქვეყნის საიმიგრაციო პოლიტიკა ლიბერალურია, თუმცა სელექციური ხასიათი აქვს, რაც მიგრანტთა ჯგუფებისადმი განსხვავებულ დამოკიდებულებაში ვლინდება (აღნიშნული განსაკუთრებით აზიისა და აფრიკის ქვეყნებიდან ჩამოსულ მიგრანტებს ეხება). ამ ჯგუფების მიმართ ხშირად გამოიყენება არასასურველი მეთოდები, კერძოდ, ბინადრობის ნებართვის გაცემაზე არაგონივრული უარის თქმა, რაც, საბოლოო ჯამში, მიგრანტების ინტეგრაციას უშლის ხელს.

კვლევის მიხედვით, თბილისი და ბათუმი მიგრანტებისთვის მიმზიდველი ქალაქებია, თუმცა აჭარის ადმინისტრაციული ცენტრის გეოგრაფიული, ურბანული და კულტურული თავისებურებებიდან გამომდინარე, ბათუმში, თბილისთან შედარებით, ინტეგრაციის პროცესი უკეთ მიმდინარეობს.

საქართველოში, ბოლო წლებში, პროგრესი შეიმჩნევა, რომელიც მიღწეულია მიგრაციის სამართლებრივი და ინსტიტუციონალური მენეჯმენტის კუთხით, თუმცა მიგრანტთა ინტეგრაციის სფეროში რეალური ცვლილებები ჯერ არ განხორციელებულა. გარდა ამისა, იმიგრანტების ინტეგრაციის მართვის მხრივ, საქართველო ევროპული სტანდარტებისგან ჯერ კიდევ შორს არის.

მსოფლიოს მაღალგანვითარებული ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ, მიმღები ქვეყნის საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის მიგრანტთა წარმომავლობის ქვეყანას, როგორც წესი გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება. საქართველოს შემთხვევაში, აღნიშნული გარემოება საკვანძო მნიშვნელობას იძენს, რადგან იგი მიგრანტის სამართლებრივ სტატუსს და მისდამი სამთავრობო ინსტიტუტების დამოკიდებულებას განსაზღვრავს. აქედან გამომდინარე, წარმოშობის ქვეყნების მიხედვით, მიგრანტთა ცალკეული ჯგუფები საქართველოში განსხვავებული ინტეგრაციული ხარისხით გამოირჩევა.

ფაქტორთა მეორე მნიშვნელოვანი ჯგუფია მიგრანტის (სოციალური კაპიტალი) კვალიფიკაციის დონე, დასაქმება და შემოსავალი. მაღალკვალიფიციური მიგრანტების ინტეგრაციის ხარისხი უფრო მაღალია. მათ სტაბილური შემოსავალი და ადგილობრივებთან თუ სხვა მიგრანტებთან მეტი კონტაქტები აქვთ.

მასპინძელი ქვეყნის ენის ცოდნა, უცხოელის ინტეგრაციისთვის, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ქართული ენის ცოდნა ხელს უწყობს მიგრანტის ადგილობრივებთან კომუნიკაციას, ინფორმაციის მოპოვებას, კარიერულ ზრდას, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობას.

ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის ასევე მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმოადგენს: მასპინძელი ქვეყნის ტრადიციებისა და ადათ-წესების ცოდნა, საკუთრების ფლობა, საცხოვრებელი ადგილი (ქალაქის ტიპი), მშობლიურ ქვეყანასთან კავშირები, საქართველოში ცხოვრების ხანგრძლივობა. ეს უკანასკნელი, ინტეგრაციის პროცესში, მნიშვნელოვანი ასპექტია, თუმცა იმ შემთხვევაში კარგავს მნიშვნელობას, თუ მიგრანტს ინტეგრაციის სურვილი არ აქვს. სხვა სოციალურ-დემოგრაფიული ფაქტორების მნიშვნელობა (იმიგრანტის სქესი, ასაკი, ოჯახური მდგომარეობა, რელიგია და ა.შ.), აღნიშნულ კვლევაში არ გამოიკვეთა.

დღეს მიმდინარე მიგრაციული ტენდენციების გათვალისწინებით, მოსალოდნელია, რომ საქართველოში იმიგრანტთა ნაკადები გაიზრდება. ზოგადად, იმიგრაცია, ერთდროულად, შესაძლებლობაც არის და გამოწვევაც. ჯერჯერობით საქართველოს საიმიგრაციო კანონმდებლობა და პოლიტიკა დაუხვეწავია. ყველა ქვეყნის იმიგრანტი, სამრთლებრივი თვალსაზრისით, თანაბარ სიტუაციაში არ იმყოფება. შესაბამისად, მიგრანტთა ინტეგრაცია სპონტანურად ვითარდება, რაც არასასურველი მოვლენაა. იმედია, ევროინტეგრაციის პროცესში საქართველო აღნიშნულ წინააღმდეგობებს წარმატებით გადალახავს.

## ბიბლიოგრაფია

ბლაუველტი, ტ. (14.09.2020). პანდემიის ფონზე საქართველო კანონიერ ბინადრებს შემოსვლაზე უარს ეუბნება. Civil.ge <https://civil.ge/ka/archives/366981>

იუსტიციის სახლი. (2022). ბინადრობის ნებართვა. <https://psh.gov.ge/main/page/1/72>

კაჭკაჭიშვილი, ი. (2016). რაციონალური არჩევანის თეორია. ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

კულტურის მეცნიერებათა ინსტიტუტი. (2016). ასიმილაცია. <http://www.culturedialogue.com/resources/library/terms/asimilacia.shtml>

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია. (IOM). (2020). საჭიროებათა სწრაფი შეფასება: საქართველოში მესამე ქვეყნის მოქალაქე მიგრანტების Covid-19-თან დაკავშირებული დაუცველობა, რისკები და საჭიროებები.

<https://georgia.iom.int/ka/news/iom-sachiroebata-scrapi-shepaseba-sakartveloshi-mesame-kveqnis-mokalake-migrantebis-covid-19-tan-dakavshirebuli-dautsveloba-riskebi-da-sachiroebebi>

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია. (2022). ჩვენს შესახებ. [https://migration.commission.ge/index.php?article\\_id=59&clang=0](https://migration.commission.ge/index.php?article_id=59&clang=0)

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია. (2020). საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგია. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/5074437/0/1>

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია. (2019). საქართველოს 2019 წლის მიგრაციის პროფილი.

[https://migration.commission.ge/files/mp19\\_web3.pdf](https://migration.commission.ge/files/mp19_web3.pdf)

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია. (2017). საქართველოს 2017 წლის მიგრაციის პროფილი. [https://migration.commission.ge/files/migraciis\\_profil\\_2017\\_a4\\_new\\_1\\_1.pdf](https://migration.commission.ge/files/migraciis_profil_2017_a4_new_1_1.pdf)

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნო. (2017). ლეგალური ემიგრაციის გზამკვლევი. მეორე გამოცემა.

[https://mfa.gov.ge/getattachment/migration\\_guide/geo\\_emigration\\_-\\_2.pdf.aspx](https://mfa.gov.ge/getattachment/migration_guide/geo_emigration_-_2.pdf.aspx)

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნო. (2015). ლეგალური იმიგრაციის გზამკვლევი. Guidebook on Legal Immigration 2015.

[https://www.geostat.ge/media/19574/immigration\\_geo\\_10.07.15.pdf](https://www.geostat.ge/media/19574/immigration_geo_10.07.15.pdf)

[https://mfa.gov.ge/BlankSite/media/Files/IMMIGRATION\\_ENG.pdf](https://mfa.gov.ge/BlankSite/media/Files/IMMIGRATION_ENG.pdf)

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია (2015). საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია. [https://migration.commission.ge/files/ms\\_matsne\\_geo\\_06.08.18.pdf](https://migration.commission.ge/files/ms_matsne_geo_06.08.18.pdf)

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო. (2020). Covid-19 ინფექციის გამოწვევების მართვა - ხელისუფლების ქმედებების შეფასების ანგარიში. <https://transparency.ge/ge/post/covid-19-inpekciis-gamocvevebis-martva-xelisuplebis-kmedebebis-shepasebis-angarishi>

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. (2020). ინფორმაცია COVID-19-ის გავრცელების პირობებში უცხოეთში მყოფი საქართველოს მოქალაქეების დახმარების შესახებ. <https://mfa.gov.ge/News/informacia-COVID-19-is-gavrcelebis-pirobebshi-uckh.aspx?CatID=5>

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (2020). უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა. <http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=Survey&ID=7a00fd7-eba5-42ca-affe-928ac31a9372>

საქართველოს მთავრობა. (2020). განკარგულება №164 „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 4. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4821121?publication=98>

საქართველოს მთავრობა. (2020). განკარგულება №2460 „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის №164 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5053080?publication=0>

საქართველოს მთავრობა. (2020). Covid-19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში. <https://stopcov.ge/Content/files/Government--report.pdf>

საქართველოს მთავრობა. (2020). დადგენილება №286 „ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4864421?publication=18>

საქართველოს მთავრობა. (2020). დადგენილება №322 „იზოლაციისა და კარანტინის დამტკიცების შესახებ“. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4877009?publication=167>

საქართველოს მთავრობა. (2020). კოვიდ-19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში. <https://stopcov.ge/Content/files/Government--report.pdf>

საქართველოს მთავრობა. (2020). საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში 2020. გვ. 6. <http://surl.li/ecvya>

საქართველოს მთავრობა. (2020). საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ფაქტობრივად, საყოველთაო კარანტინი ცხადდება - 21:00 საათიდან 06:00 საათამდე ქვეყანაში გადაადგილება იკრძალება.  
[https://www.gov.ge/print.php?gg=1&sec\\_id=541&info\\_id=75772&lang\\_id=GEO](https://www.gov.ge/print.php?gg=1&sec_id=541&info_id=75772&lang_id=GEO)

საქართველოს მთავრობა. (2015). დადგენილება №255 იმ ქვეყნების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელთა მოქალაქეებსაც შეუძლიათ საქართველოში უვიზოდ შემოსვლა. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2867361?publication=0>

საქართველოს მთავრობა. (07.08.2015). დადგენილება №417 შრომითი იმიგრანტის (საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის არმქონე უცხოელის) ადგილობრივ დამსაქმებელთან შრომითი მოწყობისა და ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2941958?publication=0>

საქართველოს მთავრობა. (2013). დადგენილება №59 საქართველოს მიგრაციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1874689.?publication=0>

საქართველოს მთავრობა. (2013). საქართველოს მიგრაციის სტრატეგია 2013-2015.  
[https://migration.commission.ge/files/migration\\_strategy\\_geo.pdf](https://migration.commission.ge/files/migration_strategy_geo.pdf)

საქართველოს მთავრობა. (2013). საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გატარებულ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1852448?publication=0>

საქართველოს მთავრობა. (1995). საქართველოს კონსტიტუცია თავი II მუხლი 47.

საქართველოს მთავრობა. (1995). საქართველოს კონსტიტუცია თავი II მუხლი 22.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა

და სოციალური დაცვის სამინისტრო. (2020). საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა.  
[https://www.moh.gov.ge/uploads/files/2020/Failebi/akordeoni/sayoveltao\\_jandacva/Sayoveltao\\_Janadacva\\_%20programit\\_mosargebletatvis.pdf](https://www.moh.gov.ge/uploads/files/2020/Failebi/akordeoni/sayoveltao_jandacva/Sayoveltao_Janadacva_%20programit_mosargebletatvis.pdf)

საქართველოს პარლამენტი. (2019). „კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4571589?publication=0>

საქართველოს პარლამენტი. (2018). „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4273360?publication=0#DOCUMENT:1;>

საქართველოს პარლამენტი. (2017). „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3615893?publication=0>

საქართველოს პარლამენტი. (2016). საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3310237?publication=12>

საქართველოს პარლამენტი. (2016). საქართველოს კანონი საერთაშორისო დაცვის შესახებ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3452780?publication=6>

საქართველოს პარლამენტი. (2015). კანონი შრომითი მიგრაციის შესახებ.

<https://matsne.gov.ge/en/document/download/2806732/0/en/pdf#:~:text=Thisper cent20Lawper cent20regulatesper cent20relationsper cent20falling,paidper cent20labourper cent20activitiesper cent20outsideper cent20Georgia>

საქართველოს პარლამენტი. (2014ა). კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2278806?publication=13>

საქართველოს პარლამენტი. (2014ბ). კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ.

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2342552?publication=6>

საქართველოს პარლამენტი. (2011). საქართველოს კანონი ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1531916?publication=8>

საქართველოს პარლამენტი. (2011). საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437?publication=23>

საქართველოს პარლამენტი. (2011). საქართველოს კანონი უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1524714?publication=9>

საქართველოს პარლამენტი. (2010). საქართველოს შრომის კოდექსი. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567?publication=21>



საქართველოს პარლამენტი. (2008). საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/19132?publication=8>

საქართველოს პარლამენტი. (2006). საქართველოს კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/26152?publication=17>

საქართველოს პარლამენტი. (2005). კანონი ზოგადი განათლების შესახებ. 22-ე მუხლი, მე-7 პუნქტი.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=97>

საქართველოს პარლამენტი. (1998). საქართველოს კანონი საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31966?publication=34>

საქართველოს პარლამენტი. (1996). საქართველოს კანონი საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31504?publication=52>

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი. (1994). საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/28408?publication=70#!>

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი. (1993). საქართველოს კანონი იმიგრაციის შესახებ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/93826?publication=7>

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი. (1993). საქართველოს კანონი საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/93850?publication=18>

საქართველოს პრეზიდენტი. (2020). ბრძანება №1, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4830390?publication=0>

საქსტატი. (2022). პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.

<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhour-i-investitsiebi>

საქსტატი. (2022). მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ).

<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp>

საქსტატი. (2022). მშპ ერთ სულ მოსახლეზე.

<https://www.geostat.ge/ka>

საქსტატი. (2021). ემიგრანტებისა და იმიგრანტების რაოდენობა ასაკისა და სქესის მიხედვით.

<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/322/migratsia>

საქსტატი. (2021). მიგრაცია.

<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/322/migratsia>

საქსტატი. (2021). დასაქმება და უმუშევრობა.

<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba>

საქსტატი. (2020). ემიგრანტებისა და იმიგრანტების რაოდენობა ასაკისა და სქესის მიხედვით.

<https://www.geostat.ge/en/modules/categories/322/migration>

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. (2022). უცხოელთა მფლობელობაში არსებული უძრავი ქონება საქართველოში.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. (2022). უცხოელთა მფლობელობაში არსებული უძრავი ქონება თბილისის რაიონების მიხედვით.

სიჭინავა, ტ. (2021). შრომითი მიგრანტების მდგომარეობა საქართველოში კოვიდ-19-ის პანდემიის პერიოდში (თბილისის და ბათუმის მაგალითები). *ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი* 10. <http://jyr.tsu.ge/index.php/Hoome/ebaut/ge/4/10>

სულაბერიძე, ა., არჩვაძე, ი. & აფციაური, გ. (2021). *საქართველოს მოსახლეობის მიგრაცია და ვიზალიბერალიზაცია*. ზენაარი.

სულაბერიძე, ა. (რედ.) (2021). *ინსტიტუტის დაარსებიდან 30-წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული*. ზენაარი.

სულაბერიძე, ა. (რედ.) (2018). *მოსახლეობის მიგრაციის აქტუალური პრობლემები საქართველოში*. ზენაარი.

TDI. (2021). უცხოელთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში კოვიდპანდემიის პირობებში და მის მიღმა 2020-2021 (ივნისი).

[http://ewmi-prolog.org/images/files/3433migrants\\_rights\\_2020-2021-geo.pdf](http://ewmi-prolog.org/images/files/3433migrants_rights_2020-2021-geo.pdf)

ტუხაშვილი, მ. & ჭელიძე, ნ. (2021). *შრომითი მიგრაცია სალექციო კურსი ბაკალავრებისთვის*. თსუ. გვ. 4. <https://digitallibrary.tsu.ge/book/2021/july/books/tukhashvili-shromiTi-migracia-salekciokursi.pdf>

ქვრივიშვილი, მ. (2020). „იმუშავე საქართველოდან“ - უცხოელების მოსაზიდად მთავრობის ახალი პროექტი დაიწყო. <https://bm.ge/ka/article/imushave-saqartvelodan---ucxoelebis-mosazidad-mtavrobis-axali-proeqti-daiwyo/62672>

ჯაოშვილი, ვ. (1996). *საქართველოს მოსახლეობა*, თბილისი.

Africa Educational Trust. (1998). *Refugee Education, Training and Employment in Inner London: A Baseline Study*. FOCUS Central London and the Refugee Training Partnership.

Ager, A., & Strang, A. (2004). *Indicators of Integration: Final Report*. Home Office, Development and Practice Report 28. <http://webarchive.nationalarchives.gov.uk/20110218135832/http://rds.homeoffice.gov.uk/rds/pdfs04/dpr28.pdf>

Aguilera, M. B., & Massey D. S. (2003). Social capital and the wages of Mexican migrants: New hypotheses and tests. *Social Forces*, 82 (2), pp. 671-701. doi:10.1353/sof.2004.0001

Ahmad, A. (2015). “Since Many of My Friends Were Working in the Restaurant”: the Dual Role of Immigrants’ Social Networks in Occupational Attainment in the Finnish Labour Market. *Journal of International Migration and Integration* 16, pp. 965–985. <https://doi.org/10.1007/s12134-014-0397-6>

Akwawua, S., & Pooler, J. (2000). An Intervening Opportunities Model of U.S. Interstate Migration Flows. *Geography Research Forum* 20, pp. 33-51.

Arango, J. (2004). *Theories of International Migration*. International Migration in the New Millennium. 1<sup>st</sup> ed. Routledge, p.21.

Arango, J. (2002). Explaining Migration: A Critical View. *International Social Science Journal* 52 (165), pp. 283–296. <https://doi.org/10.1111/1468-2451.00259>

Aron, R. (1974). Is Multinational Citizenship Possible? *Social Research* 41(4), pp. 638–656.

Alba, R. & Nee, V. (2003). *Remaking the American mainstream: Assimilation and contemporary immigration*. Harvard University Press. <https://doi.org/10.4159/9780674020115>

Alba, R. D. (1990). *Ethnic Identity: The Transformation of White America*. Yale University Press.

Babbie, E. (2014). *The Basics of Social Research (6th ed.)*. Belmont, California: Wadsworth Cengage.

Bade, K. J. (2003). *Migration in European History*. Malden, MA; Oxford, UK; Carlton, Australia: Blackwell. <https://doi.org/10.1002/9780470754658>

Badurashvili, I. (2015). (Ed.) “Migrant support measures from an employment and skills perspective – Georgia”. ETF position paper, pp. 1-52.

- Banulescu-Bogdan, N. (2012). Shaping Citizenship Policies to Strengthen Immigrant Integration. Migration Policy Institute. <https://www.migrationpolicy.org/article/shaping-citizenship-policies-strengthen-immigrant-integration>
- Barfield, T. (1998). World Systems Theory. The dictionary of anthropology. Wiley-Blackwell.
- Bauer, T., & Zimmermann, K. F. (1999). Assessment of possible migration pressure and its labour market impact following EU enlargement to Central and Eastern Europe. A study for the Department of Education and Employment, UK. IZA Research Report No.3.
- Bellamy R. (2008). *Citizenship: A Very Short Introduction*. Oxford University Press, p. 2. <https://doi.org/10.1093/actrade/9780192802538.001.0001>
- Bendix R. (1964). *Nation-building and Citizenship. Studies of Our Changing Social Order*. New Brunswick, NJ: Transaction Books
- Berry, J. W. (1980). Acculturation as varieties of adaptation. In: Padilla, A. (Ed.). *Acculturation: Theory, models and some new findings*. Boulder: Westview Press, pp. 9–25.
- Berry, J. W., Kim U., Minde T., & Mok D. (1987). Comparative Studies of Acculturative Stress. *International Migration Review*, 21 (3), p. 491. DOI:10.2307/2546607
- Berry, J. W. (1990). Psychology of acculturation: Understanding Individuals Moving between Cultures. In B. Richard (Ed.), *Applied Cross-Cultural Psychology*, pp. 232-253. CA: Sage. <https://doi.org/10.4135/9781483325392.n11>
- Bloch, A. (1999) ‘Refugees in the Job Market: A Case of Unused Skills in the British Economy’, Bloch, A. and Levy, C. (eds) *Refugees, Citizenship and Social Policy in Europe*. Basingstoke: Palgrave Macmillan, pp. 187-210. DOI: 10.1057/9780230371248\_10
- Blokland, T. & van Eij, k. G. (2010). Do People Who Like Diversity Practice Diversity in Neighbourhood Life? Neighbourhood Use and the Social Networks of ‘Diversity-Seekers’ in a Mixed Neighbourhood in the Netherlands. *Journal of Ethnic and Migration Studies* 36 (2), pp.313–332. <https://doi.org/10.1080/13691830903387436>
- Bonin, H. et al. (2008). Geographic Mobility in the European Union: Optimising its Economic and Social Benefits. IZA Research Report No. 19. July. <https://www.iza.org/publications/r/111/geographic-mobility-in-the-european-union-optimising-its-economic-and-social-benefits>
- Boschman, S. (2012). Residential Segregation and Interethnic Contact in the Netherlands. *Urban Studies*. 49 (2), pp. 353– 367. <http://doi.org/10.1177/0042098011402236>
- Bourdieu, P. (1986). “The Forms of Capital.” In: Richardson J., editor. *Handbook of Theory and Research for the Sociology of Education*. Greenwood Press, pp. 241–58.
- Brown, S. K., & Bean, F. D. (2006). Assimilation Models, Old and New: Explaining Long Term Process. Migration Policy Institute. <https://www.migrationpolicy.org/article/assimilation-models-old-and-new-explaining-long-term-process>
- Buijs, F. J., Demant, F., & Hamdy, A. (2006). *Strijders van eigen bodem: Radicale en democratische Moslims in Nederland* [Home grown fighters: Radical and democratic Muslims in the Netherlands]. Amsterdam University Press.
- Castles S., Korac M., Vasta E., & Vertovec S. (2002). *Integration: Mapping the field*. University of Oxford, Centre for Migration and Policy Research and Refugee Studies, pp. 115–118.

- Castels, S., Korac, M., Vasta, E. & Vertovec, S. (2001). 'Integration: Mapping the Field.' Report of a project carried out by the Centre for Migration and Policy Research and Refugee Studies Centre, University of Oxford.
- CEC (Commission of the European Communities) (2005). A Common Agenda for Integration Framework for the Integration of Third-Country Nationals in the European Union. CEC.  
<https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=COM:2005:0389:FIN:en:PDF>
- Chiswick B. R., & Miller P. W.A. (2001). Model of Destination - Language Acquisition: Application to Male Immigrants in Canada. *Demography* 38 (3), pp. 391–409. <https://doi.org/10.1353/dem.2001.0025>
- Choi, H.-M., Kim, W.G., & McGinley S. (2017). The extension of the theory of person-organization fit toward hospitality migrant worker. *International Journal of Hospitality Management*, 62, pp.53-66. <https://doi.org/10.1016/j.ijhm.2016.12.003>
- Cholewinski, R. (2014) 'Labour migration, temporariness and rights', in S. Carrera, E. Guild and K. Eisele (eds) *Rethinking the Attractiveness of EU Labour Immigration Policies*. Centre for European Policy Studies, 22–28. <https://doi.org/10.1016/j.ijhm.2016.12.003>
- Chumburidze, M., Ghvinadze, N., Gvazava, S., Hosner, R., Wagner, V. & Zurabishvili, T. (2015). *The State of Migration in Georgia*. International Centre for Migration Policy Development (ICMPD).
- Cichocka, E. (2021). Safe, accepted and charmed by the city. Why do migrants feel better in Berlin than in Amsterdam? *Journal of Ethnic and migration Studies* 47 (9), pp. 1940–1956.
- Connor, P., & Koenig, M. (2013). Bridges and barriers: religion and immigrant occupational attainment across integration contexts. *Int. Migr. Rev.* 47 (1), pp. 3–38. doi:10.1111/imre.12012
- Collyer, M. et al. (2013). "Migration and Skills in Armenia and Georgia", ETF position paper, pp. 1-48.
- Curran, S. R., Garip, F., Chung, C. Y. & Tangchonlatip, K. (2005). Gendered Migrant Social Capital: Evidence from Thailand. *Soc Forces*. 84 (1), pp. 225-255. DOI: 10.1353/sof.2005.0094.
- Danzer, A. M. & Dietz, B. (2018). Migrants' well-being during the global financial crisis: Economic and social predictors. *Journal of comparative economics* 46 (3), pp. 770-787. <https://doi.org/10.1016/j.jce.2018.07.007>
- Danzer, A. M. & Yaman F. (2016). Ethnic Concentration and Language Fluency of Immigrants: Evidence from the Guest-Worker Placement in Germany. *Journal of Economic Behavior and Organization*. (131). Issue PA. 151–165. <https://doi.org/10.1016/j.jebo.2016.08.012>
- Danzer, A. M., & Yaman, F. (2013). Do Ethnic Enclaves Impede Immigrants' Integration? Evidence from a Quasi-Experimental Social-Interaction Approach. *Review of International Economics* 21 (2), pp. 311–325. <https://doi.org/10.1111/roie.12038>
- Davis, B., Stecklov, G., & Winters, P. (2002). Domestic and International Migration from Rural Mexico: Disaggregating the Effects of Network Structure and Composition. *Population Studies* 56 (3), pp. 291–309. <http://www.jstor.org/stable/3092983>
- de Haas, H., Castles, S., & Miller, M. J. (2020). The Age of Migration: International Population Movements in the Modern World (6th ed.). Macmillan. <http://migrationmatters.me/wp-content/uploads/2016/11/AgeOfMigrationChapter1and.pdf>

- de Haas, H. (2010). Migration and Development: A Theoretical Perspective. *International Migration Review* 44 (1). <https://doi.org/10.1111/j.1747-7379.2009.00804.x>
- De Janvry, A., & Sadoulet. (2001). Income Strategies Among Rural Households in Mexico: The Role of Off-farm Activities. *World development* 29 (3), pp. 467-480. DOI: [10.1016/S0305-750X\(00\)00113-3](https://doi.org/10.1016/S0305-750X(00)00113-3)
- De Jong, G. F., Richter, K., & Isarabhakdi, P. (1996). Gender, Values, and Intentions to Move in Rural Thailand. *International Migration Review* 30 (3), pp. 748–770. <https://doi.org/10.1177/019791839603000305>
- Dunlevy, J. A. (1991). On the Settlement Patterns of Recent Caribbean and Latin Immigrants to the United States. *Growth and Change* 22 (1), pp.54-67. <https://doi.org/10.1111/j.1468-2257.1991.tb00541.x>
- Dustmann, C., & Glitz, A. (2005). *Immigration, Jobs and Wages: Theory, Evidence*. London: Centre for Research and Analysis of Migration, CEPR.
- Entzinger, H., & Dourleijn, E. (2008). De lat steeds hoger: De leefwereld van jongeren in een multi-etnische stad [Increasing demands: The world of youth in a multi-ethnic city]. Van Gorcum.
- Entzinger, H., & Biezeveld, R. (2003). *Benchmarking in Immigrant Integration*. European Research Centre on Migration and Ethnic Relations (ERCOMER), Faculty of Social Sciences. Erasmus University Rotterdam. <file:///C:/Users/asus/Downloads/SOC-2003-011.pdf>
- Entzinger, H. B. (1984). *Het minderhedenbeleid: dilemma's voor de overheid in Nederland en zes andere immigratielanden in Europa*. Boom.
- Eremenko, T. (2018). African Migrants in France A Shared Background, but Distinct Integration Experiences.
- Esser, H. (2004). Does the “New” Immigration Require a “New” Theory of Intergenerational Integration? *The International Migration Review* 38 (3), pp. 1126–1159. <http://www.jstor.org/stable/27645428>
- Esser, H. (2001). Integration und Etnische Schichtung [Integration and ethnic segregation]. Arbeitspapiere—Mannheimer Zentrum für Europäische Sozialforschung. Arbeitspapiere - Mannheimer Zentrum für Europäische Sozialforschung. <http://www.mzes.uni-mannheim.de/publications/wp/wp-40.pdf>
- European Commission. (2020). Commission Recommendation of 22.12.2020 on a coordinated approach to travel and transport in response to the SARS-COV-2 variant observed in the United Kingdom.
- European Committee of the Regions. (2020). *Integration of migrants in middle and small cities and in rural areas in Europe*. European Union. [https://ec.europa.eu/migrant-integration/library-document/integration-migrants-middle-and-small-cities-and-rural-areas-europe\\_en](https://ec.europa.eu/migrant-integration/library-document/integration-migrants-middle-and-small-cities-and-rural-areas-europe_en)
- European Union. (08.12.2020). Together Against Covid-19. <https://eu4georgia.eu/ka/together-against-covid-19/>
- Eve, M. (2010). Comment on Hartmut Esser/2. *Sociologica*, 1. DOI: 10.2383/32057
- Fischhoff, E. (1947). Immigrant Adjustment in Yankee City. *Social Research* 14 (1), pp. 104–109. <http://www.jstor.org/stable/40969180>
- Fletcher, T. E., Abdallah, A., & Hannam, K. (2019). “Lebaneseness” and the Lebanese diaspora in London. *Hospitality and Society*, 9 (2), pp. 145-160. DOI: [https://doi.org/10.1386/hosp.9.2.145\\_1](https://doi.org/10.1386/hosp.9.2.145_1)
- Flick, U. (2009). *An introduction to qualitative research* (4th ed.). SAGE Publications.

- Friesen, M. (2011). Immigrants' integration and career development in the professional engineering workplace in the context of social and cultural capital. *Engineering Studies*, 3 (2), pp. 79–100. <https://doi.org/10.1080/19378629.2011.571260>
- Gachechiladze, R., Najafaliev, M., & Rondeli A. (1984). Regional problems of development of the Transcaucasus. *Geoforum* [U.K.], 15, (1), p. 11.
- Gallagher, A. (2018). We need to talk about integration after migration. Here are four ways we can improve it. World Economic Forum. <https://www.weforum.org/agenda/2018/10/we-need-to-talk-about-integration-after-migration/>
- Gans, H. J. (1992). Comment: Ethnic invention and acculturation, a bumpy-line approach. *Journal of American Ethnic History* 12 (1, Fall), pp. 42-52.
- Gans, H. J. (1992). Second-generation decline: Scenarios for the economic and ethnic futures of the post-1965 American immigrants. *Ethnic and Racial Studies* 15 (2), pp. 173–192. doi:10.1080/01419870.1992.9993740
- Gans, H. J. (1979). Symbolic ethnicity: the future of ethnic groups and cultures in America. *Ethnic and Racial Studies* 2 (1), pp. 1–20. DOI:10.1080/01419870.1979.9993248
- Garip, F. (2008). Social Capital and Migration: How do Similar Resources Lead to Divergent Outcomes? *Demography* 45, pp. 591–617. <https://doi.org/10.1353/dem.0.0016>
- Garcia Coll, C., Patton, F., Marks, A. K., Dimitrova, R., Yang, R., Suarez, G. A., & Patricio, A. (2012). Understanding the immigrant paradox in youth: Developments and contextual considerations. In A. Masten, K. Liebkind, & D. J. Hernandez (Eds.), *Realizing the potential of immigrant youth*. pp. 159-180. Cambridge University Press. <https://doi.org/10.1017/CBO9781139094696.009>
- Glazer, N. (1993). "Is Assimilation Dead?" *Annals of the American Academy of Political and Social Science* 530, pp. 122-136.
- Georgian National Tourism Administration. (2020). "Remotely from Georgia". [https://georgia.travel/en\\_US/article/remotely-from-georgia](https://georgia.travel/en_US/article/remotely-from-georgia)
- Gogsadze, G., Dolbaia T. & Sitchinava, T. (2022). The main peculiarities of labour migrants' integration in Georgia (Case of Tbilisi and Batumi). *Dela (1)*. Forthcoming.
- Gold, S. (2001). Gender, class, and network: Social structure and migration patterns among transnational Israelis. *Global Networks* 1 (1), pp. 57-78. Blackwell Publishers Ltd. <https://doi.org/10.1111/1471-0374.00005>
- Gordon, M. M. (1964). *Assimilation in American Life: The Role of Race, Religion, and National Origins*. Oxford University Press, pp. 60–83.
- Grogger, J., & Hanson, G. H., (2011). Income maximization and the selection and sorting of international migrants. *Journal of Development Economics* 95 (1), pp. 42-57.
- Hack-Polay, D., & Mahmoud, A. B. (2021). Homesickness in developing world expatriates and coping strategies. *German Journal of Human Resource Management: Zeitschrift für Personalforschung* 35 (3), pp. 285-308. <https://doi.org/10.1177/23970022209527>
- Hall, M., & Farkas, G. (2008). Does human capital raise earnings for immigrants in the low-skill labor market? *Demography* 45 (3), pp. 619-639. doi: 10.1353/dem.0.0018

- Hammar, T. (1985). *European immigration policy. A comparative study*. Cambridge University Press. <https://doi.org/10.1017/CBO9780511898143>
- Heath, A., & Schneider, S. (2021). Dimensions of Migrant Integration in Western Europe. *Frontiers in Sociology*, 2. [doi.org/10.3389/fsoc.2021.510987](https://doi.org/10.3389/fsoc.2021.510987)
- Heckmann, F. (2005). *Integration and Integration Policies*, European Forum for Migration Studies. <https://www.efms.uni-bamberg.de/pdf/INTPOL%20Final%20Paper.pdf>
- Holland, C., & Martin E. (2015), Lifestyle migration and work choices. *Hospitality & Society* 5 (1), pp. 23-42. [https://doi.org/10.1386/hosp.5.1.23\\_1](https://doi.org/10.1386/hosp.5.1.23_1)
- Iashvili, I., Von Reichert Ch., & Gvenetadze, T. (2016). “For the Sake of the Family: Contemporary Georgian Migration in the USA”, *International Journal of Arts and Sciences*, 09 (02), pp. 623-638. <http://www.universitypublications.net/ijas/0902/pdf/V6Z340.pdf>
- Iashvili, I., Gvenetadze, T. et al. (2014). “Split Families and Family Members Left Behind.” *Humanities and Social Sciences Review* 3 (2), pp. 345-356. <http://universitypublications.net/hssr/0302/pdf/SPQ350.pdf>
- IDFI. (2018). Statistics on Exceptional granting of Georgian Citizenship. [https://idfi.ge/ge/awarding\\_georgian\\_citizenship\\_to\\_foreigners](https://idfi.ge/ge/awarding_georgian_citizenship_to_foreigners)
- ILO. (2021). *ILO Global Estimates on International Migrant Workers Results and Methodology Third edition*. International Labour Organization 2021. [https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/@dgreports/@dcomm/@publ/documents/publication/wcms\\_808935.pdf](https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/@dgreports/@dcomm/@publ/documents/publication/wcms_808935.pdf)
- IOM. (2022). Labour migration and migrant integration. International Organization for Migration. <https://belgium.iom.int/labour-migration-and-migrant-integration>
- IOM. (2021). Immigrant Integration Policy and Practice in Georgia: Achievements, Challenges, and the Way Forward. Norwegian Ministry of Foreign Affairs & IOM Georgia. <https://georgia.iom.int/resources/immigrant-integration-policy-and-practice-georgia>
- IOM. (2020). World Migration Report 2020. International Organization for Migration. <https://worldmigrationreport.iom.int/wmr-2020-interactive/#:~:text=The%20current%20global%20estimate%20is,over%20the%20past%20five%20decades>
- Iontsev, V. A., et. al. (2015). Integration of migrants: is it possible in the contemporary world? B. L. M. faculty of economics center for population studies, *Scientific Series International Migration of Population: Russia and Contemporary World*. p 6. Faculty of economics center for population studies.
- Iontsev, V., & Ivakhnyuk, I. (2013). *Migrant Integration Models in Modern Russia. CARIM-East Research Report 2013/13*. San Domenico di Fiesole, Italy: Robert Schuman Centre for Advanced Studies.
- Jasnova E. et al. (2012). “Migration and Skills in Georgia: Results of the 2011/12 migration survey on the relationship between skills, migration and development”. ETF position paper, pp. 1-66.



- Kalmijn, M., & van Tubergen, F. (2006). Ethnic intermarriage in the Netherlands: Confirmations and refutations of accepted insights. Les mariages mixtes inter-ethniques aux Pays-Bas: Confirmations et infirmations des idées reçues. *European Journal of Population* 22 (4), pp. 371-397.  
<http://www.jstor.org/stable/20164352>
- Kane, E. W., & Kyro, E. K. (2001). For whom does education enlighten? Race, gender, education, and beliefs about social inequality. *Gender & Society*, 15 (5), pp. 710-733.  
<https://doi.org/10.1177/089124301015005005>
- Kim, Y. Y. (1988). Communication and cross-cultural adaptation: An integrative theory. Clevedon, Multilingual Matters, p. 232 <https://doi.org/10.1093/acrefore/9780190228613.013.21>
- King, R., & Lulle, A. (2016). *Research on Migration: Facing Realities and Maximising Opportunities*. Brussels: European Commission.  
[https://ec.europa.eu/migrant-integration/library-document/reasearch-migration-facing-realities-and-maximising-opportunities-policy-review\\_en](https://ec.europa.eu/migrant-integration/library-document/reasearch-migration-facing-realities-and-maximising-opportunities-policy-review_en)
- King, R. (2012). Theories and Typologies of Migration: An Overview and Primer. Working Paper. Malmö Institute for Studies of Migration, Diversity and Welfare (MIM), Malmö University, Malmö.  
<http://sro.sussex.ac.uk/id/eprint/69108/>
- Kogan, I. (2006). Labor markets and economic incorporation among recent immigrants in Europe. *Social Forces*, 85 (2), pp. 697-721. <https://doi.org/10.1353/sof.2007.0014>
- Kostenko, V. V. (2014). Теории миграции: от асимилиации к транснационализму. [Migration theories: from assimilation to transnationalism]. *Journal of Sociology and Social Anthropology*, XVII, (3), pp. 62–76.
- Koopmans, R. (2016). Does assimilation work? Sociocultural determinants of labour market participation of European Muslims. *J. Ethnic Migr. Stud.* 42 (2), pp. 197–216. doi:10.1080/1369183x.2015.1082903
